



# საგჭოთა ხელოვნება

GOBET'GROE  
 УСКУГГ'ВО  
 SOVIET  
 ԻՐԻ  
 SOWJETKUNST  
 ԻՐԻ  
 SOVIETIQUE



1973

# სეგვითა სელოვნება

შენაღი გამომცემი 1921 წლიდან

თეატრი  
მუსიკა  
მხატვრობა  
კინო  
არქიტექტურა  
ქოროგრაფია



საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საზოგადოებრივ-პოლიტიკური,  
ლიბრატორულ-მხატვრული, მცენარულ-თეატრული ყოველთვიური შუენაღი

1973





მ. მანიჭერი.  
ე. ი. ლენინის ქანდაკება  
ულიანოვსკში

# ორგოცლაგეთიქვსგებთა ოქტომბერი

საბჭოთა ხალხი და მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა ზეიმით აღინიშნავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამეოთვეტსმეტე წლისთავს; რევოლუციისა, რომლის ძლევამოსილად დაგვირგვინებთ შეიქმნა თვისობრივად ახალი ისტორიული ეპოქა სამყაროს რევოლუციური განახლებისა, კავიატალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლისა და ჩვენს ქვეყანაში კომუნისმის გაშლილი მშენებლობისა.

წელს განსაკუთრებულ ვითარებაში აღინიშნება ოქტომბრის დღესასწაული, რადგან მისი 56-ე წლისთავის ზეიმი განპირობებულია მნიშვნელოვანი მოვლენებით სსრ კავშირის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში.

საგარეო საქმიანობაში ეს იყო საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, უმაღლეს დონეზე ნაყოფიერ მოლაპარაკებათა წელი, რომელიც იმის რეალურ საშუალებას იძლევა, რომ დედამიწაზე მშვიდობიანად იარსებონ სხვადასხვა სოციალური წყობის მქონე სახელმწიფოებმა, ამასთან ურთიერთშორის განამტკიცონ და გააფართოონ პოლიტიკური, ეკონომიური თუ კულტურული თანამშრომლობა.

საშინაო ცხოვრებაში ოქტომბრის 56-ე წლისთავი დაემთხვა ჩვენს ქვეყნის სასახლო მერენობის განვითარების მეცხრე ხუთწლეულის მესამე, გადამწყვეტ წელს, რომელიც წარმოვიდგინებთ დამკვერთული შრომის უბადლო მავალითობს.

სკკპ XXIV ყრილობის ბრძნული მიზანდასახულებებით შეიარაღებული საბჭოთა ხალხი — გვირული მუშათა კლასი, საკოლმეურნეო გლეხობა და ინტელიგენცია მკვიდრად დგას სამშვიდობო ვახტზე, მამაცურად მიაბიჯებს პარტიის მიერ ნაჩვენები სწორი გზით.

სოციალისტური ბანაკის ქვეყნებმა წელს მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვეს საერთაშორისო ასპარეზზე, რასაც მოჰყვა ძალთა თანაფარდობის მორიგი შეცვლა სოციალიზმის სასარგებლოდ. სოციალისტური სახელმწიფოების ხელმძღვანელებმა გამოამყვინეს მტკიცე, ერთიანი, მონოლითური სულსიკვეთება, რამაც ერთიელ კიდევ თვალნათლივ დაგვარწმუნა ყირიმის ამასწინანდელმა შეზღუდვამ, სადაც მოძმე პარტიათა ხელმძღვანელები შეთანხმდნენ, რომ კვლავაც აქტიურად იბრძვიონ საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად, ერთობლივად შეამცირონ შეიარაღებული ძალები, მტკიცედ დაადგინენ ხანგრძლივი საერთაშორისო თანამშრომლობის რეალურ პოლიტიკას.

განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ახმ. ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტები, ერთი მხრივ, პოლონეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ბულგარეთში, მეორე მხრივ, კი — გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ამერიკის შერთებულ შტატებში, საფრანგეთსა და ინდოეთში.

საბჭოთა სახელმწიფოს მთავრობა, სკკპ ცენტრალური კომიტეტი, პირადად ლ. ი. ბრეჟნევი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ სამუდამოდ მოისპოს ტაშტური ომის საფრთხე, მსოფლიოს ხალხებს მიეცეთ მშვიდობიანი, შემოქმედებითი შრომის საშუალება, განვითარდეს ეკონომიურ-კულტურული კავშირი სოციალისტურ და კავიატალისტურ სახელმწიფოებს შორის. სწორედ ეს იყო ახმ. ლ. ი. ბრეჟნევის ისტორიული ვიზიტების დეადარსი, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ მნიშვნელოვან ეტაპს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიან თანარსებობასა და თანამშრომლობაში.



ამ მხრივ დიდია წვლილი აშხ. ლ. ი. ბრეჟნევისა. ამიტომ იყო, რომ მინჭობა მსოფლიოს მოწინავე კაცობრიობა კმაყოფილების გრძნობით შეხვდა მისთვის „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის მინიჭებას. მისი ღვაწლის აღიარება იყო ისიც, რომ აშხ. ლ. ი. ბრეჟნევის მიენიჭა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გმირის წოდება და გადაეცა ოქროს ვარსკვლავი და გიორგი დიმიტროვის ორდენი.

დიდი ოქტომბრის 56-ე წლისთავის ზეიმი წინ უსწრებდა მოსკოვში გამართული მშვიდობისმოყვარე ძალების საერთაშორისო კონგრესი. კონგრესის დღე-ღამეები აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდიანის აშხ. ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლას, რომლის სიტყვა იქცა დედამიწაზე მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების სამოქმედო პროგრამად. კონგრესმა მიიღო მნიშვნელოვანი სამშვიდობო დოკუმენტები.

მიმდინარე წელს დიდ გამარჯვებას მიაღწიეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომლებმა. ბოლო მთელი გაჭიანურებულ, დამანგრეველ ომის მნიშვნელოვანი შედეგები, რომლებიც მოჰყვა აშხ. ლ. ი. ბრეჟნევის ვიეტნამის ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საფრანგეთში, ისტორიაში შევა როგორც საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ჭეშმარიტი გამარჯვება, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მშვიდობიანი კურსის წარმატება, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იდეოლოგიური ბრძოლის შეწყვეტას. პირიქით, კაპიტალისტური სამყარო სწნას ვეებს სწორედ იდეოლოგიური ჭიდილის გამწვავებაში. ამიტომ საჭიროა შეუნელებელი ბრძოლა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის სიწმინდის დაცვადა, სკკპ X XIV ყრილობის პოლიტიკური კურსის ცხოვრებაში გასაჭარბებლად.

ახლა, როცა რეაქციულ-ფაშისტური ხუნტა ტერორით უსწორდება ჩილე პატრიოტებს, როცა ომის ციკსლი ბოიკირებს ახლო აღმოსავლეთში, სადაც არაბული ქვეყნები სამართლიან ბრძოლას ეწევიან ისრაელ აგრესორებთან, ხოლო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა უსინჯვლილოდ კრავს ბლოკს იმპერიალიზმის ყველაზე რეაქციულ წრებთან, ვითარება უფრო იძაბება, მწვაედმა იდეოლოგიური შეტაკებები.

ამ დამაბულ საერთაშორისო ვითარებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და ჩვენი ქვეყნის მთავრობა თანმიმდევრულად ახორციელებენ სკკპ X XIV ყრილობის მიერ დასახულ სამშვიდობო პროგრამას. პრაქტიკამ ცხადყო, რომ მშვიდობის განმტკიცებასა და საერთაშორისო დამაბულობის შეწყვეტაში სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოლაპარაკებანი უმაღლეს დონეზე. ამის მკაფიო მაგალითია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდიანის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის აშხ. ლ. ი. ბრეჟნევის ამასწინანდელი მეგობრული ვიზიტი ინდოეთში, სადაც იგი იმყოფებოდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ინდირა განდის ოფიციალური მიწვევით. მოლაპარაკების შედეგად მიღებულმა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ერთობლივმა კომუნიკემ და შეთანხმებებმა სსრ კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის ეკონომიური და საგაჭრო თანამშრომლობის შემდგომი განვითარების, აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო საკვებო კომიტეტისა და ინდოეთის საკვებო კომისიის თანამშრომლობის შესახებ, აშხ. ლ. ი. ბრეჟნევის შესვლედებმა სახელმწიფოს ხელმძღვანელებთან, ინდოეთის კომუნისტური პარტიისა და მშრომელი მასების წარმომადგენლებთან ახალი ისტორიული ფურცელი ჩაწერა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ტრადიციულ მეგობრობაში. ამ მოლაპარაკების შედეგები ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებისა არა მარტო აზიაში, არამედ მთელს დედამიწაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის წინასაოქტომბრო მოწოდებებით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი შრომით გახტუნ დასა და წარმატებით ასრულებს მიეცბრე ხუციყვლის მესამე წლის დაგალებებს. მათთან ერთად სასახელოდ შრომობენ საბჭოთა საქართველოს მუშები, კოლმეურნეები და ინტელექციანი. რესპუბლიკაში მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა 1973 წლის 9 თვის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი.

თავდაღებით იშრომეს მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ცხრა თვის გეგმა 24 სექტემბრისთვის შესასრულეს და გეგმის გადაბეჭებით მიიღეს 110 მილიონი მანეთის პროდუქცია.

კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა მნიშვნელოვნა გაზარდეს მესცხოველობის პროდუქტების წარმოება. წელს რესპუბლიკაში მოიყვანეს მარცხეულუღასა და ჩაის სარეკორდო მოსავალი. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს სახელოვან მწეიფთა წარმატება, რომლებმაც 290 ათასი ტონა ჩაის ფოთლის თამზადებით ორი წლით ადრე გადააბიჯეს I X ხუციყვლის ბოლო წლის მიჯნას. უკანასკნელი 7 წლის მანძილზე რესპუბლიკაში წელს პირ-

„ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეობა, კულტურის მუშაკებში მღლა ატრეთ საბჭოთა ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის დროშა, სრულყავით





მხატვრული ოსტატობა, თქვენი ნიჭი მოახმარეთ კომუნისზის მშენებელთა აღზრდას!“

სკკ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებთან.

ველად შესრულდა გადაჭარბებით საბინაო მშენებლობის გეგმა. მნიშვნელოვანი ძვრებით აგრეთვე სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც.

მუშებისა და გლეხების მხარდამხარ იღვწიას ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები. ქართული მწერლების, კომპოზიტორების, კინემატოგრაფისტების, მხატვრების, მსახიობებისა და რეჟისორების შეიქმნა დღეს ცხოვლიება არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ იგი სიყვარულით სარგებლობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

ჩვენი რესპუბლიკა ინტერნაციონალურია. ყოველი მიღწევა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის თუ კულტურის დარგებში მოპოვებულია ოთხხეივანე მეტი როგორცების წარმომადგენლის გონებითა და შრომით. აქ ერთმანეთის გვერდით ჭედენ გამარჯვებას ქართველი და რუსი, სომეხი და უკრაინელი, აზერბაიჯანელი და ბელორუსი, მრავალი სხვა ერის სვილები. მათი შეგობრობა მტკიცეა და უსუსარო. ამიტომ ახალმა სინარულმა მოიყვანა საქართველოს მოსახლეობა, როდესაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდა ხალხთა მეგობრობის ორდენით.

ეს საწუკარა ვიღღო 5 ოქტომბერს საქართველოს სახელმწიფო დროშაზე მიაპარა სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრმა, სკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, ახმ. ა. პ. კირილუკოვ და ახალი წარმატებები უსურვა საქართველოს შრომელებს შრომასა და პირად ცხოვრებაში.

რესპუბლიკის დაჯილდოება ხალხთა მეგობრობის ორდენით საბჭოთა მთავრობისა და პარტიის დიდი ზრუნვის გამოვლენაა ქართველი კართველი სახელმწიფო დაჯილდოების სახელით სხდომაზე ითქვა, იგი, გარკვეულწილად ავანსია, რომელიც უნდა გავამართლოთ გმირული, თავდადებული შრომით. მეთხუ ორდენი გვაგაუმეს კიდევ უფრო გახაზმატკიცეთ ხალხთა მეგობრობის გეგმობრობის და პოლიტიკური საძირკველი, გავაუყვარებოთ და სრულკეთო რესპუბლიკის შრომელთა ინტერნაციონალური აღზრდა.

ამ მხრივ თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ ხელოვნების მუშაკებმა, რომლებსაც დიდ სამოქმედო ასარეზს უქმნის სამი პარტიული დოკუმენტი: სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ“, „საბჭოთა კინემატოგრაფიის შედგომის გახვითაფიის ღონისძიებათა შესახებ“ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული დადგენილება „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მუშაობის შესახებ მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში“.

ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკების საპატიო მოვალეობა თავიანთ ნაწარმოებებში ფართოდ დაამკვიდრონ ინტერნაციონალური სულისკვეთება, ასახონ გარდაცემის მომენტები ჩვენს სინამდვილეში, დააშუბაონ თანაფილოზოფიის მასშტაბური თემები, შექმნან დადებითი გმირების ტიპური სახეები, ბოროლი გამოუყვანდონ ცხოვრების მანიკერ მხარეებს.

„ჩვენი თანამედროვე, — ითქვა ხალხთა მეგობრობის ორდენის მიღებასთან დაკავშირებულ საზეიმო სხდომაზე, — განსაკუთრებული ყადის, განსაკუთრებული ფსიქოლოგიის ადამიანია. იგი სულ უფრო მეტს ფიქრობს იმაზე, რომ კეთილი საქმით წარშუღელი კვალი დატოვოს დედამიწაზე. მას სულ უფრო მეტად აფიქრებს თავისი პიროვნების სოციალური მნიშვნელობა, რომლის შეფასების კრიტერიუმი მის შეგნებაში ყოველდღიურად სულ უფრო შორდება ისეთ კატეგორიებს, როგორც არის „სქელი ჯიბე“ ან მხოლოდ პირადი კეთილდღეობა. მისი კრიტერიუმი ხდება სულ უფრო თანამედროვე. სულ უფრო იდებორო კომუნისტური საზოგადოების ადამიანის იდეალებსა“. აი, როგორი ადამიანების ცხოვრება უნდა ასახონ ჭეშმარიტი მხატვრულით ჩვენმა პოეტებმა, პროზაიკოსებმა და დრამატურგებმა, მხატვრებმა და მუსიკოსებმა. ასეთი ტიპების შექმნა ინტერესით იმუშავენ რესპუბლიკის მსახიობები და რეჟისორები, ოპერის მომღერლები და ქოროგრაფები. ასეთ გმირებს ტაშით შეხვდება მკითხველიც და მაყურებელიც.

პარტია მოგვიწოდებს: „ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, კულტურის მუშაკები! ხალხა ატარეთ საბჭოთა ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის დროშა, სრულყავით მხატვრული ოსტატობა, თქვენი ნიჭი მოახმარეთ კომუნისზის მშენებელთა აღზრდას!“ ეს მოწოდება ხელოვნათა მუდმივი სამოქმედო პროგრამაა.


საბჭოთა ხალხი მუდამ შრომით საჩუქრებს უძღვნის ხოლმე საყოველთაო-სახალხო ზეიმი — დიდი ოქტომბრის წლისთავს, რადგან სწორედ მან დაუმკვიდრა ჭეშმარიტად თავისუფალი შრომისა და მოღვაწეობის საშუალება. სამართა ადამიანები გულდაჯერებით შესქქნარის მამავალს, მჭიდროდ ირანშებიან მშობლიური პარტიის გარშემო, რადგან პარტიაა მათი მესაქე და წინამძღოლი.

# გალაკტიონ ტაბიკა 80

კ. იგნატოვი.

დროშები ჩქარა.





მაქვს მკერდს მიდებულ  
ქნარი, — როგორც მინდა,  
ჩემთვის დიდებული  
სხივი გამოიჩინა.  
მკვიდრად ააშენა,  
ვინაც ააშენა  
და ცით დაამშვენა  
ღიღი ნიკორწმინდა.

გზნებით დამკარგავი  
გრძნეულ ჩუქურთმებით,  
ქარგით დამკარგავი  
ნაზი შუქურ-თმებით,  
ნეტა ვინ აზიდა  
ან როგორ აზიდა,  
რა ხელმა აზიდა  
მაღლა ნიკორწმინდა!

რა განძი გვქონია,  
რა მხნე, რა მდიდარი,  
ჟღერს ქვის ჰარმონია —  
დარობს რამდი-დარი.  
კარგად გამოკვეთა,  
ვინაც გამოკვეთა,  
სიბრძნით გამოკვეთა  
მძლავრი ნიკორწმინდა.

აქ რომ თაღებია,  
სვეტა შეკონება,  
ისე ნაგებია,  
სიზმრის გვეგონება.  
ნეტა ვინ ააგო,  
რა ნიჭმა ააგო,  
რა მაღლმა ააგო  
სვეტი — ნიკორწმინდა!

გრძნობ, ვით დიადია  
თორბეტი სასკმელი,  
საზუმში ანთია  
ცეცხლი მისარქმელი:  
ნეტა ვინ აანთო,  
რომ გრძნობით აანთო,  
და წლებს გადაანთო  
ნათლად ნიკორწმინდა!

### გალაკტიონ ტაბაიძე

## ქებათა ქება ნიკორეძისას

ხვეულთ დიადება  
ფხედავ — რა უხვია,  
დრომ მას დიადება  
კრძალვით შეუსვია.  
ნეტა ვინ მოჰქარგა,  
და როცა მოჰქარგა,  
შიგ მიჰკარგ-მოჰკარგა  
გზნება — ნიკორწმინდა!

მკვეთრი და მოქნილი  
საზთა დასრულება  
არის ამოღქმნილი  
ნატერის ასრულება.  
ეს ის სიმკვეთრეა,  
ეს ის სიმდიდრეა,  
რითაც მკვიდრია  
ძეგლი — ნიკორწმინდა.

შენის სულმნათისად  
ასვლა ერთგანი:  
ყული გუმბათისა  
მაღალღეროვანი,

ცამდის აღერილი,  
ნებით აღერილი,  
სათლდ აღერილი  
გშვენის, ნიკორწმინდა!

მწერა ქართულია  
სიერცის დაუნჯებით,  
თვალი გართულია  
ფრთიან ფასკუნჯებით:  
ფრთები, ფრთები გვინდა,  
კიდევ ფრთები გვინდა,  
ვინდა დაეუღლო  
სიერცეს, ნიკორწმინდა!

შენ, ფრთამოღუღუნეს,  
ჟამთა სიმაღლესზე  
ჩვენი საუკუნე  
გიცავს უახლესი:  
მძლავრი ხელოვნება,  
ხალხის ხელოვნება —  
ბრწყინავს საქართველოს  
ქებად ნიკორწმინდა!





თქმენ, პოეტებო, მხატვრებო, არტიტეტებო...  
მწერლებო! შესძლებთ თუ არა განიცადოთ... ყოველსა  
ველივე ეს ისე, როგორც მოითხოვს თანამედრო-  
ვეობა? გრძნობთ თუ არა, რომ ჩვენს ეპოქას უნ-  
და ანათებდეს შესაფერისი ხელოვნება... მე გე-  
დახით თქვენ, გმირებო, შემოქმედების ცეცხლით  
საგზე ახალგაზრდობავე, შეითვისეთ და შეიყვან-  
ეთ ასალი საქართველოს ხმა: განახლება ან  
სიკვდილი! გაუმარჯოს ახალ შემოქმედებას!

გალაქტიონი, «გალაქტიონ ტაბიძის ძეგრი-  
ნალი», 1922, № 1.

\* \* \*

...ნამდვილი ხელოვნება ჩვენთვის უმაღლესი  
თავისუფლებაა, ხელოვნებისათვის არ უნდა არ-  
სებობდეს არავითარი დამმონებელი ძალაუფლე-  
ბა, არავითარი ავტორიტეტი, არავითარი ანტი-  
ხელოვნებითი ძალა, ხელოვნებას მხოლოდ ამ  
შემთხვევაში შეუძლია უფრო მძლავრად განა-  
ლოს ფრთები... ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი ენა შე-  
ვეერთოთ ჩვენს მშობლიურ გულსიტქმას. ამნაი-  
რად — ქართული ხელოვნება სინთეტური მოვ-  
ლებია; ჩვენ გვინდა ვიყოთ ისეთივე მოძრაი,  
როგორც თვით ცხოვრება. ჩვენ ხელოვნებას არ  
ვყოფდით არც ცხოვრებისაგან. ჩვენ ვჭინდით  
ახალ ფორმებს, სიტყვებს, ხმებს და სახეებს,  
რომელთაც გაგიჟებთ ეწაფებოდა სიახლესმოწ-  
ყურებელი ახალგაზრდობა. ქართული ხელოვნება  
უსათუოდ უნდა იყოს რევოლუციონური. მისი  
მიზანია ადამიანი, მშვენიერი და ძლიერი, სა-  
ქართველო და რევოლუცია მისცემენ მას ძალას,  
ათეზია სიმშვენიერეს და დღევანდელ დღეს ეს  
ხმა უნდა ისმოდეს, როგორც ხმა ვულკანური ორ-  
კესტრის.

192...

პოეზიის დღე.

\* \* \*

ძირითადად როგორია როლი მხატვრის,  
მგონის, მოქანდაკის? (უკეთ, როგორი უნდა  
იყოს).

ყოველი დიადი სახე უნდა აღებულ იქნას ცხოვ-  
რებიდან. ხელოვნების დასაყრდენი ცხოვრებაა.

საკუთარი ლექსების შესახებ.

17 ნოემბერი, 1950 წ.

\* \* \*

1908 — როლსაც ჩემი პირველი ლექსი დაი-  
ბეჭდა, ჩემს ცხოვრებაში შემოიჭრა რაღაც ახალი.  
მე მეჩვენებოდა, რომ სადღაც გაიღო კარი და მე  
ვიწრო და ბნელი საკნიდან ამოვედი თავისუფალ  
ასაპარეზზე და ყველგან, სადაც თვალი გასწე-  
დებოდა, იყო მზე, შიშარობა, სინათლე.

ავტობიოგრაფიული ჩანაწერები.

\* \* \*

რომ შექმნა რაიმე დიდი, უნდა გჯეროდეს  
საკუთარი თავის და ვერასოდეს ვერ დაუჯერებ  
თავის თავს, თუ სასაცილოდ დამარცხდი, რომ  
შექმნა რაიმე დიადი, არ უნდა გემინოდეს სვა-  
ლინდელი დღის...

## გალაქტიონ ტაბიძე

## ხელოვნების შესახებ

ნებით გამოხატულ სიბრძნეს — გამოხატავს ხელოვნება, არა — მარტო სიტყვიერი, არამედ უუნოც, ქვეც; ხუროთმოძღვრება — მაგალითად „მქეთის ჯვარი“ სიამაყე ძველი ქართული ხუროთმოძღვრების...

როგორ არაა ჩვენთვის ძვირფასი მე-10, მე-11 საუკუნეების დიდი ხელოვნება, მამინდელი ხუროთმოძღვრება, შენობის დიდებული გარეგანი სამკაული, განსაკუთრებით ჩუქურთმა (ორნამენტი) უდიდესი ძეგლები მამინდელ ხუროთმოძღვრებისა: ალავერდის ტაძარი, ბაგრატ III ტაძარი, სვეტიცხოველი, სამთავისი, ბეთანია, სამთავრო, ნიკორწმინდა.

როდესაც ნიკორწმინდელი დურგალი შოჰში მაგიდას მიკეთებდა, თან მიყვებოდა ამბებს ნიკორწმინდის ჩუქურთმების შესახებ, მე დავიპირდი მას, რომ ამ მაგიდაზე დავსწერ რაიმეს იმ ძეგლის შესახებ. მე ეს დაპირება შევასრულე... იმ დღესვე დავსწერე „ქებათა-ქება ნიკორწმინდას“.

\* \* \*

...ჩემნ ძველი კულტურა მიღებული გვაქვს ისტორიულად და მოვალენი ვართ დავიცვათ იგი და გამოვიყენოთ იარაღად, სადაც და როგორც კი დაგვიტრდება. თანამედროვეობის ამ დროშებით სვლა, რომლითაც წინ მიდის, წინეთ მცირერიცხოვანი, ეხლა კი მძლავრი არმია, დაიწყო ქართულმა პოეზიამ, და მიჰყვა ხელოვნების სხვა დარგები; ჩვენი თეატრი, ჩვენი მუსიკა, ჩვენი მხატვრობა. და ამჟამად ჩვენ გვაქვს ერთი დიადი, მოლანის, თანამედროვე ხელოვნება, ემოციური, რომანტიკული, უაღრესად ქართული.

\* \* \*

...ხმლიწმინდა, რა თქმა უნდა, უპირველესად უნდა იყოს ხელოვნება, მაგრამ არა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ სფეროში; იგი უნდა იყოს, ეროვნული იდეა — და ამ დროს, როგორც რევოლუცია იგი უნდა იყოს მოწოდება.

1947 წ., შოჰი.

\* \* \*

მწხლად ასეთი რამ: გაერთიანდა ორი საწყისი: ლირიკული და რეალისტური დრამატიზმის, აპოთეოსის: პირველი არ იჩრდილება მეორეთი, და მეორე პირველით...

პარალელი: ლექსი, ნოველა — მხატვს ორ მოპირდაპირე მიმდინარეობას ხელოვნებაში — გოია და ბოტიჩელი, შველი და ბაირონი, მაიაკოვსკი და ესენინი (შეიძლება, ძალიან შორეულად), ჩემში კი ეს მთავარია.

1950 წ.

\* \* \*

...ძალიან გრანდიოზული, ლამაზი თავის დაკვრა იციან მსახიობებმა.

ოპერა „პიკის ქალზე“. 1953 წ.



\* \* \*

ლიტმარტარსმ ისეა, როგორც დღის მოძრაობა. მას აქვს თავისი განთიადი, თავისი შუადღე, თავისი საღამო და ღამე. ყოველ მომენტს ესაჭიროება თავისი პალიტრა. განა შუალამს არა აქვს თავისი განსაკუთრებული სილამაზე, როგორც, მაგალითად, მზის ამოსვლას? განა სისხლისფერად წითელი მზის ჩასვლისას არ გხიბლავთ იმე ვარიეე იღუმალი ფერები, როგორც მზის ამოსვლის დროს? ყველა ეს ფერები, რომლებიც ენ-



ნოდ, დროს, ეპოქის და სივრცის გარეშე... რასაც...  
ვირველია, ყოველივე შენი ნაწარმოების სტრიქონებში დრამა ჩაქსოვილია ეპოქები, ეპოქა წაჩებიასაც, ეპოქა ახალი ცხოვრების მოპოების, ძველის ნგრევით, ეპოქა გარდატეხის, ეპოქა მიმზე ინდუსტრიის შექმნის სოციალისტურ ნიადაგზე, ეპოქა, რომელიც ეკადება მსოფლიო კაპიტალს, ეპოქა, რომელიც წითელი დროშის ქვეშ გამაგებელი ერთ მექსეუსზე დედამიწის ზურგზე აშენებს ახალ ცხოვრებას...  
აღნიშნე დრო. დრო აღნიშნე

დრო. 7/11-31 წ.

\* \* \*

მომი საქმეა წიგნის დაწერა — წიგნის შექმნა, მეორე კი ამ წიგნის ხალხში გატანა. გაალოლა უნდა წიგნი. წიგნი სულიერ არსებად უნდა აქციო. წიგნი რომ ფეხის ადგმას იწყებს, სანამდე თვით ივილიდეს, ის შენ უნდა წაიყვანო. გაუძღვე შენდგეში წინ დიდის თვალყურისდევნებით, რომ ის არ წაიქცეს, როგორც ეს ემართება ახალფეხადგმულ ბავშვს. დიდი სიფრთხილეა საჭირო, დიდი გულმოდგინება, დიდი ყურადღება. აქ მართო ავტორი ვერას გახდება: საჭიროა ყურადღება ორგანიზებული მასის. თვით იმ მასის, ვისთვისაც შექმნილია ეს წიგნი.

\* \* \*

— იმე, რას გეტყვი? ტენიკაში არის თავისებური უდიდესი პოეზია. ეს პოეზია უფრო დამარწმუნებელია, მშვენიერი და დიდებული უფრო ტენიკაში, ვინემ ბუნებაში. რკინიგზის სახელოსნოების მანქანებისა მუსიკა, ან საროტაციო მანქანის მუსიკა მირჩენია მშვენიერ სალამურს ხანდახან. შენ ამას ვერ მიხვდები, ჩემთვის კი გარდაუვალი ქუშარიტებია.

— ეს რკინის სიმღერა-პოეზიაა ორი დიდი გიგანტის. ადამიანს გონებისა და დაუდგრომელი შრომის.

\* \* \*

არაშორი ისე არ აცხოველებს ადამიანს და მხნეობას არ ჰგერის, არაფერი ისე ხალისიან გუნებაზე არ აყენებს, როგორც თავის მსგავს ადამიანებთან ერთობა ან, მეორეს მხრით, არაფერი ისე არ სტანჯავს ადამიანის სულს, არაფერი არ ბადებს მასში ისეთ სევდიანობას, დაღონებას და გულგატეხილობას (აუკოლონიზმის ამ ერთგულ მოსამსახურებს), როგორც გრძნობა მარტოხელობისა და განწყენებულობისა. მისვლა-მოსვლა, ერთობა, ურთიერთშორის დახმარება — აი დევიზი.

\* \* \*

სანდრო ბასამე ერთადერთი კომპოზიტორი იყო, რომელიც ანგარიშს უწყვედა ქართული სიტყვის თავისებურებას, მისი მუსიკალურ ნიშნებზე გადატანის დროს: იგი ყურადღებას აქცევდა მასევე.

ს. კავსაძის მუსიკაზე.

\* \* \*

თბიან და იღვრებინ დიდი დღის აღმურში, ეს სიხვედით გაკვეთილი ფანტასტიკური ღრუბლები, ჰეროიან ბაბილონის ნანგრევებით რომ გვეყვებოიან, განა იმათში ნაკლები პოეზიაა? განა შეიძლება ვინმემ უარყოს ბარათაშვილის „შემოღამება“, ისე როგორც მისი „მერანი“ მზით დამწვარ ცხელ უდაბნოში? ეს დრო ჩვენს ლიტერატურაში არ დადგება.

\* \* \*

ხალხში პოეზია განირჩევა სიმსუბუქით, უბრალოებით, მუსიკალობით, ხალხური პოეზია შეგნებულად გაურბის ყოველგვარ მიმზე გამოთქმებს, იგი ბუნებრივია. იგი კრისტალურად წმინდაა.

\* \* \*

აღნიშნე დრო, დრო აღნიშნე შენს მიერ ნაწერ ფურცლებზე. ნუ დასტოვებ მით უთუხტო-

\* \* \*

ბამისოვნი. მეშვიდე სიმფონია. მქუხარე ტაშისცემა. შენდგე დუმილი. იწყება ნელა. შემდეგ



მისი ქვით. რამდენი ნაზი სიყვარულია — ხმებში. იზრდება პანგები ნელი piano... რაკრაკებს ნაკადული, უერთდება მას მეორე ნაკადი. უცებ ორივე შეწყდა, თითქო მიწაში დაიკარგა და ამოვიდა ისევ ხელა piano... სხვაგან.

ბუბუბულების განმავრება. ნელი ქარი იზრდება. იზრდება, იზრდება და აი forte... ისევ პიანო — მშვიდი გამოხმავრება, უნაზესი ლირიკა პოეტის მიუსესი. ისევ ფორტე. პროტესტია? ხმა სადღაც დიკარგა და ამოხეთქა piano-დ და იზრდება ფორტეთი. ტრელი. ნელი ვალსია? ცელქი ქარი გიჟურად დატრიალობს. გიჟური ცეკვა, იდილიური დაწყება პასტორალისა...

ისევ „მოდი“ და შეჩერება დასასვენებლად გიჟური შეხვედრის დროს... დასვენება.

(მქუხარე ტაში)...  
სინელე მქუხარე პროცესიის ხმა გულცივი ფილინოს, რომელსაც აჰყვას... მთელი ორკესტრი...

პანგები ერთმანეთში ჩვეულებრივად იხლართებიან, სტირიან, თუ იგონებენ?..

(მქუხარე ტაში)...  
სინარულის ცეკვა...  
(მქუხარე ტაში)...

იწყება თითქო ბარიაკადებზე ბრძოლა. მქუხარე ტაში აგრძელებს ამ გმირული სიძლიერის შთაბეჭდილებას.

რა დიდებული მუსიკაა. იგი გრძელდებოდა მთელ საათს თითქმის და რა მოუწყვენელია.

მოსკოვი, 24 ილისი, საღამო.

\* \* \*

სხმაღსხმა ფერადები.  
აფერადების გამმა...  
შერევა ფერადების...  
წითელ-ყვითელი...  
წითელ-ყვითელი...  
სიბრმავე, რომელიც უშლის ფერადების დანახვას.

წითელი, ყვითელი—ფერია ხმაურობის მოყვარული საზოგადოებისათვის, ბაზრის, სახალხო დღესასწაულების (შპენგლერი).

მოცისფერი, მომწვანო ტონებია (მსოფლიოს აქვს სიღრმე და სიერცე). ეს ფერებია არა საგნების, არამედ ატომის ფერის — ისინი სპობენ სხეულებს და ბადებენ შთაბეჭდილებას: სივრცის, სიმორის, უსასურროების. ისინი არიან ატომსფერის ფერადები. ისინი აქმნიან პაეროვან პერსპექტივას.

აქ საუბარია არა (ნოყიერ) ახლობელ, სინარულიან სიმწვანეზე, არამედ გაურკვეველ მოცისფრო-მწვანე ფერზე.

1936 წ.

\* \* \*

მოლა თოიბაი

ბუშინ ასეთი შემთხვევა იყო: რუსთაველის პროსპექტზე რომ ბოროტობის კანტორაა, იქ შევედი წყლის დასალევად... არ გასულა ორი წუთი

რომ ფაცა-ფუცით დარბაზში შემოვიდა მისე თოიძე... მე დამინახა... ძალიან გაუბარდა... და შევეყვით საუბარს. მე გავიხსენე 1893 წ. ჟურნალი „კვალი“, რომელშიც მოსეს სურათი იყო დახატული. პატარა ობოლი მათხოვრები წვიმაში. ქვეშ რომ ლექსით წარწერა იყო: ქარი ქრის, ხეებს ძირფესვიანად არყვებს, ბავშვები კი შეფარებიან ქურის კედელს და მძულარე ცრემლებით სტირიან.

— მაშინ ახალგაზრდა ვიყავი — სთქვა მოსემ. ჯერ კიდევ არ მქონდა სასწავლებლის კარები ნახული — ისე ვხატავდი.

...ამას წინად პლენარის პროსპექტზე მივდიოდი. ჩემი ყურადღება მიიპყრო შემდეგმა სცენამ. ტრამვაი გაჩერებულია, ვატანი ცხარობს, ხალხიც შეკრებილი, ხალხის შუაგულში მოსე

გალაკტიონი და კ. ბალმონტი.





ბარდნივალს ელისაბედ ჩერქეზიშვილი. ვერის ხიდან, სადაც დარიალისკენ მიმავალ ბილეთებსა ჰყიდიან, ისიც იდგა თურმე რიგში ბოლნისში გასამგზავრებლად. იქ წარმოდგენაზე იყო მიწვეული, „სახუმა“ უნდა ეთამაშნა. „ბოლნისიდან კვერცხები უნდა ჩამოფუტანოთ ჩემს შვილსო“ — ამბობდა (შვილი საზღვარგარეთიდან დიდი ხანი არაა, რაც დაბრუნდა. ხიზანიშვილიდანა ჰყავს, ტუბერკულოზითაა ავად). სულ ამ შვილზე დარბობდა საწყალი ელისაბედი. უკანასკნელადაც მასზე ჰფიქრობდა, ის უდგა თვალწინ. აღმერთებდა მას, რიგში მდგარ ამხანაგებს ხვლაც მასზე ესაუბრებოდა „ბოლნისიდან რამეები უნდა ჩამოფუტანოთ“.

უცრად გული შეუწუხდა, ჩაიკვცა, გათავდა კიდევ, ხიდის ყურთან. ვერის ხიდან, სადაც იდუმალია მტკვარი, საიდანაც ასე ნათლად სჩანს კავკასიონის მთის მწვერვალები, ყაზბეგი, სადაც ლესელიძის ძეგლია, სადაც ამდენ ამბავშია მტკვარი, სადაც სანაპიროა და ახალი სანაპირო შენდება — წაივდა ამ სანაპიროდან სხვა სანაპიროში ელისაბედ ჩერქეზიშვილი.

— ბედნიერი სიკვდილიაო — ამბობდა გოციაშვილი (მარჯანიშვილის თეატრის წინ შემგვდა), მაგრამ როდესაც ასეთი სიკვდილით ჰკლდებიან, სახეზე ღიმილი თან დაჰყავება ხოლმეო, ელისაბედის სახე კი რაღაც უღრმეს მწუხარებას გამოხატავსო. ექ, შვილმა გადაიტანაო.

გაიხსენეთ იგი, ჯავახიშვილი, ია ეკალაძე, ისინიც უცრად გარდაიცვალენ.

— ცუდიაო, — სიქვა გოძიაშვილმა, — როცა ლაპარაკი სონაზე ჩამოვარდა. ცუდიაო, როცა გიჭირს და ამას ხალხი ხედავს. კარგია, როცა გიჭირს და როცა რომანტიკულად განწყობილად კი აჩვენებ თავსო.

შენს გაჭირვებას ხალხი არ უნდა ხედავდესო.

1948 წ.

\*\*\*  
ბილწონის ბრამბლეა

ხმლწონი, რომელიც ლაბორატორიულ მუშაობას მოსწყვება, თავს ასე იხვევებოდა: ამ შეცდომას, რომელიც სხვადასხვა მიზეზებითაა გამოწვეული, გადაეწყვეტა გზას ესლა, მხოლოდ ერთხელ... რა დიდი ამბავია თავისთვის წინააღმდეგ წახვიდე, და ისიც მხოლოდ ერთხელ... განა ჩემი მონაგალი ჩემს ხელში არ არის? განა ხვალეუ არ შევედგები ჩემს სწორი გზით სიარულს, იმ გზით, რომელიც მიყვარს, ვალმერთებ... მაგრამ ხელოვანს იმედი არ გაუმართოდა. იგი ერთხელ მოსწყვიტეს რა კერას, წაიყვანეს თავისი გზით, გაცილებით უფრო იოლით და სასიამოვნოთი. იაფი ტამისციმის გზით, იაფი ყვავილებით, იაფი რეკლამით და როდესაც ხელოვანმა მოისურვა თავის წინანდელ გზას დაბრუნებოდა, იგი ვეღარ იპოვა, დაჰკარგა ხა სწორი გეზი, შემოიკვალა ყალბი დიდების შარავანდეცი. იგი მოსწყინდათ, იოლი და სასიამოვნო გზაც გაჰკარა, ტანს აღარავინ უკრავს, იაფი ყვავილებიც დასჭკენ. ხელოვანი მარტოდ მარტოა.

რაღაცაზე ძალიან ჯავრობს. თურმე იქვე ვატმანი ვაგონში არ უშვებს ქალს, რომელსაც ხელში სამოვარი უჭირავს...

— რაშია საქმე, მოსე? — შევეკითხე.

— წარმოიდგინეთ, — სიქვა მოსემ, — ძლივს ძლივებით ვიშოვე აი ამ მაღალიაში (ძველ ნახმარ ავეჯსა და სხვა რამეებს რომ ჰყიდიან) ეს სამოვარი... სწორედ იმ ტიპის სამოვარია — წინად რომ გორში ხმარობდნენ, სურათისათვის მინდაო.

ძალიან უყვარს მოსეს „სამოვარი“... აქვს სურათიც „სამორის მელიდია“... ავტობორტრეტი სამოვართან...

...მოსეს სახლში ერთხელ ხანძარი გაჩნდა. მოსე კი ვერ აჩნევდა. სურათის სატავა და ამბობდა: «Какое великолепное освещение, как хороши эти светотени».

ტროლეიბუსში შემხვდა მოსე. ჩემს ლეკსზე მითხრა — რა დიდებული ლეკსია. როგორ აზრიანდა დალაგებული ფორმით, შინაარსით. ყველაფერზე ალტაცებით ლაპარაკობდა, ასე მხოლოდ ძველ კაცებს შეუძლიათ ლაპარაკი.

28 იანვარი, 1941 წელი.

და აქ იწყება მისი ტრაგედიაც. დაცარიელებული  
სულით ბრუნდება დიდი ხნის შემდეგ თავის ლა-  
ბორატორიაში და იქ ანონიმური ბარათი ხვდება  
ლექსად დაწერილი:

სურათი, რაზე კარგზე მგლოვარი —  
ვეელას რაიმე აქვს სახსოვარი.

კაცს საწუთრო როგორ ახწევს,  
იძლეოდი დიდ იმედებს.  
ეგონათ, რომ ბედი დადგენს.  
მხოლოდ შენთვის გაიმეტებს.  
ურემს დიდი სიძაწის ალით, მიათრევდა გზად  
უშვარბი,  
მაინც განვლდე იმ ჰერალოთ —  
საუკუნის ნახევარი.  
ნღმა გვქონდა მეტისმეტე  
და გზას გაგანჯარებდით.  
არ გამართლდა ის იმედი, ჩვენ რომ  
შენზე ვაშაურებდიო!

დიდის ჰერალოთ, მაგრამ მაინც მიდიოდა ურემი  
ბოლოს იგი გადაბრუნდა ურემი გადაბრუნდა და  
გზაც მერე გამოინდა: ნამდვილი სელოვნების გზა,  
მშვენიერ შე მშვენიერი გზა. მაგრამ... რა ახლავა  
და როგორ შორსაა იგი... ხელოვანი უკვე ჰქალა-  
რაშერეული კაცია! ემ! საბოლოოდ გადაბრუნდა!

2 ნოემბერი, 1948 წ.

„შენი, სამშობლოც, მსახოვარი,  
მა, ჩემი ჩანტი სწორუპოვარი,  
მა, გულეც რადგან თანამშრომელი  
ვეელას რაიმე აქვს სახსოვარი“ —

მისწავნის რადიოს ეკსპენდი. იგი გადმოს-  
ემდა სპეციალურ თესვას „ქართული სელოვნე-  
ბა“. მართლაც რომ იმეათი დახვეწილი მუსიკა-  
ლური ნიმუში იყო გადმოცემული. მშვენიერ ქარ-  
თულ მოტივებს მღეროდნენ გუნდები. უკვე გაის-  
მა. — გალაკთინ Табидзе, народный  
поэт Грузии — «Октябрь и мир».

დიდებულად კითხვობდა რუსი მსახიობი კა-  
ჩალოვი ჩემს ლექსს, გამახსენდა კაჩალოვი, ორ-  
მედიათხში ჩემს ლექსებს რომ კითხულობდა  
რადიოთი ოფიცერთა სახლში და სხვა. მისი წა-  
კითხვით ჩემი ლექსები ქვერდნენ დიდი ხელო-  
ვნებით. ასევე რადიოთი კარგად იყო გადმოცე-  
მული მშვიდობისადმი სულსკვეთები...

1950 წ.  
დეკემბერი. ღამე

როგორ კითხულობდა აკალოვი ჩემს ლექსებს  
იმშვიდი ლექსების მკითხველი იყო კაჩალოვი.  
უკვე მისი სახლის გამოცხადებისთანავე თეატრის  
ნის დარბაზს გამოიყვანა დეტეკტი. თეატრის  
იგრძობდა მსაქტურული შემოქმედებისადმი ის  
იზივით გრძობა, რომელსაც ასეთი სასიუბით  
ინახავს ყველი კულტურული მსმენელის გული.  
გამოვიდა თუ არა სცენაზე ის, ვინც ასეთი სიყვარ-  
ულით უყვარდათ, დარბაზი ხანგრძლივმა ტა-  
მისივლად დააყრა, მალე ოფიცებიც გადაიქ-  
ცა და შექმნა ის საყვარელზე საყვარელი  
ატმოსფერო, რომელიც არასდროს არ ავიწყდება  
ადამიანს. ოფიცებიც დასცნა. კაჩალოვი იწყებს  
კითხვას ჩემი ლექსისას: „ვეელას რაიმე აქვს სახს-  
ოვარი“. დარბაზმა სული განახა:

ლექსის კითხვა დამთარდა. მაგრამ დარბაზის  
ტრიუმფი, ნამდვილი ტრიუმფი, სწორედ ესა  
იწყება. ზღვას, მღვღავრ შედა, დამსკავებელი  
აუდიტორია გრილვებს: კაჩალოვ, კაჩალოვ, ბის,  
ბის.

კაჩალოვი ყვავილების კონებით. ხალხის მიერ  
გადასრულილ ვარდებით იცხება სცენა, რომე-  
ლიც სწორედ ესაა სცენა. ბის, ბის, კაჩალოვ!  
კაჩალოვი იწყებს ჩემი მეორე ლექსის „ფიციის“  
კითხვას... ეს ხდება 1944 წ. სამამულო ომის  
დროს, აქ კი სწორედ გაუმეორებელი იყო კაჩა-  
ლოვი. „ფიცი“ ისმოდა, რეორგაც მოქმედი  
ჩქლის წკრალთ, დიდებულად წაივინა კაჩა-  
ლოვმა, არ შეიძლება გადმოცემა იმ შთაბეჭდი-  
ლებისა, რომელსაც იგი ახდენდა მსმენელებზე.

წარმოიდგინეთ, კაჩალოვს მე ვინებოდი 1918  
წლიდან, ბევრჯერ მიხანავს სცენაზე, ბევრჯერ  
შეგხედრივართ ერთმანეთს. ბანაკები, რომელიც  
ერთხელ მას გაუმართეს თბილისში, დაუვიწყარ-  
ია მუდამ ჩემთვის. მე მუდამ მემსახურებდა კა-  
ჩალოვი, უდალდეს შემოქმედი მემსახურებდა, ვი-  
ნაიდან, მართლაც „ვეელას რაიმე აქვს სახსო-  
ვარი“.

14 თებერვალი, 1950 წ. საღამო ხანს.

ეს მასალები იბეჭდება გ. ტაბიძის აკადემიური გა-  
მოცემის მე-12 ტომში, რომელსაც სცემს „საბჭოთა სა-  
ქართველო“. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და კო-  
მენტარები დაურთეს ლ. სანაძემ. მ. ხუციშვილმა და  
ი. ლორთქიფანიძემ (ზოგიერთი მასალა იბეჭდება შე-  
მოკლებით).

ზოგს ჩაის ვარდი, ზოგს კინოვარი,  
ზოგს ოქრომედით მონასქოვარი,





## გალაკტიონის

### ჩუქურთმა

ლალი მარტაშვილი

ჰაზუმ ამოკვეთილი ყურძნის მტევანი (ვაზის დიდი ორნამენტის ფრაგმენტი), რომელიც ამჟამად გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის მემორიალურ ფონდშია დაცული, ათეული წლების მანძილზე ამშვენებდა გალაკტიონ ტაბიძის სამუშაო მაგიდას.

მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში, რომელშიც, სხვა ძვირფასეულობასთან ერთად, გალაკტიონ ტაბიძის ხელნაწერთა დიდი არქივიცაა დაცული, შეხედვებით პოეტის აღტაცებულ სტრიქონებს, მიძღვნილს ქარ-

თული ჩუქურთმისადმი. „ჩვენი დიდი ხელოვნება, მაშინდელი ხუროთმოძღვრება, შენობის დიდებული გარესამკაული, განსაკუთრებით ჩუქურთმა“ აოცებს პოეტს. „რიგი ტაძრებისა შემკობილია საუცხოო ჩუქურთმით, ქვაზე ჭრის ისეთი რელიეფური წესით, რომელიც სინათლისა და ჩრდილის მკვეთრი შეპირისპირებითაა ნავარაუდვეი“. პოეტი განუცვიფრებია ალავერდის დიდებულუბას, ბაგრატიისა და სვეტიცხოვლის ტაძრებს, სამთავისა და ბედიას, სამთავროსა და ნიკორწმინდას.

ყველაფერს მშფინერსა და სრულ-

ყოფილს პოეტმა ჩუქურთმა დაარქვა. ქართული ანბანის ქებათა ქებაში გალაკტიონი წერს:

„შენ სიძველის ვაშაავს ნელი ხავსი,  
ქვაზე კრილი ხარ ჩუქურთმის მსავსი“.

როგორც ცნობილია, 1947 წლის ზაფხულში გალაკტიონ ტაბიძე ისვენებდა კურორტ შოვის სანატორიუმში. იქ მკითხველგებთან შეხვედრისას პოეტს გაუხსენებია ძველი ამბავი: „...ეს იყო 1917 წელს. მოსკოვიდან ახლად დაბრუნებულს შემატყობინეს, რომ ქუთაისის გუბერნატორის მიერ განკარგულება იყო გაცემული ჩემი

დაპტიმრების შესახებ. ეს განკარგულმა მიეცა ქუთაისის პოლიციას, აგრეთვე ჟანდარმერიას სისრულეში მოსაყვანად. რის შესახებაც მე ჩემად მაცნობა გუბერნატორის მდივანმა, გარად დადინა.\*

გალაკტიონს ურჩიეს არალეგალური ცხოვრება დაეწყო. იგი თურმე ხან ერთი, ხან მეორე მეგობრის ბინაზე ცხოვრობდა ფარულად და შემოქმედებით მუშაობაში ისე ვართულა, რომ გუბერნატორიც დაიწყებია და მისი განკარგულებაც.

პოეტი მოგვითხრობს: „ასეთ მდგომარეობაში განვგავრძობდი ერთი დღი ხნის წინათ დაწყებული წიგნის „ქართული ორნამენტის“ წერას. საქმე იმაშია, რომ ყრმობიდანვე მიტაცებდა ეს თემა. მასში მე ვგრძნობდი და ვხედავდი ქართველი ერის, მისი ხელოვნების, მისი ადამიანობის მთლიანი ბუნების ნიჭს. ჩემთან სანახავად მოსულს პოეტ ბეგლარ ახოსპირელს ვთხოვე: ჩამოეტანა ჩემთვის რაიმე ორნამენტი, მან თხოვნა შემისრულა, მომიტანა დროთა სვლისაგან ხავსმოკიდებული ორნამენტი, რომელიც ყურძნის მტევანს გამოხატავდა. დავიდე მაგიდაზე და განვაგრძობდი წერას“. ამ წერილში სწორედ იმ ორნამენტზეა ლაპარაკი, რომელიც ახლა გალაკტიონის მემორიალურ ფონდში ინახება. მასასადამე, ეს ორნამენტი 1917 წლიდან იღო პოეტის სამუშაო მაგიდაზე.

ძველი ქართული არქიტექტურული ხელოვნების დიდად პატივისმცემელი გალაკტიონ ტაბიძე თავის ერთ-ერთ ჩანაწერში ამბობს: „ჩვენ ეს ძეგლები გადმოგვცა ისტორიულად და მოვალენი ვართ დავიცვათ ისინი, გამოვიყენოთ იარაღად სადაც და როგორც კი დაგვეირღება. ამიტომ არის, რომ მონუმენტალური არქიტექტურის, ისტორიული ძეგლების სისტემატურ შესწავლას აწარმოებს ჩვენს აკადემიაში შემაგალი ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, ეს

ძეგლები იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ ჯერაც გამოვლინებული არ არის მთელი დღემდე შენახული მასალები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების წინაშეც სდგას ამოცანა განაგრძოს,

გააფართოს და გაღრმავოს შესწავლა საქართველოს ეროვნული კულტურის.

ეს ძეგლები გვეუბნება ჩვენ ქართველთა შესახებ, იმ ქართველთა, რომელზედაც ძველი ისტორიკოსი ამბობს: „ზენი ქართველთა ჰქონდათ, პირმტკიცობა, მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათვის მხნედ ბრძოლა,

მაგრად დგომა მისთვის, ციხე-სიმაგრეთა და ქალაქთა შენება, მაგრება ქვეყნისა. სწორედ ეს „ზენი“ გამოიჩინა საქართველომ ჩვენს უკანასკნელ ომში. ომიდან დაბრუნებული ქართველობა თავდადებით განაგრძობს ვერაგი მტრის შემოსევით შეწყვეტილ შემოქმედებით მუშაობას“.

ეს მოკრძალება და პატივისცემა დიდებული ქართული ხელოვნების მიმართ გალაკტიონ ტაბიძემ თავის ლექსებშიც ბრწყინვალედ გამოაქანდაკა.

მუზეუმში სათუთად იცავენ გალაკტიონ ტაბიძის საყვარელ ჩუქურთმას, რომლისთვისაც პოეტს „ნელი ხავსი“ მოუცილებია.



\* უფრო ვრცლად იხილე ჟურნალი „ციცქარია“, 1969 წ., № 5, ქეთევან ხაჩიავლის პუბლიკაცია.

# დიდი ზემოქმედებითი დათვალიერება

ანდრია ბალანჩივაძე

სხუთმა წელმა განვლო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წინამორბედი, IV ყრილობის შემდეგ. ამ ხნის მანძილზე ყოველწლიურად ვატარებდით შემოქმედებით პლენუმებს (საანგარიშო პერიოდში გაიმართა ოთხი ასეთი პლენუმი), რომლებზედაც სრულდებოდა ჩვენი კომპოზიტორების ახალი ნაწარმოებები, მაგრამ მორიგი V ყრილობის კონცერტების დანიშნულება მაინც სხვაა. ეს არის გაცილებით უფრო მაღალი რანგის შემოქმედებითი ფორუმი, რომელზედაც წარმოდგენილია ქართველ კომპოზიტორთა საუკეთესო ნაწარმოებები. მათი საშუალებით ევენობით თანამედროვე ქართული მუსიკის დღევანდელ ვითარებას, ჩვენი კომპოზიტორების იდეურ-მხატვრულ დონეს, გამოწვევებით მათ მზადყოფნას იმ მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებსაც ჩვენს წინაშე სახავს საბჭოთა ხალხი, პარტია, ცხოვრება.

კომპოზიტორთა კავშირმა, მისმა შემოქმედებითმა სექციებმა დიდი მუშაობა ჩატარეს საანგარიშო პერიოდში შექმნილი ნაწარმოებების შესარჩევად. აი ისინიც: საბჭოთა ჟანრში — ს. ცინცაძის ერთაქტიანი ოპერა „განდევნილი“, ხლო საბალეტოში — ბ. კვერნაძის ერთაქტიანი ბალეტი „ბურთაბაა“. მუსიკალური კომედის ჟანრი წარმოადგენილია გ. ცაბაძის ოპერეტით „თოვლიანი მთების მელოდია“.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საანგარიშო პერიოდში ქართველმა კომპოზიტორებმა ყველაზე ნაყოფიერად სიმფონიურ და, ნაწილობრივ, საკონცერტო-ინსტრუმენტული მუსიკის დარგში იმუშავეს.

საერთო აღიარება ჰპოვა ქართული სიმფონიური მუსი-

კის გამოჩენილი ოსტატის შ. შველიძის მე-4 სიმფონიამ. დიდი რეზონანსი ჰქონდა გ. ყანჩელის მე-2 სიმფონიის „საკალბელი“ (იგი წარმატებით შესრულდა არა მარტო თბილისსა და მოსკოვში, არამედ უცხოეთშიც). აღსანიშნავია აგრეთვე დ. თორაძის მე-2 სიმფონია „ქებათა ქება ნიკორწმინდას“, რ. გაბრიჯაძის კამერული სიმფონია და მე-3 სიმფონია (მისი პრემიერა გასულ წელს შედგა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ როსტოკში). კომპოზიტორ ნ. გაბუნას სიმფონია № 1 და, განსაკუთრებით, ა. მაჭავარიანის სიმფონია № 2, რომლის შექმნაზე კომპოზიტორი დიდხანს მუშაობდა.

საანგარიშო პერიოდში ძალზე ნაყოფიერი იყო ს. ნასიძე. მან იმდენი საინტერესო ნაწარმოები შექმნა, რომ გაგვიძნელდა რომელიმე მათგანის შერჩევა. საბოლოოდ, უპირატესობა მივანიჭეთ მის კამერულ სიმფონია № 3-სა და ახალ სავილინო კონცერტს. ახალგაზრდა კომპოზიტორ ვ. აზარაშვილის სავილინო-ჩემლო კონცერტს სერიოზულ ნაწარმოებად იქნა აღიარებული და მისი შეტანა საყრილობო კონცერტის პროგრამაში სავსებით კანონზომიერია. აღსანიშნავია, რომ საბავშვო მუსიკას შეემატა ნორჩი შემსრულებლებისთვის განკუთვნილი ს. ცინცაძის სავილონო-ჩემლო, ნ. მამისაშვილის საფორტეპიანო (№ 2) და ი. გვეჯაძის სავილინო კონცერტები.

მრავალფეროვანია ვოკალურ-სიმფონიური მუსიკის სფერო, რამაც საშუალება მოგვცა შევეკვრინა ფრიად საყურადღებო ნაწარმოებები. მათ შორის გამოირჩევა ო. თაქთაქიშვილის კანტატა „გურული სიმღერები“, რომელიც დიდი წარმატებით შესრულდა თბილისსა და მოსკოვში. ორი-





გინალური ფორმითა და სტილით მოწონება დაიმსახურა ნ. სვანიძის გამერულმა ორატორიამ „ფიროსმანი“. სხენებულ ჟანრს განეკუთვნება აგრეთვე გ. კოკელაძის „კანტა-ტას საქართველოს“, შ. მილარავას კანტატა „ქვეყნა ბაღ-ნარია“ ა. დ. ჩიმაკაძის რამდენიმე მცირე ფორმის ვოკალურ-სიმფონიური ნაწარმოები.

საინტერესოა კამერულ-ინსტრუმენტული და საუნდო მუსიკის კონცერტების პროგრამაც, რომელშიც შეტანილია ნ. ცინცაძის მე-7 სიმებიანი კვარტეტი, ა. შავერსაშვილის მე-2 საფორტეპიანო ტრიო, ნ. მამისაშვილის კონცერტონი საფორტეპიანო კვინტეტისთვის, ა. ბალანჩივაძის „12 რამანტიკული პიესა“ ფორტეპიანოსთვის, გ. ციციშვილის სონატა, თ. თათაძის ფორტეპიანოს სუიტა, ვ. ცაგარეიშვილის, ა. ჩიმაკაძის, შ. მილარავას, მ. ფარცხალაძის, ი. გეგაძის, ი. ბობოხიძის, ქ. ჯარუხნიშვილის, თ. ბაკურაძის, ი. კეკელიძის, გ. სიხარულიძის საუნდო ნაწარმოები. აი, ასეთი ვრცელია მრავალფეროვანია რეპერტუარი, რომელიც გვაძნობს თანამედროვე ქართული მუსიკის შემოქმედებით მიმართულეებს.

არ შეგუდგები შემოსხენებული ნაწარმოებების შეფასებას (დღე, თვითონ მსმენელით გამოთქვან პიროვნული აზრი), მით უმეტეს, — ანოტირებას, მაგრამ მსურს მკითხველს გაეუზიარო მოსაზრებები ქართული მუსიკის დღევანდელ ვითარებასა და მის პერსპექტივებზე.

დიდი შემოქმედებითი ამოცანები, რომლებიც მკაფიოდ ჩამოაყალიბა აშხ. ლ. ი. ბრეჟნეშვილმა სკკპ XXIV ყრილობაზე, უაღრესად სერიოზულსა და საპასუხისმგებლო პრობლემებს გვისაჩვენებს კომპოზიტორებსაც. ჩვენ, ისევე, როგორც საბჭოთა ხელოვნების სხვა დარგების წარმომადგენლები, მოწოდებული ვართ, ვუპასუხოთ საბჭოთა ხალხის მზად სულდრ მოთხოვნილებებს. ქართული კომპოზიტორების ვალაია არა მარტო ხალხისთვის საყვარელ მასობრივ-დემოკრატიულ, არამედ დიდი ფორმისა და განმარტადებული ხასიათის ჟანრებშიც ასახონ დღევანდლობის სიდიდე და სიღამაზე, საბჭოთა ხალხის შრომიით და შემოქმედებითი პაოისი. ჩვენი მოწოდებაა იდეურ-ესთეტიკურად აღვზარდოთ ადამიანები. სწორედ ამ პრინციპებშია და უნდა მივუდგეთ ქართული კომპოზიტორების შემოქმედებითი მუშაობის განხილვას.

ამაგად ქართული მუსიკა, ჟანრობრივი, თემატური და სტილისტური თვალსაზრისით, ინტენსიურ განახლებას განიცდის. ამ მხრივ უკანასკნელი წლები ფრიად ნაყოფიერი იყო, შექმნა მთელი რიგი საინტერესო ნაწარმოებები. სასიხარულოა ახალგაზრდა თაობის დაწინაურება, რომელმაც თემატურად და სტილისტურად გაამდიდრა ჩვენი მუსიკა. გარკვეულად ამაღლდა პროფესიული დონე, რამაც ქართველ მუსიკალურ ხელოვნებას კიდევ უფრო განუძრვია თვითმყოფადი ეროვნული კულტურის სახელი. ჩვენი კომპოზიტორების ნაწარმოებები წარმატებით სრულდებოდა არა მარტო რესპუბლიკურ, არამედ საკავშირო ესტრადაზე და უცხოეთშიც.

აღსანიშნავია, რომ 1968 წლიდან დღემდე საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ყოფილწლიურ შემოქმედ-

ბით პლენუმებზე შესრულდა 300-მდე ახალი ნაწარმოები, რომელთა გარკვეული ნაწილი უფლებას გვაძლევს დადებითად შევაფასოთ ქართული საბჭოთა მუსიკის შემოქმედებითი პოტენციალი და იმედის თვალით უყურეთ მომავალს. მაგრამ არსებობს სხვა მხარეებიც, რომელთა შესახებ სერიოზული შეჯულობაა საჭირო.

რადა თქმა უნდა, მისასლმებელია გამომსახველობით საშუალებათა მეგვარი განახლება, ეროვნული საწყისის ახალი რაკურსების ძიება, თანამედროვე ტექნიკური „რესენალის“ ათვისება. მაგრამ ეს ტენდენციები ზოგჯერ არასასურველ გამოვლინებას იღებენ. საქმე ისაა, რომ კომპოზიტორთა ერთი ნაწილი, ძირითადად ახალგაზრდობა, ზოგჯერ გულდამწვრებით ამბობს უარს რეალისტური ხელოვნების ნაანდერძებზე, ქართული ხალხური და პროფესიული მუსიკის შესანიშნავ ტრადიციებზე. ეს დამაფიქრებელი სიმბტომია.

არ დავფავა: „ნოვაციებისადმი“ ბუნებრივი სწრაფვა ხშირად თვითმიზნურ და ფუჭ „გამომოწინებლობად“ გადაიქცევა ხოლმე. სახალისი ძიება კი გამოხატულებას უშუალოდ მუსიკალურ ეკვილიბრისტიკაში. ყოველივე ეს პოტენციურად მუსიკის სუბიერ, შინაარსობრივ, იდეურ მხარეს. ამას უნდა ვებრძოდოთ არა მარტო საკომპოზიტორო შემოქმედებაში, არამედ პედაგოგიურ-აღმზრდელით მუშაობაშიც.

ახალგაზრდობა ხომ მუდამ განსაკუთრებული ინტერესით ეტანება ყოველივე ახალსა და უჩვეულოს! ჩვენი ვალაია, დავენმართო მას გაერკვეს თანამედროვე მუსიკის რთულ, არაერგავარდინა და წინააღმდეგობრივ მხატვრულ მოვლენებში, ჭეშმარიტ ფასეულობათა გარჩევაში მოდური და სწრაფად წარმავალი სურთაგატაცია. ამასთან დაკავშირებით უნდა გაიხსენოთ ნაწევრი დიდი რუსი კომპოზიტორ-ჰუმანისტის ს. რახმანინოვის ერთ-ერთი ინტერვიუდან, რომელიც მას 1941 წელს მიუცია: „ახალგაზრდა კომპოზიტორები ხშირად თავიანთი სასკოლო გაკვეთილების ათვისებამდე იძირებიან ექსპერიმენტული მუსიკის მორევში. მეტისმეტად თანამედროვე მუსიკა ნამდვილი ყალბისმეწიელობაა და აი, რატომ, ვინც მას თხზავს, ძირფეხიანად ამსხვრევს მუსიკის კანონებს მაიი შესწავლის გარეშე. სასკოლო მომზადების სრული კურსი აუცილებელია მამინაც კი, როცა მსოფლიო მამშტაბის ტალანტთან გვაქვს საქმე. შეუძლებელია ისე გამოვართო ახალი საბჭოთა დასახვევად, რომ გულდასმით არ შესწავლო ძველი“, („სოვეტსკაია მუსიკა“, 1973 წ., № 4, გვ. 102). ყოველივე ამაზე იმტომაც ვლაპარაკობ, რომ ბოლო ხანებში შეიმჩნევა გაუმართლებელი მისწრაფება ახალგაზრდა კომპოზიტორებისათვის ერთგვარი „ავანსების“ მიცემისა და გადაჭარბებული ქებისა, რაც მხოლოდ აბნევს და სწორი გზიდან აცდენს ჯერ კიდევ სრულიად გამოუცდელ ატორებს.

ცხოვრებისეული და იდეური აქტუალობა, ხალხურ-ეროვნული გამიზნულობა და ესთეტიკური სრულფასოვნება — აი, რას უნდა ეყარებოდეს ჭეშმარიტად რეალისტური და მაღალმხატვრული მუსიკალური ხელოვნება. სწო-



რედ ასეთი უნდა იყოს ჩვენი ქართული საბჭოთა მუსიკალური შემოქმედება.

ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ მათ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი აქვთ გასაკეთებელი, განსაკუთრებით თანამედროვე თემატიკის მხარე.

საწუხაროდ, ჩვენ ამით ვერ დავიტრიალებთ, რადგან თანამედროვე თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა უმეტესობა უფროდია მსატყუარო თვალსაზრისით. ჩვენი უთავრესი ამოცანაა შექმნათ აქტუალური ნაწარმოებები, დამაჯერებლად და მაღალმატერულად ავსახონ საბჭოთა სინამდვილე.

მიუხედავად ზემოთქმულისა, მკითხველს არ უნდა შეეკმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ამგვარ ქართული მუსიკა კრიზისის განიცდიდეს. სრულებითაც არა!

ჩვენი მუსიკალური კულტურის წარმატებები კარგადაა ცნობილი, მაგრამ სწორედ მათ ფონზე მკაფიოდ ისახება მივლი სირთულე და სერიოზულობა იმ შემოქმედებითი ამოცანების, რომლებიც ჯერ კიდევ ელიან გადაწყვეტას. ეს არის შინაარსით რეალისტური და ფორმით ეროვნული მუსიკალური ხელოვნების შემდგომი განვითარება, ხელოვნებისა, რომელიც მოწოდებულია ასახოს ჩვენი მრეკეთავე და დაბაბული ეპოქის მრავალფეროვნება, საბჭოთა ხალხის შრომა და ცხოვრება.

აღსანიშნავია სხვა ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანებიც. ვგულისხმობ იმ ჭარბულ ცალმხრივობას, რომელიც ამჟამად შეინიშნება. სწორედ ამიტომ ყვილობაზე ნაკლებადაა წარმოდგენილი ოპერა და ბალეტი.

განვიხილო წლების მანძილზე სულ სამი ოპერა დაიდგა (ს. ცინცაძის „განდელი“, ნ. მამისაშვილის „ბაქია ბაჭია“, ა. ბალანიაშვილის „ოქროს ქორწილი“) და სამი ბალეტი (რ. გაბიაშვილის „ჰამლეტი“, ს. ნასიძის მიერ საბალეტოდ გარდაქმნილი გლუკის „ორფეოსი“ და ბ. კვერნაძის „ბერიკაობა“). მიუხედავად იმისა, რომ უკვე დაიდგა უამრავი ხელმძღვანელობის ინდიფერენტულ დამოკიდებულებაში კომპოზიტორთა შემოქმედებისადმი.

კარგადაა ცნობილი ჩვენი კომპოზიტორების წარმატებები სასიმღერო განზონში, მაგრამ, სიმღერათა უმეტესობა დაწერილია ლირიკულ-სატრფილო თემაზე. ჯერ კიდევ ძალიან ცოტა გვაქვს მასობრივი სიმღერები, მიღწეული საბჭოთა ხალხის გმირული შრომითი საქმიანობისადმი, ჩვენი სახელმწიფო მუშათა კლასისადმი.

ყურადღების ღირსია სხვა საკითხებიც. მათი გადაწყვეტა ხელს შეუწყობდა ქართული მუსიკალური კულტურის შემდგომ აღმავლობას. დიდი ხანია მომწიფდა ქართული მუსიკალური ლიტერატურის (სანოტო და წიგნების) ოპერატიულად გამოცემის აუცილებლობა. უნდა მოწესრიგდეს კომპოზიტორთა ნაწარმოებების, ხალხური სიმღერების კრებულებისა და მუსიკისმოცნენათა შრომების დასტამბვა.

შედგენილია ლაპარაკი ჩვენი ხალხური მუსიკალური შემოქმედების უნიკალურობასა და სიმდიდრეზე. მან მიუღწეოდა იმ მძიმე მდგომარეობას, მაგრამ გულსატკენია, რომ

დღესდღეობით არა გვაქვს არა მარტო ქართული ნაწარმოების სიმღერის შემსწავლელი სპეციალური სამეცნიერო ინსტიტუტი (რაც ბევრ სხვა ქვეყანაში არსებობს), არამედ განყოფილება კი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში. დროა გადავიღო ჩვენი ხალხური სიმღერის უსაგნო ქებათა ქებადანი სისტემატურ, მიზანმიმართულ, კომპლექსურ მეცნიერულ შესწავლაზე, მის კვლევასა და გამოცემაზე.

დიდი საჩუქრებია მოიტანეს საზოგადოებრივი მუსიკალური გაზუთის დაარსება (ცალკე ან „ლიტერატურული საქართველოს“ დანართის სახით), რაც რესპუბლიკის მუსიკალური ცხოვრების ოპერატიული, სისტემატური და სპეციფიკური გაუმჯობესის საშუალებას მოგვცემდა.

სასურველია კამერული საბალეტო დასის ჩამოყალიბება, რომელიც დადგამდა ქართული და სხვა კომპოზიტორების მცირე ფორმის საბალეტო ნაწარმოებებს. საჭიროა საგუნდო კაპელის ორგანიზება საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სხელმწიფო კომიტეტთან. მისი მთავარი ამოცანა იქნება ქართული კომპოზიტორების ნაწარმოებების პროპაგანდა და ფირზე ჩაწერა. ორივე ეს კოლექტივი დიდ საჩუქრებს მოუტანს ჩვენს მუსიკალურ ხელოვნებას. ამასთან ქართული საბჭოთა მუსიკის პროპაგანდა ტელევიზიისა და ფილარმონიის მიერ სერიოზულად უნდა გაუმჯობესდეს და გააქტიურდეს.

კიდევ ერთი მტკიცეული საკითხი, რომელიც ეგება დაბალბარისისხიანი ხაესტრადო მუსიკის განვითარებას. ძალიან დამაღონა სურათია, რომლის მოწვევს ვაგზიდ ამ რამდენიმე თვის წინ საბავშვო მუსიკის კერეულზე. აქვე უხარისხო მუსიკა სრულდებოდა. დაავსეთო მკაცრი კონტროლი ჩვენი მრავალრიცხოვანი საესტრადო კოლექტივების მოვლავლობასა და, პირველ რიგში, მათ რეპერტუარზე, რომელიც უხირად სცოდავს მსატრული თვალსაზრისით. გაუგებარია, ამ „მუსიკას“ ასე ფართოდ რატომ უღებს კარს ჩვენი ფილარმონია და ტელევიზია. გასაკვირია, რომ თბილისში — მასობრივი მუსიკალური განათობის ქალაქში — არ არსებობენ მუდმივად მოქმედი საბავშვო გუნდები.

აი, ზოგიერთი საკითხი, რომელთა გადაწყვეტა აუცილებელია. ისინი გვაძლევებენ არა მარტო ჩვენ — კომპოზიტორებს, არამედ მივლს მუსიკალურ საზოგადოებას. ქართული კომპოზიტორები, მუსიკისმოყვანები და მუსიკოსები უნდა იყვნენ იმ მაღალი მოთხოვნების დონეზე, რომელთა მათ უსახავს დღევანდელია. ქართული ხალხს, რომელმაც წარსული ესოდენ დიდებული მუსიკალური კულტურა შექმნა, უნდა გააჩნდეს მაღალი და ჯანსაღი პრეფესიული მუსიკალური ხელოვნება.





სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში მოეწევი-  
ლი თვის მანძილზე ნამდვილი შემოქმედებითი ატმოსფე-  
რო სუფევდა. ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რაოდენ დიდი  
და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აუდიტორიის დასწრე-  
ბას, მსარდაჭერასა და გულისხმიერ დამოკიდებულებას.  
მისი ყურადღება, ინტერესი სტიმულს აძლევს არტისტულ  
შთაგონებას, შემოქმედებითი ძალების მოზილიწეებას, სა-  
წემსრულებლო მონაპოვრების შენარჩუნებასა და შემდგომ  
განვითარებასაც.

სწორედ მსმენელმა აღიარა მუსიკალური სესონის გმი-  
რად საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის  
მთავარი დირიჟორი და მხატვრული ხელმძღვანელი ჯან-  
სულ კახიძე — ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოცდილი მუ-  
სიკოსი, რომელმაც მასვილ ინტუიციასთან ერთად, შემოქ-  
მედებითი სიმწიფეც გამოამტკიცა. ვფიქრობთ, ამ კონცერ-  
ტებით ახალი ფურცელი ჩაიწერა არა მარტო სახელმწი-  
ფო ორკესტრის ცხოვრებაში, არამედ თვით ე. კახიძის შე-  
მოქმედებით ბიოგრაფიაშიც.

მაინც რა საიხლზე შემინევა ე. კახიძის საშემსრულებ-  
ლო ხელოვნებაში? ჩვენს თვალწინ მოხდა მისი არტისტუ-  
ლი ბუნების „დაღვინება“, რამაც ფართო გამოსავალი მისცა  
მუსიკოსის შემოქმედებით პოტენციას, გამოაშვეურა მისი  
არტისტული ინდივიდუალობის ის მხარეები, რომლებიც  
ანამდემდ იმალებოდნენ ჭაბუკური ვნებათა ლეღვისა და  
სტიქიური გატაცებების მიღმა. თუმცა მაშინაც ეჭვმიუტა-  
ნელი იყო ახალგაზრდა დირიჟორის ნიჭიერება და წარმა-  
ტებებიც.

სადღეისოდ კი ე. კახიძემ გამოიმუშავა მკაცრი და რა-  
ციონალური თვალთახედვა, რომელმაც ერთბაშად გააწო-  
ნასწორა და სისტემაში მოიყვანა მისი საშემსრულებლო  
მონაცემების მდიდარი კომპლექსი. აქედან გამომდინარე,  
ე. კახიძის შემოქმედებაში წინა პლანზე წამოიწია პრო-  
ფესიული სიზუსტის აუცილებლობა, გააქტიურდა თვით-  
ანტროპოლოგი, თავი იჩინა თავდაჭერილობამ და მუსიკალუ-  
რი პარტიტურის სიღრმეების ამოკითხვის წყურვილმაც.  
წველივე ამან აკადემიურობის ბეჭედი დასავსა მის ხელო-  
ვნებას, მეტი სიმკვეთრე და სიძაბვრე მიანიჭა არტისტულ  
ადამიერებასაც. ამ არსებითმა სიახლემ ნაყოფიერი ზეგავ-  
ლენა მოახდინა არა მარტო ნაწარმოებთა ინტერპრეტაცია-  
სა და შესრულების ხარისხზე, არამედ სადირიჟორო მანერა-  
ზეცაც. დაიხვეწა მისი ფესტის გამომსახველობა, უფრო  
ლაკონიურად ამტკიცებდნენ ხელის მტეგნებში, მოწესრიგ-  
და გამომსახველობით საშუალებათა კოორდინირების სის-  
ტემა, რამაც მოდრიკა საორკესტრო ქვერადობის მოუსე-  
ნარი და ურჩი სათავე ასე მიაღწია ე. კახიძემ ორკესტრის  
ტემბრულ მონოლოთურობას, აზროვნების სიცადადსა და  
შესრულების მაღალ კულტურას.

ამასვე მოჰშობს საკონცერტო რეპერტუარის შერჩევის  
პრინციპი. პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო  
წარსულის დიდოსტატების მაღალმხატვრულ შემეკიდერო-  
ბას — ჭენდელის, ჰაიდნის, მოცარტის ნაწარმოებებს.  
კლასიკოსთა მუსიკა კი სპეციფიკურსა და ზოგჯერ გაღაღუ-  
ლასავ სირთულეებს უქმნის შემსრულებლებს სტილის

# ს ი მ ფ ო ნ ი უ რ ი მ ე ს ნ ი ქ ი ს ს ა ლ ა მ ო ა ბ ი

## მანანა ანბეტელი

მიმდინარე მუსიკალურ-თეატრალური სესონის დასაწ-  
ყისში საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტ-  
რმა კონცერტების ციკლი ჩაატარა და საიხლის შუქი მო-  
აქვინა ჩვენს მუსიკალურ ცხოვრებას. ქართველი საზოგადოე-  
ბა ამ გამოცდილი კოლექტივის შემოქმედებითი გადახა-  
ლისებისა და გამძლავრების მოწმე გახდა. მართლაც, სა-  
ქართველოს სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა განუ-  
ზომლად აამაღლა საშემსრულებლო დონე, გააფართოვა  
რეპერტუარი და, რაც მთავარია, ახალი თვისებები გამოავ-  
ლინა. აღსანიშნავია ისიც, რომ მან ესოდენ თვალსაჩინო  
გარდასახვა მოკლედ დროში განიცადა, რაც დაძაბული,  
ინტენსიური და გააზრებული მუშაობის შედეგია. სასიამ-  
ოვნოა იმის აღნიშვნაც, რომ გულგატეხილმა მსმენელმა  
საკონცერტო დარბაზისკენ კვლავ იბრუნა პირი, მსურვა-  
ლად მიესალმა ამ საშემსრულებლო კოლექტივის აღმაუ-  
ლებლობას, შემართებას და სიმფონიური მუსიკის საღამოებს  
საზეიმო ელფერი შუამბატა. სწორედ ამიტომ, საქართველოს



კრისტალური სიწმინდითა და სინატივით, ჩანაფიქრის სი-  
სადავითა და სიღრმით, საორკესტრო დეტალების ფილიგ-  
რანული დამუშავებით. გარდა ამისა, ეს ნაწარმოებები  
წითხსოვენ დინამიკისა და ტემპერამენტის განსაკუთრე-  
ბულ დიზირებას, უფრო ზუსტად, იმ იმავით ზომიერებას,  
რომელსაც რაციონალური და ემოციური საწყისების კლა-  
სიკური პროპორციულობა განაპირობებს. სწორედ ამიტომ  
აუცილებელია ამ კომპოზიტორთა ნაწარმოებების შეტანა  
საკონცერტო პროგრამაში. ისინი მუდმივად უნდა იყვნენ  
რეპერტუარში სამეზრდოებელი გამომსახველობისა და  
ტექნიკის სრულყოფის მიზნით.

ღირსიორმა და კოლექტივმაც გვაზიარა მუსიკის ამ  
ღიად, უსეტკაცეს სამყაროს. უპირველესად სწორად აქ გა-  
ზიონდა მათი სამეზრდოებელი ოსტატობის უტკუპური მზა-  
რები. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება  
დასტოვა ჰაინის სიმფონიამ № 86, რომელიც ჩვენს დე-  
დაქალაქში პირველად შესრულდა და უმაღლე მოგაჯადო-  
ვა უტკუპობით მშვენიერებით, რაფინირებულ, ღრმად გააზ-  
რებული და შთაგონებული შესრულებით.

ერთი სიტყვით, ჯ. კახიძე თავიდანვე სწორ გზას დაად-  
გა. ეს, უპირველეს ყოვლისა, მტკიცდება სარეპერტუარო  
პოლიტიკით, რომელმაც ორკესტრის წინაშე მკვეთრად გან-  
სხვავებული შემოქმედებითი პრობლემები წამოჭრა. ჯ. კა-  
ხიძემ საკონცერტო პროგრამაში შეიტანა აგრეთვე ბეთჰო-  
ენის, დვორაკის, ჩაიკოვსკის, რახმანინოვის, რიჰარდ  
შტრაუსის, სტრაინსკის ნაწარმოებები, რომელთა შემოქ-  
მედება დამეტრულად საპირისპიროა სტილით, ესთეტი-  
კითა და ტექნოლოგიით.

პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო თანამედ-  
როვე საბჭოთა მუსიკალურ ნაწარმოებებსაც. ჩვენს დედაქა-  
ლაქში პირველად შესრულდა კომპოზიტორ რ. შერდინის  
ორიგინალური და მახვილგონივრული საორკესტრო პიესა  
„ინცი შაირები“. ამავე საღამოებზე შედგა ქართველი კომ-

პოზიტორების გ. ყანჭელისა (III სიმფონია) და ს. ნას-  
ბის (II სავილიონი კონცერტი) ნაწარმოებთა პრემიერა.  
ამ ჩამოთვლილანაც თვალსაჩინოა, თუ რაოდენ მრავალ-  
სახოვანი და რთული იყო საქართველოს სიმფონიური ორ-  
კესტრის საკონცერტო ციკლი.

როგორც ჩანს, ჯ. კახიძეს მიზნად დაუსახავს სხვადასხვა  
მუსიკალური კულტურის სპეციფიკურ თავისებურებათა  
ერთდროული ათვისება. ამ გზით წერგავს იგი თანამედ-  
როვე სამეზრდოებელი ხელოვნების მაღალ ნორმებს, რომ-  
ლებიც უარყოფენ რეპერტუარის თემატურ ერთგვაროვნო-  
ბასა და სტილისტურ კლასიფიკაციას. თანამედროვე სა-  
მეზრდოებელი ხელოვნებისათვის ხომ სწორედ უნივერსა-  
ლიზმია დამახასიათებელი. ჯ. კახიძემაც აქეთვე აიღო  
გეზი.

რაღა თქმა უნდა, საქართველოს სიმფონიური ორკესტ-  
რის მიერ შესრულებული ყველა ნაწარმოები ვერ იდგა  
ერთ ტექნიკურ დონეზე. სამეზრდოებელი ტექნიკის სტა-  
ბილიზუბას ჯერ კიდევ სჭირდება დრო. მთავარი კი ისაა,  
რომ თითოეული პარტიტურის ამოსახსენლად ღირსიორ-  
მა სწორ გასაღებს მიაგნო, მოუძებნა ორიგინალური გააზ-  
რება და მკაფიოდ გადმოსცა მისი შინაარსი.

ჩვენს მუსიკალურ საზოგადოებას დიდხანს არ დაევიწყ-  
დება საქართველოს სიმფონიური ორკესტრის მიერ სხარ-  
ტად, ელვარედ და სახოვნად შესრულებული სტრაინსკის  
ურთულესი პარტიტურა — „კურთხეული გაზაფხული“. ეს  
ძალიან დიდი მიღწევაა, თუკი გავითვალისწინებთ ამ ნა-  
წარმოების „უნაწარმოებლს“, მის სასწაულომომქმედ სამყა-  
როს, რომელშიც უჩვეულო, მრავალგვარი ტემბრული და  
ტექნიკური ნოვაციები შენაცვლებულია კონტრაპუნქტული  
აზროვნების როულ სისტემასთან, სტიქიური ენერჯის  
ვულკანურ აფეთქებებთან, მსატრული სახეების ვირტო-  
სულ გარდაქმნებთან, დინამიკისა და სტატისკის მოულოდ-  
ნელ შეპირისპირებასთან. რიტმების, პლასტიკის, კოლო-

საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი.



რიტის ეს აელვარებული სტრიქონი დამიწებისა და აღწე-  
ვების გრადაციებში ცოცხლობს. მიერიო ამ ზეგუნებრივ  
ბალს — ბევრს ნიშნავს, რადგან ერთი დაუფიქრებელი  
შტრიხიც კი საკმარისია იმისათვის, რომ ყოველივე ამსურ-  
დად იქცეს, ქაოსში გადაემყაროს მოზღვაებული მუსიკის ამ  
წამლევად დინებებში მხოლოდ ოსტატს ძალუძს დაიცვას  
სისუსტე, სიცხადე და მკაფიოება, ამავე დროს არასად არ  
მოაღწიოს არტისტული მგზნებარების ნერვი. ამასთან ერ-  
თად, ჯ. კახიძემ ზემოქმედების ძალისა და ნებისყოფის  
კონცენტრაციის ესოდენ აუცილებელი თვისებაც გამოაჩინა.  
ამ რთულ პარტიტურაზე გამარჯვების მოპოვება სერიოზუ-  
ლი განაცხადია, მით უფრო, რომ ამ ნაწარმოებს ჩვენში არ  
გააჩნდა არავითარი საშემსრულებლო ტრადიციები. იგი  
პირველად აქლერდა თბილისში მისი შექმნიდან ექვსი ათე-  
ული წლის შემდეგ.

ასეთივე სიხანძრავით და სასოფანებით შესრულა ორკეს-  
ტრმა გ. ყანჭელის მესამე სიმფონია, რომელმაც თვით  
კომპოზიტორის წინაშე ახალი შემოქმედებითი პრობლემე-  
ნი წამოჭრა. ეს გახლავთ ხალხური მუსიკის (სვანური „ზა-  
რი“) კონკრეტული ეროვნული ელემენტების, ინტონაციუ-  
რი და ტემბრულ-ჰარმონიული თავისებურებების მისა-  
დაცვება ავტორისეული მუსიკის განზოგადებულ სტილთან.  
ეს საინტერესო ამოცანაა, რადგან ქართული მუსიკის შემოქ-  
მედებით პრაქტიკაში უმეტესად პირიქით ხდება: კომპო-  
ზიტორი თავის ხელწერას ხალხური აზროვნების პრინცი-  
პების საფუძველზე აყალიბებს. გ. ყანჭელმა კი სვანური  
ფოლკლორის უნიკალური ბუნება საკუთარი სტილისტური  
სისტემის ფარგლებში მოაქცია და მიზნად დაისახა სრუ-  
ლიად საპირისპირო ტექნოლოგიური ხერხებისა და მკვეთ-  
რად განსხვავებული ტემბრული კოლორიტის შეზავება.  
სცადა კონკრეტულის გადაზრდა ზოგადში, თანაც ისე, რომ  
არ წაშლილიყო მათ შორის არსებული ზღვარი, განიზრახა  
ეროვნული ვოკალური მელოდიკის შეზოგადება რიტმულად  
მკვეთრსა და იმპულსურ ინსტრუმენტულ ფაქტურასთან. თუ  
რა შედეგი მოჰყვა გარდაქმნებისა და სინთეზირების ესო-  
დენ რთულსა და თავისებურ პროცესს, ეს საპეციალური  
კვლევის საგანია. ცხადია, შეუძლებელია ერთი მოსმენით  
ამ პარტიტურის გაანალიზება და დასკვნების გამოტანა.

გ. ყანჭელმა ხალხურ მუსიკალურ მასალას თავისებური  
ენოციურ-სახეობრივი გააზრებაც მისცა. იგი ზეციურ გა-  
ლობასავით გაისმის სიმფონიის ექსპრესიულ ატმოსფე-  
როში. მისი პანგები ხან ეფინებიან, ხან კიდევ უპირისპირ-  
დებიან საორკესტრო შუქ-ჩრდილების შეუწერებელ თა-  
ნაშს, სიჩქურისა და მქუხარების ნერვიულ ძვებას. საქმის-  
ფლოს სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა ჯ. კახიძის  
დირიჟორობით არტისტულად შესრულა ეს ნაწარმოები,  
ჩვეთლად მოხაზა მისი კონსტრუქციული და დრამატურ-  
გიული თავისებურებები, გამოაჩინა ტემბრული პალიტრის  
ფერისცვალება, ღრმად ჩასწვდა უაღრესად კონდენსირე-  
ბული ემოციური ატმოსფეროს მოულოდნელ მეტამორ-  
ფოზებს. აქვე მინდა მოვიხსენიო უნიკალური ხმის მომ-  
ღებელი პ. კონაშვილი, რომელმაც ამალმებული და პე-  
ტური ვოკალური სახე შექმნა.



დირიჟორი ჯანსუღ კახიძე.

საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის  
კონცერტებში მონაწილეობდნენ აგრეთვე ცნობილი საბჭო-  
თა მუსიკოსები — რუდოლფ კერერი და მარინე იაშვილი.  
რ. კერერმა რაბინანოვის მეთრე და ბიჰოპოვის მებუთე  
საფორტეპიანო კონცერტები შესრულა. მ. იაშვილი კი  
კომპოზიტორ სულსან ნასიძის ფრიად საინტერესო საცი-  
ლინო კონცერტის ინტერპრეტატორად წარმოვიდგა. ამ  
ნაწარმოებში ნ. ნასიძე კვლავაც აწვითარებს რაციონალურ  
მხარეარეული აზროვნების იმ სისტემას, რომელსაც იგი  
უკანასკნელი წლების მანძილზე თანმიმდევრულად აყალი-  
ბებს და აღრმავებს. მან ტექნიკური გამომსახველობის ხე-  
რხები გამოიყენა მხატვრული სახეების რთული ფსიქო-  
ლოგური წიაღსვლების გამოსაჩენად. მ. იაშვილმა მის-  
თვის ჩვეული არტისტული ელვარებითა და ვირტუოზული  
ოსტატობით შესრულა ეს ნაწარმოები. ჯ. კახიძემ კი მა-  
ღალი კლასის სოლისტ-შემსრულებლებთან ანსამბლში  
დაგვეანა, რომ იგი ასევე ფლობს საკომპანემენტო ტექნი-  
კის საპეციფიკურ თავისებურებებსაც.



ლებას უთმობდნენ ბავშვთა მუსიკალური აღზრდის პრობლემას. ამის თვალსაჩინო მაგალითია დიდი კლასიკოსების — ბახისა და მოცარტის, ბეთოვენისა და ბრამსის, შუმანისა და ჩაიკოვსკის, ბარტოკისა და პროკოფიევის შემოქმედება. ეს კომპოზიტორები მთელი სერიოზულობით მუშაობდნენ მუსიკალური ხელოვნების ამ რთულსა და თავისებურ სფეროში. ასე შექმნეს მათ შესანიშნავი საბავშვო მუსიკალური ლიტერატურა, რომელიც მუდმივ თანამგზავრად იქცა მთელი მსოფლიოს მოზარდი მუსიკოსებისათვის. ეს განძი რომ არა, ვინ იცის, რა ბედი ეწეოდათ მუსიკოს-ბედագოგებსა და მათ მოწაფეებს. ამ კომპოზიტორების ნაწარმოებებზე თაობები აღიზარდნენ და კვლავაც იზრდებიან.

მათი შემოქმედება სამაგალითო უნდა იყოს თანამედროვე ქართველი კომპოზიტორებისთვისაც. თითოეული ჩვენგანი ვალდებულია თავისი წვლილი შეიტანოს ბავშ-

# მოზარდი თაობის მუსიკალური აღზრდა

## მერი დავითაშვილი

ბავშვი ცხოვრების პირველივე ნაბიჯებიდან ეგუება მუსიკას, ყოველდღიურად განიცდის მის ზეგავლენას. ამდენად, მუსიკა გეზს აძლევს ბავშვთა ესთეტიკურ განვითარებას, აქტიურად მონაწილეობს პიროვნების ჩამოყალიბებაში.

ამიტომაც დღეს, ესოდენ მოძალბებული მუსიკალური ინფორმაციის პირობებში, საჭიროა მკაცრი კონტროლის დაწესება იმ მუსიკაზე, რომელსაც ისმენს და აღიქვამს მოზარდი თაობა. მხოლოდ მაღალმხატვრული მუსიკის ზეგავლენით უნდა მიმდინარეობდეს ბავშვთა სულიერი სამყაროს ფორმირება. ასეთი კი გახლავთ ხალხური და კლასიკური მუსიკა, რომელსაც დიდი აღმზრდელობითი მისია აკისრია. იგი ხელს უწყობს მოზარდთა მრავალმხრივსა და პარმონიულ განვითარებას, აჩვენებს მათ მშვენიერების განცდას, ხეწს გემოვნებას. ყოველივე ეს კი მაღალი კულტურის საწინდარია, რაც კარგად იცოდნენ წარსულის გამოჩენილმა კომპოზიტორებმა. ისინი დიდ დროსა და ყურად-

ვთა ესთეტიკურ აღზრდაში. ქართველი კომპოზიტორების ყველა თაობამ უნდა იზრუნოს ეროვნული საბავშვო მუსიკალური ლიტერატურის გამდიდრებაზე. თავდაპირველად საჭიროა შევქმნათ მრავალფეროვანი და მაღალმხატვრული ეროვნული სასწავლო რეპერტუარი, რომელშიც შევა ყველა ჟანრისა თუ ფორმის (ეტიუდი, პიესა, პოლიფონიური ციკლები, სონატა, კონცერტი და ა. შ.) საბავშვო ნაწარმოები სხვადასხვა სასწავლო ინსტრუმენტის (ფორტეპიანო, ჩელო, ვიოლინო, ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები) გათვალისწინებით. აუცილებელია აგრეთვე სპეციალური ნაწარმოებების შექმნა ინსტრუმენტული ანსამბლეებისთვის, თუ კი გვინდა, რომ მოსწავლეთა მუსიკალური აღზრდა ეროვნულ საფუძველზე წარმართოს. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან პროფესიული დახელოვნების რთულ გზაზე ნორჩებს ყველაზე უკეთ მშობლიური მუსიკა გაუწევს მეგზურობას. იგი ბუნებრივად და ძალდაუტანებლად შეიყვანს მათ დიდი მუსიკის სამყაროში, მისი





აღქმა და შემცენება განუზომლად გაამდიდრებს მოზარდთა სულიერ ცხოვრებას, გაამახვილებს მათს მხატვრულ თვალთხედვას.

ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თანამედროვე ქართველი კომპოზიტორები თავილობენ საბავშვო მუსიკის სფეროში მოღვაწეობას (შემოქმედების იოლ სახეობად სვლიან). არის ისეთი შემთხვევებიც, რომ კომპოზიტორი, მუსიკალური ხელოვნების სხვა ჟანრებში წარმატებლობის შემდეგ, საბავშვო მუსიკას შეაფარებს სოლემ თავს (უფრო ხელმისაწვდომი ჰქონას იგი). ეს მცდარი შეხედულებაა. პირიქით, საბავშვო მუსიკას სპეციფიკური სირთულეები ახლავს. ძირითადი სირთულეა მოზარდის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნა. ამის გარეშე საბავშვო მუსიკა დაკარგავს საკუთარ სხესა და დანიშნულებას, უსუსტოდ იქნება. ბავშვთა უმანკო არაბნაში კი მხოლოდ ხალასი შემოქმედება პპოვეს მხურვალე გამოძახილს.

კომპოზიტორმა წრფელად, დამაჯერებლად, სატოვანად უნდა უამბოს ბავშვებს მათთვის ახლობელ სამყაროზე, ფრთხილად და ფაქტულად გაიყვანოს ცხოვრების შარავსაზე, დანახის კარიც და ავიც, აზიაროს სიკეთესა და სილამაზეს, ამხლოს ყველაფერი, რაც ეღობება სიზარტლეს და უპირისპირდება მშენიერებას. ეს რთული და სერიოზული თემატიკა ქმედით სახეში და გასაგები ენით უნდა გადმოვიდეს.

რაცა თქმა უნდა, ჩვენ ზოგჯერგება საბავშვო მუსიკის თვალსაჩინო ნიმუშები. ამ ჟანრის მწვერვალია კომპოზიტორ ანდრია ბალანჩივაძის საფორტეპიანო კონცერტი № 3, რომელიც წლების მანძილზე რჩებოდა დიდი ფორტის ქართული საბავშვო ინსტრუმენტული მუსიკის ერთადერთ მონაპოვრად. ამ შესანიშნავ ნაწარმოებზე ქართულ პიანისტთა მთელი პლეადა აღიზარდა. იგი დღესაც აწმვენებს მისწავლეთა საკონცერტო რეპერტუარს და ღირსეულად იმის მათ სიყვარულსა და აღფრთოვანებას. უკანასკნელ ხანებში შეიქმნა საბავშვო ინსტრუმენტული მუსიკის კიდევ რამდენიმე ნიმუში: ნ. მამისაშვილის ორი საფორტეპიანო კონცერტი, ხ. ცინცაძის საცილონჩელო და ი. გვეჯაძის საცილონჩო კონცერტები. იმედია, ეს ნაწარმოებები სათანადო ადგილს დაიმკვიდრებენ მოსწავლეთა რეპერტუარში.

მეგრამ ქართველმა კომპოზიტორებმა უნდა იზრუნონ არამარტო მოსწავლე-მუსიკოსების სასწავლო რეპერტუარზე, არამედ მოზარდთა დიდ აუდიტორიაზე — იმიაზე, ვინც არ სწავლობს სპეციალურ მუსიკალურ სკოლებსა და სასწავლოებში. ამ მხრივ განსაკუთრებულ აუზრდევლობით ფუნქციას იძენს საბავშვო სიმღერა, რომელიც ცხოვრების პირველივე ნაბიჯებიდან უმეობრდება ნორებს და მათი მხსანდუმოდ ხდება. სწორედ ამიტომ პატარაბავშვის განკუთვნილი სასიმღერო შემოქმედება ყოველთვის მაღალხარისხიანი უნდა იყოს. ჩვენი ვალია, მივაწოდოთ მოზარდთათვის შინაარსიანი და ტექნიკური მხატვრული სიმღერები, შექმნათ მათთვის სადა და ცოცხალი ეროვნული მღეროდური სახეები.

სამწუხაროდ, მოზარდთა სასიმღერო რეპერტუარში არა ერთხელ შეპარულა მდარე ხარისხის, უსაგნო და უქმონი სიმღერა. რა მოაქვს მას პატარებისთვის? ასაკისთვის შეუფერებელი მუსიკალურ-ლიტერატურული ტექსტი, შესრულების უსამიფონო მანერა, მიმბაძვლობა... სწორედ ამას უნდა ვებრძოდეთ, ზოგჯერ კი ასეთ მუსიკას ტელევიზიაზე უწევს პროპაგანდას, მას ვხვდებით საბავშვო ოლიმპიადებსა და დათვალთვრებებზედაც. ამიტომაც საჭირო ქართველი კომპოზიტორების გააქტიურება, ორიგინალური სასიმღერო რეპერტუარის სისტემატური გამდიდრება. გარდა ამისა, მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს ყველა იმ ორგანიზაციაზე, რომელიც ნაჩქრევად ანდის კონკრეტულ სხვადასხვა დანიშნულების, საქალაქო და რესპუბლიკური მნიშვნელობის, საბავშვო ღონისძიებებს. რადიოსა და ტელევიზიის საბავშვო გადაცემების რედაქციებმა უნდა შემოიკრიბონ კომპოზიტორები, დაუკვეთონ მათ სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები და მიზანდასახულად ფართო მასშტაბით წარმართონ საბავშვო მუსიკის პროპაგანდა.

დიდა საბავშვო მუსიკალური სექტაკლების როლი და დანიშნულება. პირველ რიგში საბავშვო ოპერისა, რომელიც ზრდის მუსიკალური თეატრის მიზმიად აუდიტორიას. გვახსოვდეს — ხშირად გადაწყვეტია პირველი საოპერო სექტაკლით მიღებული შთაბეჭდილება. იგი განსაზღვრავს მოზარდი თაობის დამოკიდებულებას ამ რთული, სინთეზური ჟანრისადმი. ქართველ კომპოზიტორებს ყველგან თავიდანვე დამეუბრონ პატარების საოპერო სეცენასთან, გაუღვივონ ინტერესი და სიყვარული საოპერო მუსიკისადმი. მხოლოდ ამ გზით აღზრდით ნორში აუდიტორიის კულტურას, რომელიც შემდეგ ღირსეულად შეფასებს და, რაც მთავარია, ამოცნობს ფალიაშვილის, ვერდის, ვაგნერის, მიკარტის, პუჩინის, მუსორგსკის, ჩაიკოვსკის, პროკოფიევისა და სხვათა საოპერო შემოქმედების სიღრმევს.

წლების მანძილზე ჩვენს საოპერო თეატრში მხოლოდ ერთი საბავშვო ოპერა იმდებოდა. ეს გახლავთ კომპოზიტორ ალ. ბუკიას „დაუბატონებელი სტუმრები“, რომელმაც შორს გაითქვა სახელი. იგი ამ ჟანრის საუკეთესო ნიმუშად აღიარეს. შემდეგ შეიქმნა ა. ანდრიაშვილის „ჩიკვთა ქორწილი“, ი. გოკიელის „წითელქუდა“ და „ბროლის ქოში“, მ. დავითაშვილის „ქაჯანა“, ნ. მამისაშვილის „ბაქია ბაქია“. კომპოზიტორ ლ. იაშვილმა კი პატარებს მუსიკალური კომედია „ბაბაჯანას ქოში“ უძღვნა. საბავშვო საოპერო რეპერტუარი მინც მცირეა. სასურველია, რომ მოზარდებმა წელიწადში თუნდაც ერთი ახალი ოპერა ნახონ და მოისმინონ.

ქართული საბავშვო მუსიკის დარგში კიდევ მრავალი პრობლემა გადასაწყვეტი. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არა გვაქვს საბავშვო ფილმი, სიმფონია, კამერული ანსამბლები, ვოკალურ-სიმფონიური მუსიკის ჟანრები. მათი შექმნა კი აუცილებელია. ეს ჟანრები ძალიან საინტერესო შემოქმედებით ამოცანებს სასავენ კომპოზიტორთა წინაშე და, რაც მთავარია, დიდ სამსახურს გაუწევნ ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.



ეროვნული საბავშვო მუსიკალური ლიტერატურის განვითარება და გამდიდრება საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა. ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის პრობლემას ხალხური და კლასიკური მუსიკის შესწავლა-პროპაგანდის ამოცანა უკავშირდება. სამწუხაროდ, ამ დარგშიც ვხვდებით სერიოზულ ნაკლოვანებებს. ერთი შეხედვით, თითქოს არაფერია საგანგაშო. ამის დასამტკიცებლად ხშირად მოჰყავთ ხოლმე შემდეგი მაგონებლები — ბავშვები თითქმის ყოველდღიურად ისმენენ ხალხურსა და კლასიკურ მუსიკას. იგი ხშირანებს რადიოში, ტელე და კინოეკრანებზე, თეატრში, საკონცერტო უსტრადაზე. ყველაშთვის ხელმისაწვდომია მაღალხარისხიანი გრამფირფიჭები. მაგრამ პრაქტიკამ დაგვანახა, რომ სერიოზული მუსიკის პასიური მოსმენა არ იძლევა ეფექტურ შედეგს. მოსმენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ცოდნას. უფრო სწორად, მუსიკალური ნაწარმოების მოსმენასაც უნდა ცოდნა. მოსმენის კულტურაც მოთხოვს აღზრდას. ეს კი ძალიან რთული ამოცანაა. მისი დაწყვეტა მასობრივი მუსიკალური განათლების დარგში რაღაცეების ზომების მიღებას საჭიროებს.

თავდაპირველად აუცილებელია მუსიკალური სწავლების მეთოდის საფუძვლიანი გადასინჯვა ზოგადსაგანმანათლებლო და, ნაწილობრივ, სპეციალურ მუსიკალურ სკოლებში. უთუოდ მისაღმგებელია, რომ ხალხურსა და კლასიკურ მუსიკას უმთავრესი ადგილი ეთმობა სასწავლო პროგრამებში. მაგრამ სავალალოა, როცა სრულფასოვანად არსად ხდება პროგრამით დასაბუთი ამოცანების ხორცშესხმა. ამ მხრივ საგანგაშო მდგომარეობაა შექმნილი ჩვენი რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. აქ პატარებს საგანგებოდ უნიშნავენ ე. წ. სიმღერა-მუსიკის გაკვეთილს — ამ საგანს ისინი კვირაში ერთხელ სწავლობენ ექვსი წლის მანძილზე (I კლასიდან VI კლასის ჩათვლით). როგორია შედეგი? პირდაპირ უნდა თქვას, — სწავლების ეს ექვსწლიანი „კურსი“ უშედეგოა.

დავაუსტოთ ამ გაკვეთილის არააღმადგინებელი სკოლაში მოსწავლე წლების მანძილზე სწავლობს მუსიკას, მაგრამ ვინ ასწავლის ამ მშვენიერსა და საწყფიციურ საგანს? პირველი სამი წლის მანძილზე ასწავლიან არასპეციალისტები, მუსიკალურ ხელოვნებას სრულიად მოწყვეტილი ადამიანები, სწავლების საღ მეთოდებზე ხომ ლაპარაკიც უმედეგია.

გამონაკლისი იშვიათია და ამ შემთხვევაშიც სწავლება ძალიან დაბალ დონეზე მიმდინარეობს. სიმღერის აგვარი გაკვეთილი არა მარტო ახშობს ყოველგვარ ინტერესს, არამედ მტრულადც კი განაწყობს მოზარდებს მთელი მუსიკალური სამყაროს მიმართ. ასეთი განწყობილობით ისინი არც კონცერტებზე მოისურვებენ წასვლას და არც საოპერო თეატრში. სწორედ აქ არის დაშვებული ის მიუტკეველი შეცდომა, რომლის გამოსწორებაც დიდ დროსა და შრომას მოითხოვს. მუსიკის სწავლების აღნიშნული „მეთოდი“, ეს-თეტიკური აღზრდის ნაცვლად, ამახინჯებს მოზარდათ ფსიქოლოგიას. სწორედ ამიტომ, სიმღერის მასწავლებლის ცნება ჩვენს სკოლებში ირონიის საგნად იქცა, როდესაც თავისი მოწოდებით ის არანაკლებ მნიშვნელოვანია,

ვიდრე სხვა საგნების მასწავლებლები. დროა, ერთმანედ სამუდამოდ გადაგვრათ ეს პრობლემა და რაც უფრო ჩქარა გადავიტოვოთ ამას, მით უფრო უკეთესი იქნება.

არსებობს ამ სავალალო მდგომარეობაში გამოხვლის ერთადერთი გზა. მუსიკის სწავლების ეს მცდარი პრაქტიკა ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს ახალი და რეალური პედაგოგიური სისტემით. რეფორმის ჩატარება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მხოლოდ კვალიფიცირებულ კადრებს — მუსიკის მამდილო პედაგოგებს დაუთმობს ასპარეზს.

საქართველოში არსებობდა ასეთი ტრადიცია. გაიყისენით გამოჩენილი ქართველი მუსიკოსები — ზაქარია და პოლიკარპე ფალიაშვილები, ანდრია ყარაშვილი, ია კარგარეთელი, ზაქარია ჩხვიკაძე და სხვები. ისინი სწორედ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში (მათ შორის თბილისის გიმნაზიაში) ასწავლიდნენ მუსიკას. ჩვენი სახელოვანი მუსიკოს-განმანათლებლები ამ დიდ ეროვნულ საქმეს სამაგალითო მოქალაქეობითი შეგნებით, პროფესიული კეთილსინდისიერებით ემსახურებოდნენ. მათ ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას დღესაც ემადლიერება ქართველი ხალხი.

ერთი სიტყვით, ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად რესპუბლიკის მუსიკალური ძალების მობილიზება საჭირო. ეს სხვაგვარადაც მიზანშეწონილი. ამ გზით ჩვენს რესპუბლიკაში ნაწილობრივ მაინც მოწყურდება მუსიკალური კადრების განაწილების სისტემა, მიხდება ესოდენ მოზარდებელი პედაგოგიური ძალების კოორდინირება.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დადგეს სიმღერის გაკვეთილის გარდაქმნის საკითხი. რაღა თქმა უნდა, აუცილებელია მისი არსისა და სტრუქტურის შევლა, ხარისხის ამაღლება. მიზანს მაშინ მიავლევთ, როცა მოწაფეებს შევასწავლით მუსიკალურ ანბანს, ელემენტარული თეორიის საფუძვლებს. მუსიკის ისტორიის გამარტივებულ კურსს, ხალხური და კლასიკური მუსიკის ნიმუშებს. ამ გზით მოხდება მუსიკალური თეორიისა და პრაქტიკის შერწყმა, რაც საინტერესოს გახდის გაკვეთილს და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დანერგავს ესოდენ საჭირო პროფესიულ ჩვევებსაც, ასე შეეჩვევან ბავშვები სერიოზულ მუსიკის მოსმენას, გამოიშუშვებენ ყურადღების კონცენტრაციის უნარს.

როგორი მდგომარეობაა სპეციალურ მუსიკალურ სკოლებში ხალხური და კლასიკური მეგვიდნობის ათვისების თვალსაზრისით? აქ მეტსააკლებად სისტემატიზებულია თვალსაზრისით მუსიკის შესწავლის პროცესი. ამ მხრივ ნაყოფიერად ზემოქმედებენ ჩვენი რესპუბლიკის მყარი მუსიკალური ტრადიციები და მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილება. ამიტომაც მოსწავლე-მუსიკოსები საუფროცინად და თანმიმდევრულად ითვისებენ წარსულში შექმნილ თითქმის მთელ საბავშვო მუსიკალურ კლასიკას. მაგრამ აქაც ვხვდებით შეცდომებს: ზოგჯერ პედაგოგი, ეფექტის მოხდენის მიზნით, მოწაფეს ტვირთავს მისი ასაკისთვის





შეფერებელი, ტექნიკურად და მხატვრულად რთული ნაწარმოებით. მოზარდი, ნიჭისა თუ მეცადინეობის წყალობით, ვუფლება მას, მაგრამ მიღმა რჩება ის მაღალი იდეურ-ემოციური სამყარო, რომელიც ნაწარმოების მხატვრულ სიმდიერეს შეადგენს. ასე იკიდებს ფეხს მუსიკალური ხელოვნებისადმი გაუთვითცნობიერებელი, ზედაპირული და მექანიკური დამოკიდებულების მანქანჩვევა. იგი ზიანს აყენებს მოზარდის ფსიქიკას, პროფესიულ თვალთაყვებას, მის პარმონიულ ზრდას.

ჩვენი რესპუბლიკის მუსიკალურსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში აშკარად შეიმჩნევა ერთგული ხალხური მუსიკის ნიველირების ფაქტი. შესაძლოა, ეს უნებურად ხდება. ასეა თუ ისე, მოსწავლე-ახალგაზრდობა არ იცნობს ქართვლი ხალხის უნიკალურ მუსიკალურ შემოქმედებას. მას კი ყველაზე უკეთ შეუძლია დაგვიხმაროს მოზარდი თაობის ესთეტიკურსა და მოქალაქეობრივ აღზრდაში. ჩვენი ვალაია, შთამომავლობის კუთვნილებად ვაქციოთ ეს განიძი, ვაზიაროთ ახალგაზრდობა მშობლიური კულტურის მინაპორებს! სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არაფერი კეთდება ამ რთული მეთოდოლოგიური ამოცანის გადასაწყვეტად.

საქართველოში — ესოდენ მაღალი საგუნდო კულტურის ქვეყანაში — ძნელად მოიძებნება საბავშვო გუნდები. საგუნდო მუშაობების მიზანდასახულებული გადამცემი ციციებიც მოზარდად მუსიკალურ აღზრდას უნდა მოხმარდეს! ამ მიმართულებით ნაყოფიერ მოღვაწეობას უწევა თბილისის ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური კაბინეტის საგუნდო კოლექტივი, რომელსაც ნიჭიერი მუსიკოსი გ. მუჯიგაძე ხელმძღვანელობს. ბავშვთა ეს გუნდი სწავლობს და პროპაგანდას უწევს საგუნდო მუსიკის მრავალ ქმნილებას. რეპერტუარი ყოველთვის გინიჭიერდება მერჩაული. თვალსაჩინოა ნორჩი მომღერლების პროფესიული დონეც. მაგრამ რატომღაც ეს მოზარდი კოლექტივი იშვიათად მართავს კონცერტებს და აქტიურად არ მონაწილეობს ჩვენი რესპუბლიკის მუსიკალურ ცხოვრებაში. მასაც სჭირდება ქართული კომპოზიტორების მხარდაჭერა. მისასაღმებელი კომპოზიტორ რ. ქარუხნიშვილის შემოქმედებით თანამშრომლობა ამ კოლექტივთან, იგი სპეციალურად ამ გუნდისთვის ქმნის საბავშვო კანცტეტებს, რომლებიც წარმატებით სრულდება.

ქართული ხალხური მუსიკის შესწავლა თბილისის პიონერთა სასახლეზე უნდა ითვალოს. რატომღაც ამ დიდ აღმშენებლობით კერაში მხოლოდ საესტრადო ხელოვნების აქცენტი ყურადღებას. აქ ჩამოყალიბდა ბავშვთა საესტრადო კოლექტივი „მზიური“, რომელმაც უკვე საკავშირო რეზონანსი მკაფა. მაგრამ ეს მაინც ცალმხრივი გატაცებაა. ჩვენი სურვილია, რომ თბილისის პიონერთა სასახლის ბაზაზე შეიქმნას არა მარტო ბავშვთა გუნდი, არამედ სიმებიანი ორკესტრი, კამერული ანსამბლები და ა. შ.

საქართველოს ხელოვნებასა და სახალხო განათლების მუშაკების, პედაგოგებისა და ყველა იმ ადამიანთა წინაშე, რომლებიც სასწავლო პროგრამებს ადგენენ, მუყავედ ვაყენებთ საკითხს ხალხური შემოქმედების შესასწავლად. იგი

ოპერტიულ და ემეტიქტურ გადაწყვეტას საჭიროებს, დრო არ ითმენს; ბავშვებს არ შეუძლიათ მოცდა!

ჩვენ სინამდვილეში თანდათან იშლება ზღვარი ქალაქსა და სოფელს შორის, მაგრამ იგი ჯერ მაინც არსებობს. ეს მომენტს გასათვალისწინებელია სასწავლო პროგრამების შედგენის დროს, რადგან ქალაქისა და სოფლის ბავშვები ერთნაირად ვერ ითვისებენ ხალხურსა და კლასიკურ მუსიკას. ქალაქელი ბავშვები მუსიკალური ინფორმაციის უწყვეტი ათვისების მძლავრ შემოქმედებას განიცდიან. ისინი ყოველმხრიდან მიმდინარე და ინტენსიური მუსიკალური „გამოსხივების“ სფეროში იმყოფებიან. მათ ძალიან სწირად სთავაზობენ იაფფასიან, გასართობ მუსიკას, რომლის აღქმაც საზიანოა. ამ შემოქმედებისაგან ადამიანის იზოლირება შეუძლებელი ხდება. ამიტომაც მთელი ყურადღება მუსიკალურ ფოლკლორზე უნდა გათვალისწინდეს. ესაა ჩვენი საბაძილო ძირადი. სწორედ ამიტომ ხალხურ სიმღერას განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს ქალაქელი ბავშვებისათვის განკუთვნილ სასწავლო პროგრამაში. მისი პირველქმნილი სიწმინდე და სიღრმე მოზარდთაობას დაიცავს მავნე მუსიკის შემოტევისაგან. ერთი სიტყვით, ყველაფერი უნდა ვიღონოთ მშობლიური მუსიკის საყოველთაო გავრცელებისათვის. პირველ რიგში კი აუცილებელია ხალხური სიმღერის მცოდნე პედაგოგების დარაზება.

რაც შეეხება სოფლის მოზარდებს, იქ ხალხური მუსიკის ათვისების პროცესი უფრო ბუნებრივად და ორგანულად მიმდინარეობს. სოფლად ნორჩები დედის რძისთან ერთად შეიწოვენ ხალხურ სიმღერას. ბავშვთა ყურთაბუნა პატარაობიდანვე ეჩვევა მუსიკალური ფოლკლორის თვითმყოფად ინტონაციურსა და პარმონიულ წყობას. მაგალითად, დასავლეთ საქართველოში ბავშვები სრულიად თავისუფლად მღერიან რთულ კონტრაპუნქტულ სიმღერებს. ამდენად, ბუნებრივია, რომ სოფლის მოზარდებისთვის განკუთვნილ სასწავლო პროგრამაში ყურადღება კლასიკურ მუსიკალურ ლიტერატურაზე გაკავახვილით, ხლო სოფლებში პედაგოგებად პროფესიონალი მუსიკოსები გაავაზაწონთ.

ყოველივე ეს მოკლე დროში უნდა მოგვარდეს. მისასაღმებელია, რომ ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები. არის გარკვეული შედეგები. მასსოფს, სულ რამდენიმე წლის წინ, ქალაქის პირობებში ნამდვილ იშვიათობას წარმოადგენდა ბავშვების მიერ ხალხური სიმღერის შესწავლა-შესრულება. სკოლებსა თუ ოლიმპიადებზე ბავშვები მხოლოდ თანამედროვე კომპოზიტორების ნაწარმოებებს ასრულებდნენ, თითქმის არ ხმოვანებდა ხალხური სიმღერა თავისი პირვანდელი სახით.

დღეისთვის სურათი ერთგვარად შეიცვალა. ჩვენს რესპუბლიკაში არსებული მცირერიცხოვანი საბავშვო კოლექტივები სულ უფრო სწირად ასრულებენ სტრუქტურულად რთულ ხალხურ სიმღერებს. ამჟამებზე კარგად გაწვრთნილ მუსიკალურ სმენასა და შესრულების თავისებურ აღლოსაც, რამდენიმე ხნის წინ ხალხური სიმღერას ბავშვთა



სპეციალური ოლიმპიადაც კი მიეძღვნა, იგი დიდი წარმატებით ჩატარდა. მაგრამ ყოველივე ეს მაინც ცოტაა.

ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალურ მუსიკალურ სკოლებში ხალხური მუსიკის შესწავლა უნდა დაიწყოს მარტივი ორხმიანი სიმღერებით („მუჟუნა წვიმა“, „პრელო პეველა“, „სალამი, ჩიტუნებო“ და სხვა) და მხოლოდ შემდეგ, ისიც თანდათან, გადაიდეთ მუსიკალური ფორკლონის რთულ ნიმუშებზე (ყურადსაღება შერულების სპეციფიკური მანერაც — ქართული ხალხური სიმღერა უფრო გახსნილი ბგერით იმღერება). ამ შემთხვევაშიც გვჭირდება კომპოზიტორთა შველა. მათ როული ბუნების ხალხური სიმღერა ისე უნდა მიუხადაგონ ვოკალურ ანსამბლებს, რომ ქალაქელ ბავშვებს სწავლა გაუადვილონ. მათეე ვეალეობათ რეპერტუარის შექმნა სხვადასხვა შემადგენლის ინსტრუმენტული ანსამბლებისათვის, ძირითადად, ხალხური და კლასიკური მუსიკის ყვიდაზე. ამგვარი კამერული ნაწარმოებები სტიმულს მისცემენ სახალხო მუსიციერების გაერცელება-განვითარებას. ეს ტრადიცია საქართველოში ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამდეგს დიინერგა. იმ დროს სწორედ ამ გზით ვრცელდებოდა მუსიკალური ცოდნა ხალხში. დღეს კი ეს მოძრაობა სრულიად შეწყდა.

მუსიციერება აუცილებელი კომპონენტია ახალგაზრდა მუსიკოსის ფორმირებისათვის. ამ გზით ხერხდება კოლექტიური მეგადინეობა მუსიკ.ში, რაც ძალზე ნაყოფიერ შემოქმედებას ახდენს მოზარდის ნიჭზე, განათლებაზე, პროფესიულ თვალთახედვაზე. გარდა ამისა, მუსიციერება ანსამბლურობის კულტურას აწვითარებს, რაც გადაწყვეტია მომავალი ორესტრანტის, სოლისტისა თუ კამერული მუსიკის ნებისმიერი შემსრულებლისთვის. მუსიციერება შეიძლება ყველგან — სკოლაში, ოჯახში, მეგობართა წრეში.

განსაკუთრებით სასარგებლოა საოჯახო მუსიციერება პრაქტიკა, იგი დადებითად მოქმედებს არა მარტო ნორმ მუსიკოსებზე, არამედ მშობლებზეცაც, რომელთა მუსიკალური გემოვნება, ხშირ შემთხვევაში, აღსაზრდელია.

მოდით, მუსიკას ფართოდ გავუკავით გზა ყოველ ოჯახში, რადგან იგი მოწოდებულია მორალურ-ესთეტიკურად აღზარდოს ჩვენი ახალგაზრდობა.

ის კი, ვინც რადიოსა და ტელევიზორანს გამორთავს სიმფონიური, კამერული თუ ხალხური მუსიკის კონცერტების ტრანსლაციის დროს, ღრმად ჩაუკვირდეს თავის მოქმედებას. დაფიქრდეს, თუ რატომ არის მოკლებული მშვენიერების აღქმისა და განცდის უნარს.

ყველა მოქალაქის — კომპოზიტორის, პედაგოგის, მშობლის ვალია მოზარდთა წინაშე ფართოდ გადოს მშვენიერების საწყაროს კარი, აზიაროს შთამომავლობა ხელოვნების უდიდეს მონაპოვებს. მხოლოდ ამ გზით აღიზრდებიან ჩვენი დიადი ეპოქის ღირსეული, მრავალმხრივ განათლებული, პარმონიული საბჭოთა ადამიანები.

ყველა ნიჭსა და ტალანტზე უფრო დიდი ნიჭი და ტალანტი ბუნებამ თავისთვის შემოინახა. იგი საიმედო დედაობია, რომელსაც ყურდობა ჩვენი პიუზისისა და ხელოვნების დარბაზების სახურავი. გავიდა ხანი, ახლა ადამიანი გაეკვირა ბუნების ტალანტს. მისი ლამაზი კლუის მწვერვალი ხან მცხეთის ჯვართი დააკვირგვინა, ხანაც უფლოს ციხით და ქვეყანას დაანახვა, სიმამლევებსა და სიერცეებს მოჰფინა მრავალფეროვანი და მშვილდათიანი ტაძრები, სატირომლო თაღები — მცხეთის ჯვარი და სვეტიცხოველი, სამთავისი და იკორთა, ატენი და ყინწისი, კვირიკე და ბოლნისის სიონი, კიდევ მრავალი, მსოფლიოს ხალხებისთვის საკვირველებად მერამდენედაც საოცრება, ისე, როგორც ვარძია და საფარა, ნიკორწმინდა და გელათი, გრემი და ალავერდი. საკუთარ თავს გამოუვტყდები და ვეტყვი, რომ ჩვენი დიდებული ერთიმოდერების საფუძველში უნდა ვეძიოთ.

სოლო თუ ჩვენი ძეგლების შინაგანი ხსული და გარეგნული მშენიერება იწწას, ამინდას და სიერცეს ასე ბუნებრივად ერწყმის, ეს შერწყმა ადამიანისა და ბუნების ტალანტისა, ანუ კეთილმოხილური შეჯიბრი ადამიანისა ბუნებისათან.

ასე მოდიოდა, ღრუბელივით ნელა, დიდი ქართული ხელოვნება ფრესკიდან და დეკორატიული ბიძებიდან, კახული ფასადებიდან; სრულყოფილი და შერწყმული მშენიერებით მოდიოდა.

კვლავაც გაგხედოთ ახალი და კეთილი თვალით ჩვენს საქართველოს; ყველა ციხე და ყველა ტაძარი განგებ აუმაღლებია ხუროთმოძღვრის კეთილგონიერებასა და სასრინაობას, აუმაღლებია და ძლიერებით შეუვსია ბუნების იდეალური სიყარეულ. რა სასწაულებრივი ვითარდება, ლამაზდება, ახვეწება და კეთილმოხილდება ბუნების პიუზატი, შემოგარენი ხუროთმოძღვრული ნაგებობისა, რა ფერიაინი და სასრინი ხდებიან მიუვალი ქარაფები და ქანახები, რომლებსაც ხუროთმოძღვრის თვინიერი ფრთები შეხებია.

დიახ, დაიბადა ქართული ქანდაკება ქართული ხუროთმოძღვრების ნეკიდან, მიერთვა აკრძალული ხილი და გამოშვლდა საწყაროს წინაშე.

# კლიერი, პართალი, წმინდა!



ჯანსუღ ჩარკვიანი

მ. ბერძენიშვილი. შოთა რუსთაველის ქანდაკება მოსკოვში.

დადგეს ოპერის ბაღში იაკობ ნიკოლაძის მიერ ხელქმნილი მკერდგაღვილი ბულბული სრულიად საქართველოსი და ასალი ქართული ხელოვნების გულში აინთო ათასი კელაპტარი. ასე აღმოგჩნდი საუკუნეების წიაღიდან მოტანილი ფიქრების პირისპირ.

და აი, გადავწყვიტე, კვლავ ჩამოვუარო და მოვიწასვო გამოჩენილი ქართველი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის დარდი და სისხარული, ქვაში და ბრინჯაოში გამოკვეთილ გმირთა და მუსათა უკვდავება.

საქართველოში გაჩნდნენ ძეგლები. აფერუმ, ჩვენი დიდი ხელოვნების დიდ ჭირისუფლებსა და ქველმოქმედთ. მაღლობის მეტი რა გვეთქმის. დიას, მომძლავრდა, მოძლიერდა, დრომაც ხელი შეუწყო და აღორძინდა ქართული სკულპტურული ხელოვნება.

ჩემსავე თავს ვეკითხები, ყოველგვარი ქვენა აზრებისა და ქვეტექსტების გარეშე, რას ნიშნავს ასეთი შემობრუნება? მარტოდენ ყურად-

ღებას? რა თქმა უნდა, უთუოდ დიდ ყურადღებასაც, მაგრამ კიდევ ჩაეუფიქრდეთ, — ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე თავის სიტყვას ამბობდა ქართული ქანდაკება, დღეს კი, იქნებ დღეს უფრო მძაფრად იწყება ჩვენი სამოქანდაკეო ხელოვნების აღორძინება? ვინ იცის...

მოვიდა თაობა, რომელთა წარმომადგენლებიც ახლა უკვე შუახნისანი არიან; რა ექნათ, რითი ეხელმძღვანელათ? რითი განსწავლულიყვნენ? იტალიური ხელოვნებით, ბერძნულით, ქართული სურთომოდვრების დიდებული ნიმუშით, ნიკოლაიძიდან მოყოლებული სამიოდ ჭუმბარიტი შემოქმედის დახვეწილი გემოვნებით თუ სასოტბო და დითირამბული ხელობით, რომელსაც ერთ პერიოდში საოცრად დიდი გასავალი ჰქონდა?

„წესია სამშენ აღმშენთა პირველ საფუძვლის დაღება“.

იქნებ, შენს განუმეორებელ ტანჯავასა და წამებას, მღელვარებასა და სისხარულს — შენს



ჭეშმარიტ ხელოვნებას, თავად უნდა დაუდო საფუძველი? „თქმულა სიბრძნესთან სიგიჟე, ვითა ცოცხალთან მკვდარია“. პოდა, მეც მანდ გახლავართ, შეიძლება ვცდები და ჩემი საკუჭნაო სამხეობე გამომაქვს? თუ ასეა, პატიებას ვითხოვ, რადგან ეს ფიქრები უფრო პოეტისა და მეგობრის ფიქრებია, ვიდრე თუნდ დილექტანტი ხელოვნებთმცოდნისა.

ესეც დავითი, დავით გურამიშვილი, მოქნილი ოსტატის მიერ ცეცხლში გამოწრთობამდე გარბილებული რკინა. მოუსყიდავი და ალალი გამოხედვა აქვს მერაბ ბერძენიშვილის დავითს, ცოდვაკაცია მერაბ ბერძენიშვილის დავით გურამიშვილი...

ძველი დროის ელვარება მწარედ გამოგრთის მის ძლიერ პიროვნებაში, რის ხმალი, რა ხმალი, მოაქვს ქვეყნისოდენა ფიქრი და იდეა, რწმენა და საუნჯე სიბრძნისა, ჭირი ქართველისა, მოაქვს ნაყოფით სავსე მწვანე ხე „ყმაწვილთა დასარხეველად“. მოაქვს საწუთროს ბერწოვნება და მოუნათლავი ლექსები. უტეხი და

ჭიუტია იგი, ათას კაცს შერეებს თავისი ირგვლივ და შემდეგ ნუსსავს, იმონებს. ასეთი სახე მხოლოდ დავით გურამიშვილს შეიძლება ჰქონოდა. ერთ ჩემს ნაცნობს ქანდაკებამიც მომბარა დავით გურამიშვილი სურდა ენახა, აი, სწორედ ისეთი, ნიკოლოზ სანიშვილის მშვენიერ ფილმში რომ თამაშობს - აწ განსვენებული გიორგი შავგულიძე. რას იზამ, ის დავით გურამიშვილი ნიკოლოზ სანიშვილისა და გიორგი შავგულიძეს ეკუთვნით, ეს დავით გურამიშვილი კი — მერაბ ბერძენიშვილს. კიდევ არსებობს დავით გურამიშვილი უჩა ჯაფარიძისა, ბევრი სხვისიც... ასე რომ ჩემს ნაცნობს მინდა მოვახსენო, კაცმა არ იცის რომელია მართალი დავითი, ქეი იგი, ნამდვილია დავითი.

რომელი ჯობდა: პოეტი დავითი თუ დავითი მოლაშქრე? დავითი ბრძენი თუ დავითი მხენელი? რომელი დავითი უნდა შეინახოს ქართველის მეხსიერებამ?

„ბრძენი სიტყვითა დარჩების, ოსტატი თავის ხელოთა, ზუცესი წირვით, ვჰპარი შორს წასვლით-მოსვლით მნელითა,



მ. ბერძენიშვილი. მუღა.



მოლაშქრე სისხლის ქცევითა, მხვნელი ოფლითა  
ცხელითა,  
ვლამა კარის-კარ თხოვნითა — შენა გწაღს აწ  
რომელითაუ“

ვერ გამოვაჩინეთ დედაქალაქის ეს ბრწყინვალე გამარჯვება იმრიგად, როგორც ვადარებოდა. სხვა ჩქებოდა, — დაგვედგა ქაშვეთის წინ, სვეტში, ბრძენი და სულით ხორცამდე ქართველი პოეტის ძეგლი, რომელიც ბევრს შემატებდა თავად ბრწყინვალე ძეგლს, ქაშვეთს.

ჩვენი დიდი ცხოვრების, ჩვენი დიდი და ღრმა ისტორიის ყველა მონაკვეთს თავისი მზე სჭირდება, რომ ნათელი მოჭფინოს დროის ფორმასა და შინაარსს, ჭირსა და გამარჯვებას.

ეს მზე ხან ხალხია, ხანაც გამოკვეთილი ერთი პიროვნება, პიროვნება-ტალანტი, რომელიც ვეებერთელა, გამადიდებელი შუშით აკვერდება ისტორიის მიერ შორს მიტოვებულ წირტილებს. მშვიდი ალტაკებით გადმოაქვს ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან და ლეგენდებიდან, ანდაზებიდან და ზღაპრებიდან, გველეშაბებთან და ფასკუნებთან, ურჩხულებთან და გრიფონებთან მებრძოლ წმინდანთა და სახალხო გმირთა სახეები. სულს უდაგამს იმდროინდელს და დამეკითხებით აგუებს დღევანდელ ყოფასა და გარემოს.

დაიხ, ეს უკვე დიდი ტალანტის საქმე გახლავთ.



მ. ბერძენიშვილი.

მუხა.

„მაშინ კარგია კაი უმა,  
რა დილა ბინდი დგებოდეს,  
იყვამდეს გრილსა რკინასა,  
ომს ვიქამ ემზადებოდეს.  
ხვალი რა ხრავდეს ლაგამსა,  
წალმა-უკულმა დგებოდეს,  
ეთოჭროვებდეს მხედარი,  
ტყვია ტანჯელა ხვდებოდეს“.

გიორგი სააკაძე, მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის დაუმცხრალი ენერჯისა და მღელვარე შთაგონების გვირგვინოვანი ნაყოფია. მამულის დასაცავად თუ მამულის დასახსნელად ამხედრებული დიდი მოურავი მზადაა ყველასა და ყველაფერს შეეჭოდეს, ურჯულოსა და უწმინდურს, უგვანოსა და უსახურს.

ურთულესი მიზნის წინაშე დადგა ავტორი,

როცა მოისურვა შეექმნა მძაფრად მრისხანე და თავგანწირული ქართველი მხედართმთავრის სახე.

თუ დიდ ბრძენკაცსა და დიდ პოეტზე, გურამიშვილზე მუშაობისას ავტორს ხელთ ჰქონდა „დავითიანი“, რომელიც ტყუპისცალია გადახვეწილი და ჭირგამოვლილი პოეტისა, სავიორგი სააკაძეოდ შედარებით ძუნწია ჩვენი ისტორიული წყაროები; რაც შეეხება ხალხურ ზეპირსიტყვიერებას, ძალიან ცოტა თქმულა გიორგი სააკაძეზე, აქა-იქ, კანტი-კუნტად, პაატას თუ მოიხსენიებენ ხოლმე.

დაიხ, რთული და ხელშეუხებელი იყო ბერ-

ძენიშვილის მიზანი, მაგრამ მიზანსმიღწეული კაცი უკვე აღარაფრად აგდებს წარსულ ტანჯვასა და ცეცხლში გამოვლას. მ.ს სწორედ ასეთი მიუწვდომელი გრიგალის მოთოკვა სჭირდებოდა, ასეთი გმირი, ასეთი კაცი, ასეთი ცხენი, ასეთი სატევარი, ასეთი ლაგამი.

პირველი შეხედვითვე ბრძოლაში ებმები, იმითანა ხარ, ცხენი და კაცი ერთიანად იბრძვის; ერთი შეხედვით, „თავისუფლება“ ჰქვია ამ დაუმცხრალ ჟინსა და ეროვნულ ენერჯიას. ღიახ, ცხენსა და კაცს ერთ მთლიანობაში აღიქვამ, ორთავს, დიდ შორავს — გიორგი სააკაძეს, ვეებერთელა ხმაღს რომ დასჭიდებია

და თითქმის გაუწიშვლებია, და მოჭიხვინე განწირულ ულაცს, რომელსაც ქარში დაბერილი ნესტობიდან, მზის სხივეებით მილიონი სატევარებით გამოუკრთის დაუოკებელი ფრტინევა და გახელებია.

„ახლო მტერსა არ მოუშვებ,  
შემორტყამ ვალავანსა“.

ამას წინათ, გამოჩენილი უკრაინელი პოეტის ვიტალი კოროტიჩის წერილი მივიღე. მწერდა, უსაზღვროდ შევიყვარე საქართველო.

სხვა შთაბეჭდილებებთან ერთად, მესაუბრა მერაბ ბერძენიშვილის „გიორგი სააკაძეზე“.

„გიორგი სააკაძე საერთოდ ქართველი რაინდის, ქართველი გმირის თუ მხედართმთავრის ზოგადი სახეა, რომ ის არამც და არამც ერთი პიროვნება არ არის, ეგ ის გმირია, რომელიც სამამულო ომის დროსაც იცავდა საქართველოს“.

უკრაინელმა პოეტმა ასე გაიგო; ვინ იცის, შეიძლება ასეც იყოს. ერთი კი, ჩემთვის აღიარებული სიჯიუტეა, აღიარებული ფაქტია, ნახევრად იუმორით მოგახსენებთ, ამხელა ხმლის ვადის მოზიდვას ერთი გმირი ვერ შეძლებდა, მთელი საქართველოა გამხედრებული, გააფთრებული ერთ თავდადებულ რაინდში.

ჩემის ღრმა რწმენით, ამ ქანდაკებასაც სხვა უფრო შესაფერი ადგილი ეკუთვნოდა; ახლა, რაღა თქმა უნდა, უკვე გვიანია.

„...თავს აღწევს ლაგამს  
და უსივრცოა მისი კენება“.

მ. ბერძენიშვილი.


ზ. ფალაშვილი.



ძვირფასი და მზისფერი ცეცხლი გინთია გზადგზა, როცა სიკეთეს თესავ, უსაზღვროდ ხანგრძლივი და სინათლით სავსეა დღე, როცა სიკეთეს ეტებ. სიკვდილ-სიცოცხლის ველზე განფენილია მწუხარება დედათა და გულის სწორთა, მაგრამ ადამიანის გაუტყეელი ნებასურვილი ხნავს და თესავს. იმკის და ფეკავს, ხვდება და ისტურებს მტერსა და მოყვარეს.

ა რ ა შ ე ნ დ ა ს ს ა დ ო ლ ა შ ე ნ ი ე ნ ა ც ე ლ ე ბ ო დ ა, ვ ე რ კ ე თ ი ლ ს — ვ ა რ კ ე თ ი ლ ი, ა რ ა ხ ლ ო? ხ ე ლ ი ა რ ა ხ ლ ო ა მ ქ ა რ - თ ო ლ ს მიწასო, ამბობდა ქართველი. სულ ვიდაცის ხმაღს ვიცელებდით, ან ხმაღს ვუწვევდით, ან მჯიღს ვუღერებდით, ან ლექსით ვემუქრებოდით და საკუთარ სულს ვიმხნევედით.

„ფხვზე სიკვდილი გვირჩვენის, დაჩქობლ არსებობასა“.



მ. ბერძენიშვილი.

გ. სააკაძე.

„კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“. და აი, ორი დედიშობილა ბიჭი, რომლებსაც მკლავებზე უსვენიათ ისევ და ისევ საქართველოს ვეება ხმალი, ორი ფეხებგაჩაჩხული ბიჭი, ქართველის დედის წინ გარინდებულა. პაატასავით განწირული ორი დედიშობილა ბიჭი, განწირული კი არა, მამულის სამსხურპლოდ გამზადებული...

სახვითი ხელოვნების ეს უბრწყინვალესი სახეობა — ქანდაკება — მე ასეთი სამებით წარწომიდგენია: ძლიერი, მართალი და წმინდა. დიას, ეს ის სამება გახლავთ, რომელიც კეთილი ხმითა და ღალადებით მიაცილებს მერაბ ბერძენიშვილის მუზას ადამიანებადმდე, ხალხმდე. ბედნიერებაა, საყოველთაო ბედნიერებაა, როცა ნაწარმოებში ერთადაა შერწყმული მაღალმხატვრობა და იდეა; და რა გასახარია, რომ მერაბ ბერძენიშვილის შემოქმედებაში ეს მუდამ ასეა.

ალგეთის მხარე, საქართველოს ამ უძველეს

და უწმინდეს მიწას, ჩვენი გმირი წინაპრების ძელებით გაპოხილ მიწას, მართლა დაამშვენებს „კიდევაც დაიზრდებიან“ — ძლიერი, მართალი და წმინდა ხელოვნება.

„აი ეს გოგო ჩემთან ახლო, ახლო მოვიდა: რა ლამაზია, რა წარბაცო და მშვენიერი. იქნებ ის როსმე დაეისჯრა ოცნებას ჩემსას, როს გააფხულის ღამე სივრცეს რიდეებს ჰფენდა, როცა ჰევაოდნენ გააფხულის ცაცხვის ხეები, და იაღონი გულსაკლავად ვარდებში სტვენდა“.

„ხელოვნებაში“ განსაკუთრებით ნათლად გამოთქვადნა მოქანდაკის ინდივიდუა-



ლობა. არაპროპორციულობით შექმნილი პროპორციულობა მომდინარეობს ისევ და ისევ ქართული სურთომოდებრივადან, კერძოდ, მისი ფესვი კვლავ უნდა ვეძიოთ „სვეტიცხოველი“-ში“, რაც გამოიხატება მისი ხაზგასმული ასიმეტრიულობით შექმნილ სიმეტრირებში. ამ საოცრად ძლიერ ფიგურაში, გამოკრთის ანტიკური პლასტიკის კეთილშობილება. სხვა სივრცე არა ჰქონია ამ დიდებულ ქანდაკებას, ვეებერთელა სასახლის წინ, მკლავებგაშლილ და გამოღვიძებულ მქუხარებას, გამოდარებულ სიმღერას, სწორედ რომ ასეთი, უსაშველოდ ხორცშესხმული და მკერვი სხეული უნდა ჰქონოდა. მე კარგად მახსოვს ზღვა ხალხი, რომელიც გაოგნებული უმზერდა ამ საოცრებას და ვერ გაეგოთ საქმის ვითარება.

ასლა იგივე ზღვა ხალხი, იგივე ადამიანები, თვინიერი და შეგუებულნი, უნებლით შემოხვებიან და ვერც კი წარმოდგენიანთ ის ძველი უფერხული სიყარვილე, რომელიც ამ ქანდაკების მაგიერ იდგა ადრე ფილარმონიის წინ.

როცა არაპროპორციულობაზეა საუბარი, ყოველთვის მაგონდება მიქელანჯელოს დავითი. მე მაგონდება, ხოლო გამოჩენილი ხელოვნებათმცოდნე ვიქტორ ლაზარევი მიქელანჯელოს დავითზე ასე ამბობს:

„მას არაპროპორციულად დიდი კიდურები და მძიმე თავი აქვს, რითაც ხაზგასმულია ყმაწვილური ხასიათი სხეულის აგებულებიანა. დიდებულად ჩამოსხმული ხელები და ფეხები მარტო ფიზიკურ სიძლიერეს კი არ გამოხატავენ, არამედ ხაზს უსვამენ სულის ძლიერებასაც.“

ქუსს სტეაკ საყარძელში დაგუბებული ქართული სიმღერა. შემდეგ წყნარდება და წყნარი მუსიკა ეფინება ხეებსა და შადრევნებს, ჩიტებსა და სართულებს, ადამიანებსა და იარაღებს, სვედითა და სიხარულით სავსე თბური ბაღს. მაღალ საყარძელში მორჭმით ზის ქართული მუსიკის მეფე — ზ ა ქ ა რ ი ა ფ ა ლ ი ა შ ვ ე ლ ი, თავს მოგუნუნე ქართული ხალხური პანგების ნათელი ადგას. უნებური სევდა მეუფლება, როცა ზაქარია ფალიაშვილის ქანდაკებას ჩავეული ხოლომე...

დიხს, არსებობს მშვენიერი სევდა, რომელიც თრგუნავს და გაიწყებს ლამაზი დღეების მესაფლავეებს, უკეთურ და უზნეო ადამიანებს. გაიწყებს და გარჯავს ანგლოზების ფრთით მოტანილ მშვენიერ ფერებში, სიხრბულ, ელ-

ვარე საღამოებში. უსმენს თბილისი თავის გულანთებულ მუსიკოსს, ათასი საიდუმლო კვლავ ამოუხსნელია.

დიდი საუკუნარია, დიდი გაბედვაცაა, წარმოიდგინეთ — გაივლი რამდენიმე ნაბიჯს და ნათეს მთავფენს აკაკი წერეთლის ბრწყინვალე სკულპტურული პორტრეტი, რომლის ფასი, რა თქმა უნდა, დიდებულად იცის მერაბ ბერძენიშვილმა.

„გული სავსეა წუნარი სიმღერით,  
სულში ვარსკვლავი ბედის გაბრწყინდა.“

თითქოს საკმარისი იქნებოდა მერაბ ბერძენიშვილის ხელოვნებაში ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან და ლექსდებიდან გადმოსულ გმირთა მძაფრი სახეები, მაგრამ შეუძლებელია ხაზგასმით არ აღვნიშნოთ უძველესი და, ამავე დროს, ქართული, ისტორიულ-მითოლოგიური თემა, რომელმაც საოცრად თავისებური განხორციელება ჰპოვა ჭეშმარიტად დახვეწილი და გამარჯვებული მოქანდაკის შემოქმედებაში.

ეს უძველესი და ისტორიულ-მითოლოგიური თემა გახლავთ „მე დეა“. როგორც ლიტერატურაში, მე ვიტყვი, აქაც, ესე იგი ქანდაკებაშიც, დიდა მისი ფილოსოფიური სიღრმე. უცებ შეგეფიება, ღრუბლივით გულჩაგვეული, ეს განწირული და აფორიაქებული ტალღა, რომლის ფონზე მისივე გაგრძელებად მოსჩანს ვეებერთელა შავი ზღვა.

მოსჩანს როგორც გაგრძელება, ანუ უსაშველოდ დიდი უბედურება, რომელიც თავისკენ ეწევა სიხზარულსა და ტრაგიზმით სავსე გრძელ მედვას. ხოლო ეს ტრაგიზმი შინაგანი გამომატველობით იმდენად ენერგულია, რომ ირგვლივ იკარგება და ცარიელდება შემოგარენი, რჩება მხოლოდ მედეა — განწირული და აფორიაქებული ტალღა და მისი უბუნებოვი გაგრძელება — შავი ზღვა.

„ჩემს მიზანს ვრჭავ  
სიყვარული,  
აზრს — სიყვარული.“

თუ დავით გურამიშვილის შთამბეჭდავი სახიდან გამოკრთის ძეინვა და ძლიერი ჯავრი, სულ სხვაანარადაა ნაგებ-ნაშენები შოთა

რუსთაველი. იგი საოცრად ძლიერი და ამაყია, მეფე თამარით ცეცხლმოედებული ბრძენი და რაინდი, მტერ-მოყვარეზე ჩაფიქრებული, მაღლიდან დასცქერის უსაზღვროდ გამეტბულ ქვეყანას, ჯვარცმასა და ეშაფოტს, განსჯასა და განდგომას, შურსა და მერეხელობას. იგი მაღალი, იგი მეფური, იგი ამაჯდარი, ჰგავს გამოცხადებას, რომელსაც მოაქვს რწმენა და იმედი, გათენებული ჭეშმარიტება, კაცთ-მოყვარეობა და სიყვარულის ფერადი მინდვრები. უფრო თვალშისაცემად დიდი უნდა ჩამოესხათ, რათა ბრინჯაოშიც გვერდით ამოსდგომოდა მსოფლიო პოეზიის ღმერთებს.

როცა მერაბ ბერძენიშვილის ჭეშმარიტ ხელოვნებას ვკითხულობ, მახსენდება ჩურლიონისის სიტყვები:

„ფართოდ გახელილი თვალებით, ბავშვის თვალებით უნდა უმზირო ყველაფერს, რაც მშვენიერია, უნდა დაივიწყო საიდან მოდისარ და სად მიდისარ“.



მ. ბერძენიშვილი.

დ. ვურაბიშვილი.

ახლა მთავარია ქმედითი ძალა, ახლა მთავარია სხეულში ვერდატეული ენერჯის მოვლა, გაფლანგვა კი არა, კვლავ მინდა გავიმეგრო, მოვლა! ახლა განსაკუთრებით უნდა მოვუაროთ ნაყოფით საფესუსა და დამძიმებულ ხეებს. მერაბ ბერძენიშვილი და მისი თაობის უნიჭიერები მოქანდაკეები (ისინი ბევრნი არიან) ლამაზი ამბებივით მოსდებიან საქართველოს და ამშვენებენ, ავირგვინებენ და გვირგვინოსანსა და მშვენიერს ქვეყანას ანახებენ.

ასე ცისფრად ღამდება და ვარდისფრად თენდება თბილისისა და კასპში, აღლურსა და ბიჭვინთაში, გურჯაანსა და მთაწმინდაზე, მოსკოვშიც, ყველგან, ყველგან, სადაც კი მერაბ ბერძენიშვილის ტალანტის შუქმა შეაღწია.

ასე მგონია: „შოთა რუსთაველი“, „დავით გურამიშვილი“, „გორგი სააკაძე“, „ხელოვნება“, „მედეა“, „იდილეც დაიზრდებიან“, „მარჯანიშვილის პორელიეფი“, ერთიანი სკულპტურული კომპოზიცია, ანსამბლური კომპოზიცია გახლავთ, რომელსაც სახელად დაერქმეოდა: „ძლიერი, მართალი, წმინდა“.

გულის ზარი რეკავს და რაღაც კარგს მაუწყებს, კარგი ამბავი, ზარო, კარგი ამბავი, — ვამბობ ჩემთვის.

ხმაურობს დიდი ხელოვნება...

„ასე ხმაურობს პოეზია, ვეფხვი და ქარი“.

# ქართული ხალხური სავსატყურო სარეწავი

უჩა ჯაფარიძე

მსწრემის პირობების თავისებურებანი განსაზღვრავს არა მარტო ხალხური ხელოვნების ხასიათს, არამედ ხალხურ არქიტექტურას, ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს, სამხარეულობას კი.

ძველად მოუხერხებელი გზები, შეზღუდული საკუროკავშირი განვითარებული მრეწველობის ქვეყნებთან და საკუთარი მრეწველობის განვითარების დაბალი დონე აიძულებდა ხალხს ან თვითონ შექმნა ქსოვილი, ტანსაცმელი, სალინები, ავეჯი, ან მათივე წრიდან გამოხეული ხელოსანისთვის დაევალებინა იარაღის, საიუველირო სამკაულის, სპილენძისა და თიხის ჭურჭლის დამზადება.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ხალხური სამხატვრო სარეწავის არსებობა დაკავშირებული იყო ცხოვრების ძველ წესთან, მაგრამ დღეს, როდესაც ეს წესობა რადიკალურად შეიცვალა, გაქრა ის ვითარება, რამაც განაპირობა ხალხური სამხატვრო სარეწავის არსებობა. საერთის, კიდობნის თუ მოჩურჩუმებელი სავარაზდის მავიჯობა ახალმა ავეჯმა გასწია. აღარ იხმარება სპილენძის ჭურჭელი, რომლის ადგილი ემაშობა და ალუმინმა დაიკავა, აქა-იქ შემორჩა ხალხური ტანსაცმელიც, თითქმის სულ მივიწყებულია ქარგვის ხელოვნება, ადრე კი მამაკაცისა და ქალის ხევესურული ტანსაცმელი იკავშებოდა არა მარტო ნაქატირად, არამედ ოქროთი და აბრეშუმითაც, ქალაქელი ქალის ჩაცვობასაც მრავალფეროვანი იყო, მამაკაცის კი — უფრო მარტივი. გააკლებოდა მანინდელი საიუველირო ტექნიკით. ქარჭაყვის, მწლების და ხანჯალების მოკაზმულობა, სუფრის ტრადიციული ჭურჭელი — სურა, აზარაფლა, ყარაგა, თასი.

ძველმა სარეწავმა დიდი ხანია შეწყვიტეს არსებობა და დღეს ჩვენში ყველა ცდა სარეწავის ხელოვნურად აღდგენის, შედგენს არ მოგვეცემს, თუ არ შევქმნით ახალ პირობებს მათს შრომის არსებობისთვის და ასალ მოთხოვნისა და მოსურველს. სწორედ ეს არის ხალხური სამხატვრო სარეწავის აღორძინებისა და შენარჩუნების ერთადერთი სწორი გზა. თუმცა ყველა სარეწავი ერთნაირად არ არის დევრადირებული. მიიანის საქართველოს ბევრ რაიონში, სადაც დღესაც იხმარება ხალხური ტანსაცმელი, კიდევ არიან ოსტატები, რომლებმაც იციან ნაყმანი ჭრელი წინდების, ფადრაგებისა და ხურჯინების ქსოვა, ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის დეტალების ამოჭრაგა.

ყველაზე მეტად დაზარალებენ ქალის სამხატვრო სარეწავი, მთლიანად შეწყდა სპილენძის ჭურჭლის დამზადება. აღარ არის ცოცხალი არცერთი ძველი ოსტატი-იუველიერი; ის ახალგაზრდობამ კი, რომელიც სათიურეო ნაკეთობას ქარშივებს მსხდვებს, მუშაობის ტექნიკით გადამხატვა ქართული საიუველირო ხელოვნების ძველ ტრადიციულ ჩურჩებს. მათი ნაშეუქრები, რომლებიც დღეს ოდით რადონობით იყიდება სასუქრების მათაზობიში, ოცნა თუ მოგაგონებენ ძველ ქართულ სამკაულს. ვინც აკრავდ იყნობს ძველ, საიუველირო ნაკეთობებს, ძვირფას საკაულებსა და ვერცხლის ჭურჭელს, თანამედროვე ნაყე-თობებზე შეუძლია თქვას, რომ ისინი წარმოადგენენ არა მდინება მანდილ ქართულ საგნებს, რამდენადაც საგნებს, შესრულებულს „ქართულ სტილით“.

ეს, კერძო წოდებული „ქართული სტილი“ შეიძლება ერთგვარ სამშრომბასაც წარმოადგინებს ძველი ქართული მხატვრული ოსტატობის აღორძინებისთვის. ამგვარად ცდი-

ლობენ მიადწონს საგნის რაც შეიძლება მაღალ გარეგნულ ეფექტს და ხაკლები შრომა და დრო დახარჯონ მის სრულყოფაზე.

მხატვრულ-სასუვენეირო ნაკეთობათა დამზადებას ბევრმა მოკიდა ხელი, უმთავრესად ახალგაზრდობამ, მაგრამ უმრავლესობას არ გაანია არც სათანადო ცოდნა თუ ტექნიკური მომზადება და, რაც მთავარია, საკმარისად გაზეთიარებული მხატვრული გემოვნება. მათ გადაიღეს ჭედური ხელოვნების საუკეთესო ოსტატების — ირაკლი ონიანურის, გურამ გაბაშვილის, კობა გურულის, კერამიკოსების — რუხი მხატვრეების, რუხი იაშვილის, ალექსეაბაძის, ნანა კიკნაძის ხელოვნების მხოლოდ წმინდა გარეგნული ხასები, კომპოზიციური ავების სიმკვეთრისა და სიხუსტის გარეშე, რაც ახასიათებს ამ სინტერეს მხატვრების შემოქმედებას. აქედან მივიღეთ ის ჭედლები, რომელსაც ახლა უწოდებენ „ბაზრის“ ჭედლებობას: გრძელი სახები, წამოწეული ყლითი, თვალბოტი, რომლებიც გამოდინან საბნის კონტურის გავით. ნაცვლად ძველად არსებული უსტები და კომპოზიციურად ნათელი გამოსახულებისა, მივიღეთ ორნამენტებით გადატვირთული კომპოზიციები. ამთვე ახსენება საიუველირო საქმის ტრადიციული, ძველი ქართული სვავდას თითქმის მთლიანად მივიწყება. მის ნაცვლად გავრცელდა მარტივი, დადუღებული ფილიგრანული ტექნიკა.

ამრიგად, დღეარაკია არა მარტო ხალხური სამხატვრო სარეწავის აღორძინება-შექმნაზე, არამედ ამ საქმის განვიარების სწორი მიმართულებაზე, წმინდა ქართული ხალხური ხელოვნების ტრადიციებზე. ამ მხრივ ბევრი რამ გააკეთა საქართველოს მხატვართა კავშირმა. აღსანიშნავია დოცენტ დავით ციციშვილის ღვაწლიც.

1957 წელს მხატვართა I საკავშირო დამუშებნელი კრილობის შემდგ, საქართველოს მხატვართა კავშირში ჩამოყალიბდა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სექცია, რომელმაც გააერთიანა მხატვარი-კერამიკოსებისა და ლითონის მხატვრული დამუშავების სპეციალისტები. შემდგომში ეს სექცია გარდაიქმნა იმ ორგანოდ, რომლის საშუალებითაც საქართველოს მხატვართა კავშირი შეგავლენას ახდენდა ჩვენი რესპუბლიკის სამხატვრო წარმებების განვითარებაზე.

მათვე წელს საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „საქართველოში ხალხური სამხატვრო სარეწავის აღდგენის, დაცვისა და განვითარების ზომების შესახებ“ შეტანილი იქნა პუნქტი, რომელიც ეხებოდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ხისა და ლითონის მხატვრული დამუშავების გაყოფილებების ორგანიზაციას. ამ განყოფილებების საფუძველზე თბილისის სამხატვრო აკადემიაში შეიქმნა ასალი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი. იგი აზრდავს იმ მხატვართა კადრებს, რომელიც ამოცანა ამტკიცდ მივიწყებული ხალხური დეკორატიული ხელოვნების სვავდასხვა სახის აღორძინება.

ამ დროიდან დეკორატიული ხელოვნების განყოფილება მხატვართა კავშირის ყველა გამოყენებულ მომწოდებელს. ქართული ხალხური ტრადიციების შესაფერისად შესრულებული საუკეთესო ნიმუშები დემონსტრირებული იქნა საკავშირო და სასულგარეთის გამოფენებზე (მოსკოვში, ვერმანიაში, საფრანგეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში), საერთაშორისო გამოფენებზე (მონრეალსა და ოსაკაში) და აკვლავად დიდ მოწონებას იმსახურებდა.





მხატვრული სასოგადოების დიდი ყურადღება მიიპყრო ქართული დეკორატიული ხელოვნების განყოფილებაში ამიერკავკასიის რესპუბლიკების შარშანდელ გამოფენაზე მისსოგობი, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

უკვე აღინიშნეს ის ფაქტი, რომ ხალხურმა მხატვრულმა ხელოვნებამ მთლიანად შეწყვიტა არსებობა; ადარ არინ ძვილი ოსტატები — გიორგი ხანდაშაშვილი, ძმები — თომა და ამბროსი ჯიქიები, ზუგდიდელი ოსტატი ძამაძიძე, მჭარბველი ანასტასია ჯანიდელი და მრავალი სხვა, რომლებიც თავიანთი (იონა და ხელოვნება არ გადასცეს ახალგაზრდა თაობას. ამიტომ მათი საქმე და ოსტატობა ხელახლა უნდა აღორძინდეს; ამის გაკეთება კი შეუძლიათ სპეციალურ სამხატვრო განათლებამოებულ ადამიანებს, რომლებიც ამთავრებენ თბილისის სამხატვრო აკადემიას თა მხატვართა კავშირის წიგნები ხდებიან. ჩვენი ამოცანაა სწორად წარვმართოთ მათი მუშაობა.

სულ სხვაა სოფლის სარეწები. მათი განვითარება ადვილად უნდა ხდებოდეს. საქართველოს მიიან რაიონებში ჯერ კიდევ შემორჩენილია სამხატვრო წარმოების ჩვევები. ზეგურეთსა და თუშეთში შეიძლება შეიქმნას ნაწილობრივ ნაქსოვი წინდების, ფარდაების, ჯეკიმების წარმოება. ღამწადღეს სხვადასხვა ზეგურული ნაკეთი მორთული ჩანთები და სხვ., მაგრამ ამისათვის საჭიროა ვარკვეული საორგანიზაციო მუშაობის ჩატარება.

ამჟამად სამხატვრო ფონდი და ფირმა „სოლიანი“ ცდილობენ მოსახლეობისგან შეიყიდონ სპეციალნი თუ ნაქსოვი ფესხაძელები (თუშური ჩითები და ზეგურული თათები), მაგრამ ისინი ძალიან ძვირია (25-30 მან.). ეს ბუნებრივია. მქსოველი ქალი თვითონ რეკებას მატკალს, ხელოთ ჩეჩას, რთავს პირველი ძაღს. აერთებს სამ წყრს, რთავს და მხოლოდ ამ პროცესების შედეგ იწყებს ჩითების ქსოვას. ი. შრომის 60-70 პროცენტს იხარჯება დამხატვრე თეორიულ ცხადია, ბევრად უფრო იოლია ამ პროცესების მანქანური წესით შესრულება.

მაგრამ არც ფირმა „სოლიანი“, არც სამხატვრო ფონდი და არცეულ სხვა ორგანიზაცია, რომელიც სასურველი ნაკეთობა რეალზაციას აწრმობს, არ გაანია საკუთარი საწარმოო ბაზა, მატკალის ფონდი. სადგებავები და ისეთი ადგილიც კი, სადაც შესაძლებელი იქნება უბრალო სამღობრო ლაბორატორიისა და სახელოის გასსნა.

ამრიგად, ხალხური მხატვრული სარეწების დაცვა-განვითარება ორი მიმართულებით უნდა ხდებოდეს. უპირველეს ყოვლისა. სოფლებში, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილი არიან ამ ხელოვნების ტრადიციული მხატვრული და ტექნიკური ხერხების მცოდნე ოსტატები, ორგანიზებული უნდა იქნას მატკალის, ხის, რქის, კვრის ნაკეთობის დამწავება. ამასთან საჭიროა თბილისში ჩამოალობოსი ნაწარმფარმობატებისა და ნაწარმების საფაბრიკო წარმოება, რომლებიც შემდგომში ხელოთ დამუშავდება. ამ გზით მივიღებთ იფფასიან და მავლე დროს წმინდა ხალხურ სუვენირებს.

ამ წარმოყებას თუ დავკვიანებთ, შეიძლება იქნ ომხედრო, რომ წარულენ ჯერ კითვე ცოცხალი, ძვილი ტრადიციების მატარებელი ხელოსნები და მაშინ დაკარგული პოზიციების აღსადგინად საჭირო იქნება ბევრად უფრო მეტი ძალისა და სახსრების დახარჯვა, ვიდრე დღეს. ამჟამად კი, თუ სოფლად შეიქმნება თავისუფალი დროის გამოყენებისა და დამატებითი შემოსავლის შესაძლებლობა, დაინტერესებული ახალგაზრდობა შეეცდება მიონდომებით იბრუნოს.

რაც შეეხება ქალაქის ხელოსნურ სამხატვრო წარმოებებს, მათი ამოცანაა სტილის შენარჩუნება და ხალხური ტრადიციების სწორი გამოყენება.

ქალაქის ხალხური ხელოსნობის ისეთი სახეობანი, როგორცაა: კერამიკა, ჭედურთობა და საიველირო ხელოვნება, რომლებსა ამაღი, განსაზღვრული ცხოვრებაც დაკავშირებული იყო სამხატვრო აკადემიის მოღვაწეობას, უკვე დამოუკიდებლად ვითარდებიან. საიველირო წარმოებისა და ჭედურობის ტექნიკა იმდენად მარტივია და მისაწვდომი, რომ არათლი ინსტრუმენტებით კი შეიძლება მის მუშაობა, ამიტომ საქართველოში ჭედურობას ხელი მოჰკადა ყველამ, ვისაც კი არ ვყარება.

დღეს ასე ვარკველებული, თანამედროვე ტექნიკით შესრულებული ჭედურობა არსებითად განსვავდება ნამდვილი, ძვილი ქართული ჭედურობისგან, რომლის ნიმუშებიც შემოსხულია ხელოვნების მუზეუმში.

სამწუხაროდ, არა გვაქვს ერთიანი ორგანიზაცია, რომელიც თვალყურს ადევნებდეს და კრძალავდეს მალაზიის რიტორებში მხატვრულად არასრულმზავიანი ნაკეთობების გათქმნას. ეს ნაკეთობანი გადის სხვადასხვა ორგანიზაციის საჯარო ქსელებში („სოლიანი“, სამხატვრო ფონდი, ცეკავშირი, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატები, სოხუმურნიველიყობის სამინისტრო). ყოველ მათგანს თავიკი სამხატვრო საბჭო ჰყავს, მაგრამ ისინი ყოველთვის როდი არიან დაკომპლექტებული მცოდნე და კომპეტენტური წევრებით. შშირად ერთი ორგანიზაციის სამხატვრო საბჭოც დაწუნებულ სამუშაოს მეორე ორგანიზაციის სამხატვრო საბჭო ღებულობს.

რესპუბლიკაში სამამოდ ბევრია ამ საკითხებში კომპეტენტური ორგანიზაცია. საქართველოს მხატვართა კავშირი გარდა, ხალხური ხელოვნების საკითხებს შეისწავლიან საქართველოს ხელოვნებისა და ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმები, საქართველოს მინისტრთა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, საქართველოს კულტურის სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, მაგრამ ჯერ არ არსებობს ცენტრი, რომელიც უსულმდგანაელებს როგორც ქალაქის (ხელოსნური), ასევე სოფლის (მიწამრეწველური), ხალხური სამხატვრო წარმოების ყველა კლვევით სამუშაოს.

ასეთი ცენტრი თუ შეიქმნება, მან უნდა გამოიკლიოს წარმოების სახეების ტექნიკა, ნაკეთობათა გაუმჯობესებული ნიმუშების დამუშავება, ადრე არსებული სამხატვრო წარმოებების აღდგენა, ისეთ ნაკეთობათა ახალი სახეების შექმნა, რომლებიც შერწყებული ნამუშევართა ძველეთერი მხატვრული ხერხები ახალ ფუნქციონალურ გამოყენებასთან. ამ ორგანიის შეიძლება მიეცეს სასარულრო პრევილოგიის პროფუქციის ბაზარზე გასული ყველა ნიმუშის „უმაღლესი“ კონტროლის უფლება.

ამჟამად ეს ამოცანები უფრო მეტად დგას ფირმა „სოლიანი“ წინაშე, მაგრამ ეს ორგანიზაცია სამეურნეო ანგარიშზეა და არ გაანია სასხრების კლვევითი სამუშაოების ჩასატარებლად, რომელიც თანველ დროის განმავლობაში აანაღარებს დახარჯულ მოხერხ.

მხატვართა კავშირთან შექმნილია ხალხური ხელოვნების შემსწავლელი მხელოლოგი კომისია, მაგრამ ამ სასოგადო ორგანიის მხოლოდ სათათბირო სამუშაოს ჩატარება შეუძლია და არა ქართული ხალხური ხელოვნების საკითხების პრაქტიკული გამოკლევა, რომელიც უკანასკნელი სხვადა იქნება ეტალონების შექმნა როგორც სოფლის, ისე ქალაქის ნაკეთობებისათვის.

ჩვენს ეპოქაში, როდესაც ასე განვითარდა ხალხთა შორის კონტაქტი, თანდათან იზრდება ხალხური მხატვრული სარეწობისდმი ინტერესი და მათი მიღწევების პოპულარიზაციაც სასურვარებია. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ აუცილებელია ხალხური სამხატვრო სარეწების წამყვანი სამეცნიერო კლვევითი ცენტრის შექმნა.

# ერთდროულად

წინ მიღვეს ოციანი წლების ბოლოს გადაღებული ორი ფოტოსურათი, ერთდროულად მიცქერიან იაგო და ყვარყვარე. მათ ანსახიერებდა უშანგი ჩხეიძე. ერთდროულად ჩამესმის ყურში ორივეს ხმა, მართალია, განსხვავებული, ხასიათის შესაბამისად, არამართო ინტონაციით, მაგრამ ორივე საოცრად ბუნებრივი ადამიანური, დროდადრო ხმის ტემპრით მაინც მონათესავე და ნაცნობი...

როგორც ხმით, ისე გრძობით უშანგი სცენაზე თავს არასოდეს იმ ზომამდე არ იცვლიდა, რომ ვერ გვეცნოთ.

სწორედ იმ ხანებში და მერცე ხშირად ზოგი მსახიობი სცენაზე ფიტულს მაგონებდა, რომელსაც არ დაუშურებია გრიმის შესაძლებლობანი, რათა თავი ისე „გარდაესახა“, მაყურებელს იგი ვერასვლით ვერ ეცნო.

როლის შესაბამისად მსახიობის გარდასახვის გარეგნულ მხარეს უშანგი ამდიდრებდა, უპირისპირებდა წარმოსახვის ძალას. პერსონაჟის ხასიათს, ნიღბთან ერთად, ის ქმნიდა არა მართო გრძობით, არამედ, და უპირველეს ყოვლისა, მისი სულის მაყურებლის წინაშე „ძერწვის“ ხელოვნებით. ეს პროცესი იყო სწორედ ის მაგია, რაც ასერიგად იმორჩილებდა მაყურებელს. უშანგის თამაშის დროს ვერც კი შეატყობდი, როგორ ქრებოდა სცენის ჩარჩო, და როგორც ზღვის ტალღა ნაფოტს, ისე გათამაშებდა თავის ნებაზე — ზღვის ტალღასავით ლაღი და ძლიერი ნიჭი ამ აქტიორისა.

როგორც უკვე აღვნიშნე, უშანგი არასოდეს იქამდე არ მიდიოდა, რომ ის ვერ გვეცნოთ, არასოდეს ბოროტად არ იყენებდა არც გრიმს, არც ხმას, არც სხვა რამ საშუალებას. პირიქით, მისი სცენაზე შემოსვლა და ცნობა ერთი იყო, მაგრამ, ამავე დროს, ხდებოდა ის სასწაულიც, რომ მის მიერ შექმნილ ნიღბში უმაღლესი შეიცნობდით იმასაც, ვისაც ანსახიერებდა; მსახიობი აღარ გიტოვებდათ იმის საშუალებას, არათუ იმ წუთში, მერცე კი სხვაგვარად წარმოგედგინათ გოდუნე, იაგო, ყვარყვარე (და, ალბათ, პამლეტი, ჩქნჩი). აი, სწორედ ეს ორი გარემოება — გამოჩენის უმაღლესი მსახიობის ცნობა და ასევე უმაღლესი უყოყმანოდ მიღება, აღიარება იმისა, რომ უშანგის სახით ამჟამად თქვენ ნამდვილად გამოგვეცხადათ იაგო თუ ყვარყვარე, იყო მსახიობის დიდი ტალანტის, ოსტატობის, ჭეშმარიტი გარდასახვის უნარის დადასტურება. სცენაზე შემოსულს კი არა, უშანგის სცენაზე შემოსვლამდეც, კულისებშივე იცნობდა ხოლმე მაყურებელი. სცენის ახლოს, ქანდარის კუთხეებში მოკალათებული, დალანდავდა თუ არა კულისებში გამოჩენილ მსახიობს, უმაღლესი ასტეხდა, რაღაც განსაკუთრე-



ყვარყვარე — უ. ჩხეიძე.

ლადო ავალიანი

ბუღალ და უცერად, გაცხარებულ ტაშისცემს და ეს ტაშისცემა რასაც ნიშნავდა, უმაღ ზვედ-ბოდა მთელი დარბაზი — მალე უშანგი უნდა გამოჩენილიყო.

ხოლო მისი უკვე სცენაზე გამოსვლა და რამდენიმე წუთს გაგრძელებული მხურვალე ოვაცია ჩვეულებრივი ამბავი იყო. ამგვარი შეხვედრა საყურებლისა მსახიობთან უკვე ისეთ ატმოსფეროს, განწყობილებას ქმნიდა დარბაზში, რომ მდელვარებას, სიხარულს, ჯერ მხოლოდ საყვარელი მსახიობის გამოჩენით გამოწვეულს, რაღაც არაჩვეულებრივის მოლოდინს საზღვარი არა ჰქონდა. გეონებოდათ, ველარაფერი ამ გამშაგებულ ტაშისცემას ვერ შეაჩერებო, მაგრამ... საკმარისი იყო, დასაწყისში ოდნავ შემკრთალი და, ბუნებრივია, ზომაზე მეტად აღლუვებული მსახიობის ერთი უსიტკყო ქუსტი, ან ბაგის შერხევა, რომ უცერად ისეთი სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდებოდა, ახლა სწორედ ეს სიჩუმე და მოლოდინი შეგძრავდათ. უშანგის ხმის ამოღება, პირველი ფრაზის გაგონება და მაცურებლის რაღაც უცნაური ჟრუხტელით შეპყრობა ერთი იყო. შემცინეულივით ბუსუსებდაყრილი, მონუსხულივით უცქეროდი მის მოძრაობას, გესმოდა სიტყვა, რომელიც დროდადრო, მართლაც რომ ცეცხლში ნაჭედი ფოლადივით ქლერდა... და გაოცებდა, რა მკაფიოდ, რა ადვილად აღწევდა იგი, თუნდაც ჩურჩულით წარმოთქმული, თვით ქანდარის ბოლო რიგებამდეც კი.

რასაკვირველია, ასეთი მსახიობისათვის მართო გრძიმით „ჯადოქრობა“ არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა და მისი ეს შინაგანი გარდასახვის კემმარტი გზა, მაცურებლისათვის ეგზომ ხილული პროცესი, თითქოს თქვენს თვალწინ იმ ადამიანის სულში გადასახლებისა, ვისაც მსახიობი ანსახიერებდა, სასწაულმოქმედად წარმოგიდგენდათ მას. უშანგი კემმარტივად ფლობდა, თავისი განუმეორებელი ნაჯის წყალობით, მაცურებლის წინაშე პერსონაჟის სულის ფერწყვის საიდუმლოს.

პამლეტისა და ჩენჩის გარდა, უშანგი თითქმის ყველა მთავარ როლში მინახავს, რაც მას რუსთაველის, თუ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე განუსახიერებია. ეს იყო დიდი ხნის წინათ, მაგრამ ზოგი რამ აქამდე მომყვება სიზმარულ ხილვასავით. ქართული დრამის იმ, დღესასწაულებად ქცეული, მარჯანიშვილისეული და ახმეტელისეული სპექტაკლებისაგან, თუ მათში მონაწილე მსახიობებისაგან მხოლოდ ფოტოსურათები შემოგვრჩა... და აი, დღეს წინ მიდევს, რაღაც განსაკუთრებულად ამოჩემებული ეს ორი ფოტოსურათი... ერთდროულად მიცქერიან იაგო



იაგო — უ. ჩხეიძე.

# მისცქერია...



# უზანები

## ჩხიქის

### ჩანახატები

და ყვარყვარე, ერთდროულად ჩამესმის ყურში ორივეს ხმა, რომელთა სცენურ სიცოცხლეს ოდეს-დაც სული შობებრა უმანგიმ. და ასლა ისეთი განწყობილება მეუფლება, თითქოს უმანგისთან ერთად წაიბდნენ კამლეტიც, იაგოც, ჩენჩიც, ყვარყვარეც, რადგან უმანგის შემდეგ ისინი სცენაზე იმ ძალით გაცოცხლებული აღარავის უნახავს.

ამ ორმა ფოტოსურათმა იმთავითვე მიიქცია ჩემი ყურადღება... იაგო და ყვარყვარე — ცა და დედამიწასავით ერთმანეთისაგან დაშორებული ორი ხასიათი, ორი ნიღაბი და... ზუსტად ერთნაირი პოზა! ერთს ყაბალახით წაუკრავს თავი, მეორეს — ტილოს ნაჭრით. ერთსაც, მეორესაც თხლად შეუკრეჭია ულვაში. ერთს ცოტათი შეუტოვებია წვერი ნიკაპზე, მეორეს — მეტად. ორივე ზის. ორივეს თავზე შემოუდგია ხელი. ამდენი საერთო რამ მათს გარეგნობასა თუ პოზაში და უფსკრული მათს სულიერ მდგომარეობასა და გამომეტყველებაში. ერთის გამომხედვაში — მზაკვრული ზრახვით და ბნელი ფიქრით შეპყრობილის გარინდება.. ეს ის წამია, როცა ფიქრი ბორბავს და აღამიანი უსმენს არა მარტო საკუთარ გულისცემას, არამედ გულისთქმის იდუმალ ჩურჩულსაც. მეორის გამომხედვაში კი აშკარად, დაუფარავად ჩანს, ჩვენთვის ესოდენ ნაცნობი, საგონებელში ჩავარდნილი ყვარყვარე — შემთხვევით აღზუფუებული და მეფე უმერად ძირს დანარცხებული, თავის მოსაწყლებით და მოკატუნებით რომ ცდილობს, ხიფათს დაუძვრეს. ზუსტად ერთნაირი პოზა, მაგრამ უფსკრული სულის სატეხას. ორივე ფოტოზე ერთნაირად თავზე შემოდებული ხელი სულ „უმნიშვნელო“ განსხვავებით, ყვარყვარეს ხელი გაშლილია და ისე იკითხება, თითქოს ამ წუთში სწორედ ამით მიგანისწებდეთ, რას ფიქრობს მისი პატრონი — „ვაი, შენ, ჩემო თავოო“. იაგოს მუშტად შეკრული ხელი კი მისი ფიქრის, მისი ზრახვის, მისი მტკიცე გადაწყვეტილების მხილებაა.

წინ მიდევს ორი ფოტოსურათი... ერთდროულად მიტკერიან იაგო და ყვარყვარე. ერთდროულად ჩამესმის ყურში ორივეს ხმა, თუმც ესოდენ განსხვავებული, ხასიათის შესაბამისად, ინტონაციით, მაგრამ ორივე საოცრად ბუნებრივი, აღამიანური, დროდადრო ტემპრით მაინც მონათესავე და ნაცნობი... ხმა საბჭოთა ეპოქის ქართული თეატრის ერთ-ერთი უპირველესი მხახიობის — უმანგი ჩხეიძისა.

როსტომი.



მესტკიერი.



ქოსატუილა.



პოლიპარამ პაპაბაძის შესახებ დავერილ ვრცელსა და საინტერესო ნარკვევში გ. ციციშვილი გვაწვდის ცნობას, რომ „დაძაბულად მუშაობს დრამატურგი სამელო ომის წლებში. ამ პერიოდში იგი ამთავრებს პიესის „დავით მერვეს“ პირველ ვარიანტს „კახაბერის ხმლის“ სახელწოდებით (1944 წ.)“<sup>1</sup> ეს პიესა ასე თარიღდებოდა 1970 წლამდე, ვიდრე რუსთაველის სახელობის თეატრის მუშემის ხელნაწერთა ფონდის, კერძოდ კი ალ. ახმეტელის პირადი საქმის, დამუშავების დროს არ აღმოვაჩინეთ პ. კავაბაძის წერილი ალ. ახმეტელისადმი. 1932 წლის 1 ოქტომბრით დათარიღებული წერილიდან ირკვევა, რომ დაახლოებით 1928-1929 წლებში დრამატურგს რუსთაველის სახელობის თეატრში მიუტანია პიესა „მახტრიონი“. „მახტრიონის“ მსაღებია... ამ შესაბამე წელს მაინც უნდა გაუშვათ... „მახტრიონის“ მედი თქვენს ხელთაა და მასში ჩაქსოვილია ჩემი სამი წლის შემოქმედება. ან „პო“ ან „არა“ — სხვა პასუხი არ გავაწვინაო“<sup>2</sup> — წერს პ. კავაბაძე თეატრის ხელმძღვანელს.

არსებული მასალებიდან ჩანს, რომ თეატრს პიესა შეტანილი ჰქონდა 1932-1933 წლების სეზონის რე-

1 გ. ციციშვილი, „ქართული საბჭოთა დრამატურგია“, თბილისი, ხელოვნება, 1962 წ., გვ. 217.

2 რუსთაველის თეატრის მუშემის ალ. ახმეტელის საქმე, დოკ. № 121.

იმერეთის  
ბატონიშვილი.



მერსულა.



ლალი ყურულაშვილი

პერტუარში, მაგრამ, 1933 წლის ოლიმპიადისთვის შზადებას შეუფერხებია მისი განხორციელება. პიესა არ აღმოჩნდა თეატრის მუზეუმში. როდესაც თვით პ. კაკაბაძეს მიემართეთ ახსნა-განმარტებისთვის, მან გვიპასუხა: პიესა არ დაიდგა, რადგან იგი თეატრიდან წავიდეთ. მიზეზი კი ის იყო, რომ კომპოზიტორი გრ. კილაძე დაინტერესდა პიესით და მის საფუძველზე კომიკური ოპერის წერა გადაწყვიტა. რაც შეეხება იმ ვარიანტს, მე იგი აღარა მაქვს. მას შემდეგ ბევრჯერ გადავამუშავე, თუ გაინტერესებთ, წაიკითხეთ „კახაბერის ხმალი“. ეს იმ პიესის შემდეგი ვარიანტიაო. ამგვარად დადგინდა, რომ პიესა „კახაბერის ხმალი“ დაიწერა 1928-29 წლებში „ბახტრიონის“ სახელწოდებით. ოპერა „ბახტრიონი“ გრ. კილაძემ დაწერა და დაიდგა კადდევ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში 1934 წელს.

„ბახტრიონი“ პირველად 1955-57 წლების სეზონში დაიდგა ქ. ქუთაისში (რეჟ. თ. მაღალაშვილი), მანამდე კი მისი დადგმის შესახებ არ მოგვეპოვებოდა მასალები. ასახან, როდესაც საქართველოს სახელმწიფო თეატრალურმა მუზეუმმა მიიღო უმანგი ჩხეიძის არქივი, მასში, სხვა მასალებს შორის, აღმოჩნდა პ. კაკაბაძის პიესა „ბახტრიონი“, რომელიც

თვით ავტორს დაკარგულად მიაჩნდა; აქვე აღმოჩნდა უშ. ჩხეიძის ჩანაწერები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ დიდ მსახიობს „ბახტრიონის“ დადგმა სდომებია მარჯანიშვილის სახელობის თეატრში და ძალიან ბევრიც უმუშავენია პიესასზე. ეს ჩანაწერები თამამად შეიძლება მივიჩნიოთ სავესებით დასრულებულ სარეჟისორო გეგმად.

ჩანაწერებში ჩანს უშ. ჩხეიძის ჩინებული რეჟისორული ხედეა, მასალის ღრმა ცოდნა; ისიც თუ რაოდენ უსტი გადაწყვეტა მოუძებნა მან პ. კაკაბაძის ძალზე თავისებურ დრამატურგიას. აქვე არის როლების განაწილების რამდენიმე ვარიანტი, რაც მოწმობს იმას, რომ უშ. ჩხეიძე ბევრს ფიქრობდა მიმავალ წარმოდგენაზე და შემსრულებელთა საუკეთესო ვარიანტს არჩევდა. ჩანაწერებში მოცემულია აგრეთვე სპექტაკლის მხატვრული და მუსიკალური გაფორმების მისალოებებითი მონახაზი, რაც გვაფიქრებინებს, რომ უშ. ჩხეიძე პარალელურად მუშაობდა კომპოზიტორთან და მხატვართან.

მაგრამ აღმოჩენილ მასალებში ყველაზე უფრო საინტერესოა უშ. ჩხეიძის მიერ ფანტრით ჩახატულ მოქმედ პირთა ტიპაჟები, რომელთა გაყნობა უუნალოს მკითხველისთვის, ფიქრობთ, საინტერესო იქნება.

მეფე



ვურიელი.



ქართლის  
ბატონიშვილი.



მწიბნ მანს ახალი, თრუ უფრო მტად  
მოვეწონს ის მუცია, რომელი ჩვენივე უსწ  
საქონია. ეს მტად საინტერესო ახალი და აქლ  
ხალი ხელისუფლების მხე დარწმუნებ კრედიტებს.  
მა, კუპონებით: საკანონმდებო დარწმუნება თუ  
მუშავებში და სხვად უსრულები და ვიკონდი  
ხით სწორედ იმ ტრიობის, რომლებიც ადრევე ვა-  
ნისის და შეკანონალი თრდა წიქნების დამტ-  
დელი ჩვენობილებით. სწორედ თანი ვაწინა-  
ხე მტდ სასწინების, შორისდავე ვახია, რი-

ორე უფრო ძალიან შეხვედრი შეხვედრი მე-  
კონია. მათი ფრეხი და სხუთი ახლი შთაქ-  
დლების ახდენი, თითქმის მოლოდინად სი-  
ნობი მელიდა ვიკეციონს.

მე უსწ ვიცი, რომ კიკი ინსტრუქცია მოქმედ-  
დასე სასწინებო დარწმუნების კვლის მოხატვის მე-  
ვლი. თითქმის შთაქმინებულ ჩამდენებზე შეხი-  
თავა: „ახილი და ნახე, არ გაინტერესებ, რის  
ქნატი“ რა თქმა უნდა, ერთი სული ზქონდი.  
სწორედ იგი მუცია, რის მტადვე, მათ უნდა.  
რომ სწინაბინა უსწ მოკონური დარწმუნებით  
მითი დიხეხული მამობი, რომლებიც დამდენებ-

ლნი და ტარისგული სასწინები ერთი უს-  
არსბანი დედილი აქსე მოდინად დიკუბული  
საქმინებდა მტადიბე აქლას არე არე იბე  
ნდია, მაქამ წესი დიდი ქობისმდილის მო-  
ხედავი ვრე ვახხელ, ხანამ კიკი ინსტრუქცია ვე-  
დლის მოხატვა არ დამსარკ. ზრეკე შარტი ავე-  
და სასწინებო დარწმუნება დიკუბული დამხედი და  
აქმინსტრუქციის ყიბივე. — კიკი ვახხელ და  
სახედა მამდებ-მუცია. აქმინსტრუქცია მამდებ  
ვაქმინია ვარდებ, თან ვახხელების აქმინს მა-  
საქმინება. იგი ინსტრუქცია იხეხილი და მო-  
მენტი, რომ დიხეხული ქრეციკური უსრუტეობის  
ვაქმინია ვიკეციონი. მან თითქმის რიკი იგი-  
რე მტდ მტე და მოლოდინ დამდენებული არ

გი, ამ რიკის მტე მამდენებოლი და ვიკეციონი  
თუ არა.  
საქმინებდა  
საქმინებდა

შორელი შთაქმინებულა: თითქმის ვახხელის  
ქრედიტის ხედის ვამდენებულის კიკი ვახხელი. ვა-  
მოქმინებულნი მუცული მოლოდინად წიქნელი  
ვაქმინ და დამდენული უსწ ვრე ვახხელი. რა სი-  
დდობის მუცული თუ შატრინი ვახხელი ზრეკე  
მამდენი უსწ ვახხელის და თანდათან ვიკეციონ  
საქმინების, სასწინების, სასწინების ვახხელის იქმინ.

„ფორმის მინტრეხა“ — აქ ქრედიტის ამ  
ვაქმინებულ ტილის, რომლებიც სასწინებო დარ-  
წმუნების მოლოდინად მოქმედებს. არაერთი დიდი  
მის სასწინებო მან — შარტი, მან შეხიბვნი აქ-  
ყავდა, ზოგჯერ კი — მოკლე თუ სხვად  
ვაქმინებულ ზრეკეხე. ვიდიცია მამდენი ვახხელი  
კომპონენტურად უსწინია.

კომპონენტურად მოხატვის მოქმედების მოკლე-  
ნების მტად ვიკეციონების ერთი რომ ვიკეციონ, თითქმის  
ინსტრუქციული ძალის მოქმედებებს. ვახხელის  
შეხიბვნი, რიკის კიკი მოკლეხელე მოლოდინად  
დგას ფორმისში. დიდი შარტი, თითქმის სასწ-  
ინსტრუქცია აქმინებულ და აქლასური, რიკ  
სწინაბინა აქმინებულ, მისცენ დამდენი, აქლი  
მოლოდინა შეხიბვნი.

ეს ქრედიტად ვახხელის ზეინი — აქლას-  
ზე აქლასებულ თითქმის ცხატეხი, თითქმის მ-  
რისითი ვახხელე ფორმისების მოლოდინად და ამ  
სახატების მოხატვებულ ვახხელი თითქმის ძალი  
თხელი მოლოდინ თითქმის სასწინებო მოქმედ-  
ების დიდი მოხატვისცენ.

ველი კიკი ფორმისებისცენ მიდის.


ფრეხის ახლი ღრმა და სასწინი, მოდინებ  
შეხიბვნი ფორმისში აქლას თითქმის სურათის სა-  
ტრის. უსწინების ანტიპის ვიკეციონს, რომლებიც  
ფართოდარწმუნება ვიკეციონი ქრედიტის აქლასის და  
ხელის მამდენ ვამდენული ვიკეციონი მუცული ვიკე-  
ციონს. დიდი ხელისუფლების ქმინს შეხიბვნი, იგი მო-  
ხედავითი ვახხელი სასწინებო ქმინების წინ  
ფრეხიშარტივეხული, თითქმის ვახხელის ვახხელი  
შეხიბვნი ვიკეციონს თითქმის ვახხელის ვიკეციონს, რი-  
თი სასწინებო ხელისუფლების ვახხელი ქმინების.  
ფორმისებისსიყვის აქლი ამ ვიკეციონს ვახხელი აქლას-  
რი აქლასების. არე მამდენ დამდენი ვახხელი, ფრ-  
ტრუტეკური მიდებნი, ვახხელი ვახხელი სიყვი, რი-  
მისითი თითქმის დამდენული ვახხელის მოლოდინ და ხე-  
ლილი სასწინ თითქმის მოქმედებს, არე მამდენებდა და

# ფირსმანი

# მონატრება

ახალი სულაქური

გ. ვახხელი



ფორმისების მანი ფორმისების მინტრეხა.





მარცხნიდან მომჭროლავი ეკლესია, ერთში — ქალაქელი დარღმინდები, ხოლო მეორეში ბედნიერი ნეფე და დედოფალი რომ სხედან; არც მხატვრის გარშემო მდგარი ჯან-ღონით სავეს მამაკაცები, რომლებსაც ხელში მოკრძალებულად უჭირავთ

ანთებული სანთლები; არც საკვამურზე შემოქმადარი ლამაზი ბიჭუნა, მშვენიერი, დიდი მამალი რომ ჩაუხუტებია გულში; არც ორივე მხრიდან მომდინარე მტკვარი, არც მჯარღნენი, არც მზე და მთვარე... ასეა, არაფერი არ არსებობს ახლა ფიროსმანისთვის, რადგან მხატვარი ჰქმნის და ამავე დროს ეს ყველაფერი მხატვრისთვისაა გაჩენილი, რამეთუ იგი შემოქმედია. ანთებული სანთლებით მდგარი ვაჟაკების გამომეტყველებასა და მოძრაობაში გამოსჭვივოს უდიდესი კრძალვა და პატივისცემა ფიროსმანისადმი. თითქოს მათ ღონიერი ხელებით მძიმე და უხეში საგნები უნდა ეპყრათ, მაგრამ ახლა ფიროსმანის ხათრით სანთლები უკავიათ, როგორც კერპის ან ხატის წინ ფანატიკურად მორწმუნე მლოცველებს.

ფრაგმენტი პანოლანა.



კოკა იგნატოვმა მითხრა: „ამ სურათზე მზისა და მთვარის მოწინაურება ვცადე“. მე მხოლოდ ამის შემდეგ მივაქციე განსაკუთრებული ყურადღება მზესა და მთვარეს. მარცხენა აივანი, რომელზეც მეზურნე და მეძლოლე დგანან, თაღით მთვარის რტაზეა დაკიდული, ხოლო მარჯვენა მხარეს მზე საცაა გამოსრიალდება ხის რიკულებიანი აივნიდან. ამ აივანზე დგას ხელგაწვდილი ბიჭი, რომლის გაშლილ ნებზე ბაღდადიანი კინორ ცეკვავს. ციური მნათობები აქ მართლაც მომწინაურებულვებსა ჰკვანან, მაგრამ ეს ჩემთვის მაინცდამაინც მთავარი არ აღმოჩნდა.

ფრესკის მარცხენა მხარეს ვერცხლისფერი მთვარე კი არ ჰქმნის ღამის შთაბეჭდილებას, არამედ იის კონებით სავეს კალთა, თბილისელ მოქალაქეთა იასამნისფერი, მოლურჯო და მომწვანო ტანსაცმელი და ის მკრთალი ლურჯი ფერები, შორს ძველი ციხის გალავანსა და მიუბს რომ ეღვრება. მარჯვნივ მზის მხარეა, ქალს მზით გაქღნითილი ხლით სავეს ხონჩა მოაქვს. მზის მხარეს თონცა გაჩაღებული, იქვე დგას ხაბაზი, რომელსაც ხელებში მზისებრი ქართული პურები უჭირავს. ახლოს გუმბათიანობილი თბილისური გოგირდის აბანოა, სიღრმეში კი ისევე ნათელი მიუბი მოჩანს, ოღონდ აქ სხვა სინათლეა დაღვრილი — ოქრისფერი. ორივე მხარე ნათელია, მკაფიოდ გამოკვეთილი და მხოლოდ ფერთა შეუმჩნეველი თამაში აბადებს დღისა და ღამის საოცარ განწყობილებას და არა შთაბეჭდილებას, როგორც ადრე მოგახსენეთ.


პროპორციისა და პერსპექტივის ყველა კანონი დარღვეულია. ზოგჯერ წინა პლანზე საგანი უფრო პატარაა, ვიდრე სიღრმეში. ერთ სიბრტყეზე ადა-

მიაწები და სასლები სხვადასხვა ზომისანი არიან. უფრო მეტიც, ზოგჯერ ადამიანის ფიგურას სამასართულიანი შენობა მკერდამდე აღეცა სწვდებოდა. მხატვარს ამ პირობითობას მასწავლებელი ვეუბრებოდა და არაფერი გვეჩივრებოდა. აი მეტივე, რომელსაც ორთაყვანი ჩაუბღუჯავს, გი ტივზე მსხდარ მოქვიფეებს ორჯერ აღმატებოდა... მხატვრის მიზანი გასაგებია, რაც აინტერესებს, რაც მნიშვნელოვნად მიაჩნია, იმას გადიდებულად წარმოგიდგინებს, თითქოს თან დაგვიტყუებოდა და მისთვის მნიშვნელოვან ფრაგმენტებსა თუ დეტალებს გამადიდებელი შუბით გიჩვენებოდა. ასეთი პირობითობის მიღწევა, ჩემი აზრით, მხატვრისგან დიდ ოსტატობას მოითხოვს, ამასთანავე ზომიერების მკაცრ გრძობას, მით უმეტეს მაშინ, როცა ტილოზე თითოეული ქვა თუ კამიტი, აივნის რიკული თუ იის კონა, ყოველი თითქოსდა უმნიშვნელო დეტალი უაღრესად რეალისტური მანერით არის შესრულებული და დამუშავებული.

არა მგონია, ძველი თბილისელები ოდესღაც ისე უსხდნენ გაშლილ სუფრას, როგორც ეს ფიროსმანის ტილოებმა შემოგვიანახა. მაგიდის ერთ მხარეზე არც ძველად სხდებოდნენ და არც ახლა სხდებიან. ეს ფიროსმანის მიერ შექმნილი კომპოზიციაა, რომელიც შემდეგ ჩვეთვის დაკანონდა, როგორც ძველი თბილისის ყოფითი ცხოვრების ერთერთი წესი. მანვე შეგვიქმნა და დაგვიანახა ძველთბილისური ნატურმორტები, ლუღსანები, ჩაისანები, დუქნები. ასევე დაგვიანახა ძველი თბილისის მკვიდრთა ტიპაჟი.

არაერთხელ ვყოფილვარ მოწმე, თუ როგორ იღებდნენ კინოფილმებს, რომლებიც ძველი თბილისის ცხოვრებას ეხებოდა. რეჟისორები და მხატვრები სპეციალურად დადიოდნენ შეუხუშნი ფიროსმანის მუდმივი ექსპოზიციის გასაცნობად და შესასწავლად, სამუშაო ოთახის კედლები ფიროსმანის სურათების რეპროდუქციებით ბქონდათ მოფენილი. კინოკადრებისთვის იყენებდნენ მის კომპოზიციებს, სუფრის გასაწყობად მის ნატურმორტებს და, რაც მთავარია, ტიპაჟს ფიროსმანის მიხედვით არჩევდნენ.

ფიროსმანმა შექმნა ტიპური სახეების მთელი გალერეა თავისი დროის ადამიანებისა, არ გამოჩენია თითქმის არცერთი ასაკი, არ დაიწყებია მაშინდელი საზოგადოების თითქმის არცერთი ფენა. ფიროსმანის დროინდელი თბილისი და თბილისის მკვიდრნი ჩვენთვის აღარ არსებობენ, დარჩა მხოლოდ ის, რაც ფიროსმანის უკვდავმა ფუნჯმა შექმნა. ამიტომ ძნელია გავიქვე ამ ჯადოქარს, მის ფერს, კომპოზიციას, ხაზს, რხევას თუ მოძ-



ფრაგმენტი პანოდან.

რობას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ხელოვნების ნიმუში მასზევე იქმნება. კოკა იენატოვს ამ მხრივ ყველა ცდუნება დაძლეული აქვს.

იგი ფიროსმანისგან განსხვავებული ძველი თბილისის დამკვიდრებას ცდილობს ფერწერაში. განსხვავებულს კოლორითაც, ხაზითაც, მოძრაობითაც... მისი ფრესკა საზეიმო განწყობილებას ბადებს, ფიროსმანის სურათები სევდას გგვრის, ნაღვლიანია.



„აი ეს არის, რაც ძველი თბილისისა მიყვარს“ — მითხრა კოკა იგნატოვმა. „ბიჭვინთის ფრესკა რაღა?“ — ვკითხე. „ისაა, რაც მიყვარს ჩემი სამშობლოსი“. — მიპასუხა.

კოკა იგნატოვმა კიდევ ესა თქვა: „რული მწყდება, ფრესკაზე სასაფლაო რომ გამომჩრაო“. ფრესკაზე, მართლაც, ძველი თბილისისთვის დამახასიათებელ ატრიბუტთაგან ყველაფერია აღბეჭდილი, სასაფლაოს გარდა. ამ ტილოზე სასაფლაოც რომ ყოფილიყო სადმე ჩასმული, ძველი თბილისი უფრო სრულყოფილად წარმოგვიდგებოდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სასაფლაო შემთხვევით არ გამოჩენილია მხატვარს. ქვეყნობიერად გრძნობდა, რომ ზეიშისა და დღესასწაულის ჟამს, რაც გამოწვეული და მიძღვნილია დიდი მხატვრის შემოქმედების პროცესისადმი, ამქვეყნიური წარმავლობის დაღი ერთგვარად შეაფერხებდა ამ გრანდიოზულ მოძრაობას... თანაც მიმანია, რომ სასაფლაოს პრობლემა ამ ფრესკაზე სხვაინარად არის გადაწყვეტილი. განა ის ორი დიდი ხელი — მარჯვენა და მარცხენა — მიწის წილიდან ამოზრდილი წინაპართა ხელები არ არის? სწორედ

ფრაგმენტი პანოდან.



ფრაგმენტი პანოდან.



მთა ააშენეს ეს ქალაქი და არა მარტო ააშენეს, მრავალჯერ იხსნეს კიდევ განსაცდელისგან. მარჯვენა ხელს ღვინით საუცე ჯამი უპყრია. ჯამში მუხლებამდე ჩამდგარა ის, ვისაც ეს შვიური სასმელი დაუწურავს. მარცხენა ხელის გულზე ცეკვაა გარჩალებული — აქაც დღესასწაულია.

ფიროსმანის ცხოვრება ლეგენდადა ქცეული. თურმე ლეგენდის იქმნასა არუკუხვევი არ სჭირდება. ჯო კიდევ ცოცხლები არიან ის ადამიანები, რომლებიც იცხოვრებენ ფიროსმანს, უნახავთ, შესვლდრიათ თბილისის ქუჩებში მოხეტიალე და მაინც მრავალი ლეგენდა შექმნილა ამ საოცარ კაცზე, გენიალურ მხატვარზე. ჯერ სადა ხართ, კიდევაც შეიქმნება. განა ახალი ლეგენდა არ არის ფიროსმანზე კოკა იგნატოვის ეს ფრესკა, რომელსაც „ფიროსმანის მონატრება“ ეწოდება?..





როგორც კი თეატრზე ჩამოვარდება ლაბარაკი, პირველი, რის გამოც პაქობრა გაიმართება — დრამატურგიაა. ეს ბუნებრივია, რადგან თეატრის საფუძველთა საფუძველი დრამატურგიაა. ბევრს ვმსჯელობთ, კვამითობთ, მაგრამ მდგომარეობა არ იცვლება. დრამატურგია მაინც ჩვენი მწერლობის ჩამორჩენილ დარგად რჩება. ამ ჩამორჩენას ბევრი სერიოზული მიზეზი აქვს. ზოგი — ობიექტური, ზოგი — სუბიექტური. ჩვენ კი ამ სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამოკვლევის მაგრივ ერთმანეთს ვვლებთ

# აქტუალურიობა პრის და აქტუალურიობა!

ეს მიზეზია აქტუალური მასალისადმი უპირატესობის მიჩნევა აქტუალურ აზრობრივ შინაარსთან შედარებით.

აკაკი ბაქრაძე

ბრალს. მწერალთა კავშირისა თუ თეატრალური საზოგადოების პლენუმებზე ყოველთვის ასე ხდება: დრამატურგები ერთი თლიან, რომ თეატრები არ აფასებენ მათ პიესებს; თეატრებს კი მიაჩნიათ, რომ დრამატურგები წერენ სუსტ პიესებს და მათი დადგმა თეატრს წარმატებას არ მოუტანს. ასე იოლად არ დგას საკითხი. ასე რომ იყოს, საქმე შედარებით ადვილად მოგვარდებოდა.

აბა, დაფიქრდეთ. ერთი შეხედვით, თეატრებს სასაყვედურო არ უნდა ჰქონდეთ. თითქმის არ დარჩენილა მე-20 საუკუნის ქართული მწერალი, რომელსაც პიესა არ დაეწეროს და, შერძლებისდაგვარად, ქართულ თეატრს არ მიშველებოდეს. მათ ნაშრომს კაცმა თავი რომ მოუყაროს, კარგა დიდი ძალი პიესები დაგივიროვებოდა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ უამრავი პიესიდან დღეს თეატრში დასადგმელად თითო-ორილა თუ ივარდება. უმრავლესობა მეტისმეტად სუსტია და დღევანდელ მაყურებელს ვერაფრით დაინტერესებს.

რატომ მოხდა ეს? მწერლებმა, რომელთაც პროზასა და პოეზიაში მწვენიერი შემოქმედებები შეეციქმემს, ვერაფერი მოუხერხეს დრამატურგიას.

ესადა, გარკვეული როლი ქართული დრამატული მწერლობის ტრადიციულმა სისუსტემაც შეასრულა. ქართული მწერლობა 1500 წელიწადს ითვისს, მაგრამ ამ ხნის მანძილზე საყურადღებო დრამატურგი არ გვეყოლია. მხოლოდ მე-19 საუკუნეში გამოჩნდა რამდენიმე კაცი, რომელთაც დრამატურგის სამსახური გაიხადეს მისნად. მათ შორის ყველაზე ნიჭიერი, გიორგი ერისთავი და ავქსენტო ცაგარელი, ოდნავადაც ვერ შეედრებიან ჩვენი ლიტერატურის ისეთ გიგანტებს, როგორც იყვნენ ილია, აკაკი, ვაჟა და სხვანი. უფრო მეტიც, აკაკიც წერდა პიესებს და ვაჟამაც დაწერა „მოკვეთილი“, მაგრამ ამ მწერლების დრამატურგიაც ბევრად ჩამორჩება მათსავე პოეზიასა და პროზას. განა ალ. ყაზბეგის დრამატურგია რითიმე შეედრება მისსავე პროზას, რომ აღიერიტო მწერალი, ვინაც თანაბარი შემოქმედებითი ძალა გამოავლინა პროზასა და დრამატურგიაში, დ. კლდიაშვილია, მაგრამ მისი დრამატურგიული შემოქმედებობა, რაოდენობის თვალსაზრისით, პატარაა და ქართული თეატრის მოთხოვნებიან მარტო ვერ გაწვდება. მაშასადამე, მტკიცე და მყარი ტრადიციის უქონლობამ უთოვდ მოახდინა გარკვეული ზეგავლენა.

მაგრამ, ჩემი აზრით, არსებობდა და დღესაც არსებობს ერთი სერიოზული მიზეზი, რომელიც ბოჭავდა და ახლაც ბოჭავს ქართული საბჭოური დრამატურგიის განვითარებას.

ეს მიზეზია აქტუალური მასალისადმი უპირატესობის მიჩნევა აქტუალურ აზრობრივ შინაარსთან შედარებით. ვიდრე ამ საკითხზე დაწერილებით ვილაპარაკებდეთ, მინდა გავასახელო ლენინის სიტყვები, რომელიც ითქვა მოსკოვში, 1922 წლის 6 მარტს მელითონეთა ყრილობაზე: „იყო რუსული ცხოვრების ასეთი ტიპი — ობლომოვი. იგი სულ ტახტზე იყო წამოწოლილი და გვემუხს ადგენდა. მას შემდეგ ბევრმა დრომ განვლო. რუსეთმა სამი რევოლუცია მოახდინა, ობლომოვები კი მაინც დარჩნენ, რადგან ობლომოვი იყო არა მარტო მემამულე, არამედ გლეხიც, არა მარტო გლეხიც, არამედ ინტელიგენტიც, არა მარტო ინტელიგენტიც, არამედ მუშაც და კომუნისტიც. საკმარისია შემოგვეხედოს კაცმა, რას ვაკეთებთ სხდომებზე, როგორ ვმუშაობთ კომისიებში, რომ თქვას: ძველი ობლომოვი დარჩენილა, და საჭიროა იგი დიდხანს ვებანათ, ვასუსთათო, ეჩუქოთ და ვანჯდროთ, რომ მისგან რაიმე სასერიო გამოვიდესო“ (თხზულებანი, მე-4 გამოცემის 33-ე ტ., გვ. 257).

მრავალმხრივ საგულისხმო აზრია. მაგრამ ამჯერად ამ სიტყვებიდან გამომიდინარე ერთ დასკვნას უნდა მივაქციოთ ყურადღება. ეს დასკვნა გახლავთ შემდეგი: მხატვრული ნაწარმოებებისთვის არსებული მნიშვნელოვანი დასაქვების აზრობრივი შინაარსის და არა მასალის აქტუალობას. მასალის მიხედვით, ივანე გონჩაროვის „ობლომოვი“ რუსი მემამულეების ყოფას ასახავს. ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში კი ეს მე-



მამულეები უკვე აღარ არსებობდნენ. ხალხი სხვა სოციალურ სინამდვილეში ცხოვრობდა. ამდენად, მემამულეების ყოფა მხოლოდ ისტორიკოსთა ინტერესის საგანი თუ იქნებოდა. მაგრამ რუსი მემამულეების ცხოვრების ანალიზის შედეგად, გონივრულადაა უნივერსალური მოვლენა აღმოჩინდა და ფუჭი მეთოდების უნივერსალური ტიპი დასაბუთდა. ეს ტიპი კი თავისი აზრობითი შინაარსით ახალ ეპოქაშიაც აქტუალური აღმოჩნდა. ამიტომ ამბობს ლენინი, კომუნისტურ შეიძლება იყოს ობლომოვით.

მასალად, ორ ფაქტთან ვაკეხს საქმე — აქტუალური მასალა და აქტუალური აზრობრივი შინაარსი. თუ ამ კუთხით გადავავლებთ თვალს ქართული პიესების დიდ უმრავლესობას, დაწერილ როგორც წარსულში, ისე დღეს, აღმოჩნდება, რომ უპირატესობა ენიჭება აქტუალურ მასალას და არა აქტუალურ აზრობრივ შინაარსს. ეს შედეგად და ამ შედეგის წყალობით არსებითად დრამატურული მექანიკის გარეშე დაფარვით. იმის ნათესაყოფად, თუ რა ზიანი შეუძლია მოსუტანის ამ შედღამს დრამატურებას, მიუხედავად ილია მოსაშვილის პიესას „მისი ვარსკლავი“. მე სავანებოდ ვჩერდები ამ პიესაზე. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ილია მოსაშვილი შესანიშნავი მწერალი იყო და, მეორეც, იმიტომ, რომ დრამატურულ ტექნიკასაც კარგად ფლობდა. მიუხედავად ამ თვისებებისა, „მისი ვარსკლავი“ მინც ვერ გამოადგება დღევანდელ თეატრს და აი რატომ.

1948 წლის ივლის-აგვისტოში წინეში მიმდინარებოდა კამპანია ველმანიზმ-მორგანიზმის წინააღმდეგ. მაშინ ეს პაექრობა აქტუალურ მოვლენად ითვლებოდა. ორიიდან წლის შემდეგ ამ ამბებს ილია მოსაშვილი პიესით გამოეხიზნა.

„მისი ვარსკლავის“ მთავარ პერსონაჟს, ზოტაქენიკოს გიორგი ვიკარს გამოჰყავს ახალი ჯიშის ცხვარი, რომელსაც „მირინოსისებური პატყლი აქვს და საერთო წონითაც, ნაპარასის წონითაც თუ შერე ცხვარს მნიშვნელოვნად აღემატება“. ამ საქმის წინააღმდეგაა ველმანიზმ-მორგანიზმის მიმდევარი პროფესორი სოლომონ ზანდუკელი. იგი გადაჭრით ამტკიცებს, რომ „არც ერთი ხელოვნური შერჩევით გამოყვანილი ჯიში თავისი ახლადშექმნილი ბიოლოგიურ თვისებებს მემკვიდრეობით არ გადასცემს, უკეთ რომ თქვათ, — ვერ გადასცემს“.

ძირითადი კონფლიქტის საფუძველი ეს დავაა. თუმცა პიესაში იგი შოგადაშვებ შეხვედრულია საქმისათვის ხრიკებითა და ინტრიგებით, ფილისტერული შეხედულებებით და ა. შ., მაგრამ პიესის მოქმედ პირთა ბედ-იღბალი მანც დამოკიდებულია იმაზე — გადასცემს თუ არა ახალი ჯიშის ცხვარი თავის თვისებებს მემკვიდრეობით. იმარჯვებს ვიკარს. მართალია, გიორგის გამოყვანილი „თეთრი ვარსკლავი“ წყალიდობის დროს დაიღუპება, მაგრამ „თეთრი ვარსკლავი“ მიერ განაყოფიერებულმა წერებმა სხვები გააჩინეს. დღლის დროს ასოცია „თეთრი ვარსკლავი“ ერთად დაიბადება. სოლომონ ზანდუკელი ვატიტუნდება. მასთან ერთად მარცხდებოდა ველმანიზმ-მორგანიზმიც.

გამოსდა ხანი. ძველი პაექრობის შედეგები მცენიერება-

მა გადაფასეს. ერთ დროს აქტუალური საკითხი, ექსპერიმენტული ლისტებისთვის ახლა ლინილის მიმგვრელია. მასალის აქტუალურობის გაქრობასთან ერთად გაქრა „მისი ვარსკლავის“ მნიშვნელობაც. ეს კი შედეგია იმისა, რომ ასპრობრივი შინაარსის აქტუალურობა შეცვლილია მასალის აქტუალურობით.

ასე დავებთან, ჩვენდა სამწუხაროდ, ქართველ დრამატურებას მიერ შექმნილი პიესების უმრავლესობას.

რამ გამოიწვია ეს? რატომ მიექცა ყურადღება აქტუალური მასალის და მიიჩქნა აქტუალური აზრი? იმიტომ, რომ ლიტერატურული კრიტიკა წლების მანძილზე თავაზობდებოდა ქადაგება აქტუალური მასალის უპირატესობას. ეს პროცესი ინერციით დღესაც გრძელდება. დღესაც ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოების ღირსებას მასალის აქტუალურობით ვზომავთ და არა აზრობრივი შინაარსის აქტუალურობით. ნიმუშად მოვიტან სულ ახლახან მომხდარ ამბავს. მოსკოვში სახალხო მუერნების მიღწევითა გამოყვინის მთავარ კომიტეტმა შედეგებითა და ფულადი პრემიებით დაჯილდოვა რუსეთის სახელობის სახელმწიფო თეატრის რეჟისორი, მსატყარი და რამდენიმე მსახიობი (დადგენილება № 195-Н, 1973 წლის 16 ივლისი). არ იკითხავთ რისთვის? „სპექტაკლ“ „მისი ვილგის“ შექმნისთვის, რომელიც დადგენილია მაღალ იდეურ-მხატვრულ დონეზე“. ეს ის „მისი ვილგია“, რომელიც სულ ნაწერ აჩვენებს და მერე მოისხას, რადგან მაყურებელს არ დაესწრო. მართალია იყო მაყურებელი. ვერავითარმა აქტიორულმა და რეჟისორულმა მონდომებამ სუსტი პიესა საინტერესო სპექტაკლად ვერ აქცია. მაშ რატომღა დაჯილდოვდა ეს უსუსური წარმოდგენა? მხოლოდ იმიტომ, რომ აქტუალურ თემაზე დაწერილი პიესა იყო დადგმული. ამის გამო წარმოდგენა კარგ სპექტაკლად მიიჩნეს. ის კი დაავიწყდა, რომ ხელოვნებაში აქტუალურია მხოლოდ ის, რაც დადგინის გონებას ამიდრებებს, სულს ამაღლებს, გემოვნებას ხეწვს და აკეთილმოიხილებს.

რატომ მოიკიდა ასე მტკიცედ ფეხი აქტუალური მასალის უპირატესობის პრინციპმა? ამასაც თავისი მიზეზები აქვს.

პირველი ის გაცხადო, რომ აქტუალური მასალაში ტენდენცია ზედაპირზე დგეს. ყველას შეუძლია მისი დანახვა და მწერალს დიდად არ უხდება თავის შეწყება აზრის, ტენდენციის საძებნელად. მაგალითად, დღეს აქტუალური საკითხის გამოღანგელების, სახელმწიფო ჭინების დამტყვევებელია წინააღმდეგ ბრძოლა. აქ ტენდენციაც იმთავითვე მკაფიოდ განსაზღვრულია: უნდა დაიგმოს გამოღანგელობა, მტყაქმლობა. ილია წარმატების მოყვარული დრამატურგი თვალის დასამხამებაში წერს პიესას. მაღალიის მავანი და მავანი დირექტორი მფლანგველია, ატყენს ხალხს. მაგრამ მაღალიის კოლექტივი არის პატრიოსანი მავანი და მავანი ნოქარი. იგი ამხელს დირექტორს. გაბრუნებული დირექტორი მოხსნის ნოქარს, მაგრამ პრინციპული პატრიოსანი ნოქარი არ ყვეტს ბრძოლას. სხვადასხვა ინსტანციამი ამხელს დირექტორის დანაშაულს. ბოლოს ყველაფერი გამქვავდება: ნოქარი თავის სიმატის





ლს დაამტკიცებს. იგი აღდგენილია სამუშაოზე. დამწავვე ღირებურობის მოხსნილია და პასუხისმგებამი მიცემული. აქ ყველაფერი გარკვეულია: დადებითი და უარყოფითი, ტენდენციის, ნაწარმოების აზრი. ისეთი სქემით დაწერილი პიესა შეიძლება დაიდგას კიდევ. კრიტიკამაც შეიძლება აქოს: აქაოდა, აქტუალურ საკითხს ეხება და ამ ეტაპზე საკუროაო.

მაგრამ რთულია და უძნელესია იმის ახსნა, თუ რამ გამოიწვია ტოტალურად გაგრძელებული მფლანგველობა, გახსნა მფლანგველობის ფსიქოლოგია, ანგონი, როგორ ხრწნის, ანგრევს ადამიანის სულს მფლანგველობა, რომელმაც მისცე უნივერსალური შინაარსი. უნივერსალური შინაარსის მიცემა კი ნიშნავს ისეთი ტიპის დასატყვის, როგორც არის, მავალითად, ბალზაკის გოგონები. საკმარისია ახსნო გობსევი, რომ სიძუნწე დაგიდგეს თვალწინ.

აბა, სცადეთ და დახატეთ მფლანგველის გობსევისებურად კლასიკური ტიპი! აქ უკვე საკმარისი აღარ არის აქტუალური მასალა, ზედაპირზე მდებარე ტენდენცია. აქ საჭიროა ადამიანის სულის უფსკრულებში ჩახედვა, შესწავლა და მერე მისი მხატვრულ ფაქტად ქცევა, ტენდენციის ნაწარმოების სიღრმეში ჩაფლვა. აკი ვგასწავლის ენგელსი — „რაც უფრო დაფარულია აგტორის შესხედლებანი, მით უკეთესია ხელოვნების ნაწარმოებისათვის“ (მარქსი და ენგელსი ლიტერატურის შესახებ, 1958 წ. გვ. 78, რუსული გამოცემა). სხვათა შორის, აქტუალური მასალის პრინციპი ან დებულებასაც ტენინაღმდეგება. უკვე ითქვა ზემოთ: აქტუალურ მასალაში ტენდენცია ზედაპირზე დევსო.

მასალაზე რა გამოდის: აქტუალური მასალის უპირატესობის ქადაგება უნიჭო მწერლების მომრავლებას უწყობს ხელს. მერე, თავის მხრივ, უნიჭო მწერლები მასალის აქტუალურობის პრინციპს უჭერენ მხარს. ამით თავის არსებობასაც ამართლებენ და თავისივე მსგავსთა მომრავლებასაც შეუღლიან. ნიჭიერ მწერალს აქტუალური აზრის აღმოჩენა ყოველგვარ მასალაში შეუძლია — ძველშიაც და ახალშიც, უბრალოშიც და ბრალისანიც. ედმონ გონკურს დღიურში ჩაუწერია — „ლოგინი, რომელსაც ადამიანი იხადება, მრავალდება და კვდება. ოდესმე დაეწერო ამაზე“. ლოგინი — რა უნდა იყოს ამაზე უფრო ძველი და უბრალო მასალა! მაგრამ დაკავშირდა იგი ადამიანთან და ხედავთ, რამოდენა პრობლემა დისვა — დაბადება, გამარჯვლება, სიკვდილი. ეს არის მწერლის აზროვნების მასშტაბი. ამირეჯ, ყველაფერი საჭიროა — აქტუალური მასალაც, ძველი მასალაც, მაგრამ უმთავრესი და უპირველესი აქტუალური აზრობრივი შინაარსი. უამისოდ ხელოვნების ნაწარმოები მკვდრად შობილია.

მეორე მიზეზი, რაც აქტუალური მასალის პრინციპის არსებობას უწყობს ხელს, არის ხელოვნებაში უნდობლობა. ეს, ერთი შეხედვით, მეტად უცნაურადაც შეიძლება მოჩვენოს კაცს: რა უნდობლობაზეა ლაპარაკი, ეს რა საკითხი გამოუგონიათო?! მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი მოგონილი არ არის, საბუთად მაინც მოგება ერთ ფიქსირებულ ფაქტს. პირს გიორგი ციციშვილმა „მნათობის“

მე-7 ნომერში გამოაქვეყნა მოგონება „მსახიობი უგრონი“. აქ იგი ვიქტორ გაბესვირის პიესის „უფსკრულთა“ დაკავშირებით წერს: „...ამ პიესამ ერთგვარი შესლა-შემოსლა გამოიწვია, რადგან პიესის პირვანდელი ვარიანტი ანთიმოზის შეიღობილი, დედის მიერ მიტოვებული პატარა ბიჭუნა, მძიმედ ავადდებოდა და კვდებოდა. ზოგიერთი ადამიანებმა იყო, როგორ შეიძლება საბჭოთა სინამდვილეში ბავშვი ასე უმოწავლოდ მოკვდეს? საქმე ცენტრალურ კომიტეტამდე მივიდა. ცენტრალურმა კომიტეტმა საკითხი გასარჩევად სამკაცის კომისიას მიანდო“ (გვ. 184). მერე გიორგი ციციშვილს აღარ უწერია, როგორ გადაწყვიტა კომისიამ საკითხი, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ პიესის დაბეჭდილი ვარიანტი ბავშვი აღარ კვდება.

თურმე არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც ჰგონიათ, რომ ბავშვი თუ ავად გახდა და მოკვდა, ეს საბჭოთა სინამდვილის კრიტიკაა, ცხოვრების მრუდუდ სარკვეში ასახვაა. რამდენად თვითდაკრებული უნდა იყოს ზოგიერთი ადამიანი, რომ ფიქრობდეს, ერთადერთი სწორი სარკე მე მიჭირავს, დანარჩენები სულ მრუდუდ სარკვეში არიან შეიარაღებულნი.

ასეთ სიტუაციაში მწერალს აქტუალური მასალის პრინციპი თავდასაცავი ფერიათა აქვს მომარჯველები. აქტუალური მასალა გარანტიას აძლევს მწერალს, არ დაბრალდეს ცხოვრების მრუდუდ სარკვეში ასახვა.

ასლა ორიოდ სიტყვა მინდა თქვა იმაზე, რითია საშიში უნდობლობა. იგი მაღებს ყველაზე საშიშარ მოკვლენას ხელოვნებაში, რომელსაც შეიძლება ეწოდოს გარანტირებული საშუალოს პრინციპი. რას გულისხმობს ეს ცნება? საშუალო ღირსების ნაწარმოების გაკეთებას. ყველაფერი საშუალო იქნება — პიესაც, დადგამაც, აქტიორთა თამაშაც. მართალია, არ იქნება ხელოვნების აშკარა და მკაფიო გამარჯვება, მაგრამ არ იქნება არც აშკარა მარცხი. ხელოვანი გარანტირებულა — მარცხისთვის არავინ დაეკრიტიკებს, მართალია, არც ძალიან შეაქებენ, მაგრამ არც არავინ დაემუქრება პიესის დაუმეჭობით ან სპექტაკლის მოხსნით. გარანტირებულმა საშუალომ წარმოშვა ერთფეროვანი, უღირსადმო პიესების ზღვა, რაც მომავლენიანობა ხელოვნებისათვის. გარანტირებული საშუალო მკითხველსა თუ მაყურებელს გულგრილად ტოვებს. ეს კი საშიშრელებაა ხელოვნებისთვის. ოთარაბთ ქარივი ამბობს: „სიხვევა სამურველი ხომ არ არის, — მოსაგდებელი ჩანგალია, რომ გული ან აქეთ მისწიოს, ან იქით, თორემ ომი მოვიდეს, როგორც კიდობანში დაეწყებულ პურს. გული დიდილიდამ უნდა მისძრას-მისძრას კაცმა, თუ კაცს კაცის სიკეთე უნდა“.

ხელოვნების უპირველესი ამოცანა კი ადამიანთა გულების შეტერაა კარგის მხარდასაჭერად და ცუდის დასაგმობად.





საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი.

# კ უ ლ ო ს ა ვ ი!

**ბართიველ** მუსიკოს-შემსრულებელთა ლავრეტების ოჯახს კიდევ ერთი ახალი წევრი შეემატა. ეს გახლავთ საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი, რომელმაც ბუდაპეშტის XIII საერთაშორისო კონკურსზე მეორე ადგილი მოიპოვა.

მკითხველებს ვთავაზობთ ბუდაპეშტის XIII საერთაშორისო კონკურსზე საბჭოთა დღეგაცეცის ბელმძღვანელის, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სავილინო ოსტატთა კავშირის თავმჯდომარის, ბელგონებათმცოდნეობის კანდიდატის, დოცენტ ბ. ლ. ბ. რ. ო. ს. ო. ვ. ი. ს. წერლის:

საბართიველის სახელმწიფო კვარტეტს ბუდაპეშტის XIII საერთაშორისო კონკურსის მდელვარე დღეებში გავეყანი. ჩვენმა ურთიერთობამ სულ ორ კვირას გასტანა, მაგრამ ეს დროც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ კარგად გაემეცნო ეს მშვენიერი მუსიკოსები, გულთბილი და მომხიბლავი ადამიანები.

კვარტეტის მსახიობები — კ. ვარდული, თ. ბანიაშვილი, ნ. ფვანია და თ. ჩუბინიშვილი გამეორული მუსიკის მწერალე სიყვარულმა გააპროთიანა. ამ კეთილშობილ ხელოვნებას ისინი მთელ ძალებს, მთელ ცხოვრებას სწირავენ. აღმსოროვნებელია კოლექტივის ტექნიკური ოსტატობა, ანსამბლური შესრულების სიზუსტე და, რაც მთავარია, ერთსულოვანი ემოციურობა, კვარტეტი გამორჩევა მკვეთრი მუსიკალური სახითა და შემოქმედებითი ხელწერით. ამიტომაც შეუძლებელია მისი აღრევა სხვა რომელიმე საბჭოთა კოლექტივთან.

მსმენელთან კონტაქტის დამყარება საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის ძვირფასი თვისებაა. აუცილებელია განსაკუთრებული სიამაღით იმსჯელება მისადმი. სამავალითოდ ისიც კმარა, რომ კონკურსში მიწაწილე ის კვარტეტისტები, რომლებმაც II ტურზე პაქეობის უფლება დაკარგეს, სპეციალურად დარჩნენ ბუდაპეშტში, რათა ფინალურ გამოსვლაში მოესმინათ და თანაგრძნობა გაეწიათ ქართველი ინსტრუმენტალისტებისთვის. კონკურენტებმა ასე გამოსატყს თავიანთი მეგობრული დამოკიდებულება.

ძალიან რთული და სერიოზული აღმოჩნდა ეს პაქეობა. მასში რვა ქვეყნის (საბჭოთა კავშირი, უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, გდრ, ფფრ და ფინეთი) 14 კოლექტივი მონაწილეობდა. მსგავსი შეჯიბრებისათვის ეს რიცხვი უპრეცედენტოა. იმის გამო, რომ მოპაქეურ კოლექტივების დონე ძალიან მაღალი აღმოჩნდა, მეორე II ტურზე 10 კოლექტივი დაუშვა. ფინალში კი 5 კოლექტივი გავიდა. კონკურსში თავიდანვე დაწინაურდნენ და ბოლომდე ლიდერობდნენ მოსკოვის საოლქო ფილარმონიისა და საქართველოს სახელმწიფო კვარტეტები.

კონკურსის პირობების მიხედვით მხოლოდ ორი პრემია იყო დაწესებული. ფინალის შემდეგ პრემიები ასე განაწილდა: პირველ ადგილზე გავიდა მიუნჰენის კონკურსის ლაურეატი მოსკოვის საოლქო ფილარმონიის კვარტეტი, მეორეზე — საქართველოს კვარტეტი. გარდა ამისა, საქართველოს კვარტეტს თანამედროვე უნგრული მუსიკის საუკეთესო შესრულებისათვის კიდევ ერთი პრემია მიენიჭა. დამატებითი მესამე პრემია კი უნგრულმა და პოლონურმა კოლექტივებმა გაინაწილეს.

საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის გამოსვლამ წარმუღილო შთაბეჭდილება დატოვა. შესრულების ორიგინალური ინტერპრეტაციით განსაკუთრებული აღწერითაგანება გამოიწვია ბარტოკის მეთოხე, ბრამსის მეორე, ცინცადის მეექვსე და თანამედროვე უნგრული კომპოზიტორის სერგანსკის კვარტეტებმა. მსმენელი მოხიბლა რომანტიკულმა მდელვარებმა, აღქრადობის სილამაზემ, სტილის ფაქიზმა შეგრძნებამ, მუსიკის სასოფანებამ.

ყველამ შეიყვარა ეს კოლექტივი. ბუდაპეშტში შექმნილი მეგობრები გულითად ემშვიდობებოდნენ ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსებს, ხელმეორეუდ ჩამოსვლას სთხოვდნენ.

მეორე საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის მშვენიერი მომზადების, ვუსურვებ მას ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს!



საქართველოს  
წიგნითმწიფის  
კავშირები

# საოპერო სცენის ღიღოსტატი

ისაკ ახანელოვი

ძარბაზი საოპერო ხელოვნების ისტორიაში ოქროს ასობით ჩაწერა შესანიშნავი მომღერლის დაიით ანდლუ-საძის სახელით. ბუნებით მონათლული თვისებით შორის, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს მისი ბრწყინვალე ვოკალური მონაცემები — ფართო დიაპაზონის დრამატული ტენორი, ლამაზი ტემბრითა და სასვე ხმოვანებით.

სსრ კავშირის სახალხო არტისტი, დირიჟორი ა. პა-ზოუსკი თვლის, რომ, ბეგრის სასაათის მიხედვით, დ. ან-დლუაძის ხმას არა დრამატული, არამედ პეროიკული ტე-ნორი უნდა ეწოდოს.<sup>1</sup>

ამევე ახასიათებს საქართველოს სსრ სახალხო არტის-ტი ბ. კარგიშვილი თავისი პარტინორის ხმას წოდებით „მო-მღერლის ჩანაწერები“: „დ. ანდლუაძე, გმირულ-დრამა-ტიული პლანის საუკეთესო ქართველი ტენორია“ (გვ. 230).

„დ. ანდლუაძე ფლობს ლამაზ დრამატულ ტენორს, რომელიც სასველ და ტემპერამენტულად ეღერს ხმის მივლ დაპაზონსზე, განსაკუთრებით კი მაღალ რეგისტრში, რაც საშუალებას აძლევდა დ. ანდლუაძეს შექმნა მკვეთრი ვოკალურ-სცენური სახეები. განსაკუთრებით ემარჯვებოდა დაიით იასონის ძეს „გულმზურავა“ სცენები, როგორი-ცაა, მაგალითად, „კარმენის“ დინალური სცენა, სცენა ნი-ლოსთან „ადამი“ და „კუჩხორების“ დასკანითი სცე-ნა“<sup>2</sup>. — ანდლუაძის რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ვ. პოლიტოვსკი.

დ. ანდლუაძის ხმა მოედინებოდა თავისუფალ, რად ნა-კადად, რასაც დიდად უწყობდა ხელს შესანიშნავი აკუსტი-კური ტექნიკა და სუნთქვის ფლობის ოსტატობა; მსახიო-ბისთვის მისაწვდომი იყო დინამიკური ნიუანსების სრული კომპლექტი, ხმის შეფერილობა ყოველთვის ეფარებოდა როლის საერთო სახეობრივ-ფსიქოლოგიურ პროფილსა და მის ცალკეულ ეტაპებს.

ბუნებამ დ. ანდლუაძეს შესანიშნავი სცენური გარეგ-ნობა მიაჩინა. გამომსახველი, ლამაზსაკეთებელი სახე მტე-ყველი, ჭრიდა თვალებით, მაღალი, პროპორციულად ჩა-ნოწილი სხეული დიდად უწყობდა ხელს გმირთა სრულ-ყოფილი მუსიკალურ-სცენური პორტრეტების გამოკვლას.

დ. ანდლუაძის ნიჭი, როგორც მომღერლისა და აქტი-ორის, განსაკუთრებული სიმდიდრით გამოვლინდა საოპე-რო თეატრის სცენებზე. მისი მოღვაწეობა ამ მხრივ სამ-ჭოთა მუსიკალურ-თეატრალური ხელოვნების მატრიანის თვალსაჩინო ფურცლებია. ამასთან, დ. ანდლუაძე არა-სიღრეს იყენებდა საკონტრეტო ესტრადას, სადაც მის საშემსრულებლო რეპერტუარში, არიოზულო-საოპერო ფორ-მების გვერდით, კამერულ-ვოკალური ჟანრის არა ერთ ნი-მუშს ვხვდებით.

საოპერო სცენაზე მსახიობმა ოცდაათამდე როლი შეა-სრულა რუსი, ქართველი და დასავლეთევროპული კომპო-ზიტორების ნაწარმოებებში. დ. ანდლუაძისათვის განსა-კუთრებით ახლოებული იყო ორი პლანის გმირი: ლირიკულ-

დრამატული და ლირიკულ-პეროიკული. სწორედ ამ ტიპის პერსონაჟი (ხოზე, გერმანი, კაჟარადისი, ოტლო, კანო, რადამესი, მანრიკო, მალსაზი) დომინირებდა დ. ანდლუა-ძის მიერ განსახიერებულ გმირთა ფართო გალერეაში და განპირობებდა მის მსახიობურ ამპლუსას. აქვე ვხვდებით ლირიკულ-ეპიკური წყობის სახეებსაც (აბესალომი, სამ-სონი, შოთა რუსთაველი, ტარიელი), რომელთაც მსახიო-ბი შესატყვისი ხერხებითა და არანაკლები ოსტატობით ძებრავდა. მსახიობს იზიდავდა ძლიერი რეალისტური ხა-სიათები, როული ფსიქოლოგიური სამყაროთი — ნათლად გამოვლენილი ტიპიური ნიშნებით, მამფრი, წმინდა, ადამ-იანური განცდებითა და ცხოვრებისეული ტუშმარტობით.

დ. ანდლუაძის გმირები თავსადავებით იმსახურებთან აკეთლ, მაღალ იდეალებს და ხშირად ეწირებიან კიდვე მათ (რადამესი, აბესალომი, ხოზე, სამსონი, გერმანი, კა-ჟარადისი, კანო, ოტლო, ვერტერი და სხვა). მაგრამ მსახიობის ნიჭით შთაგონებული ძალა ამ სახეებისა სწო-რედ იმზავს, რომ კვანძის ტრაგედიული გახსნა და გმირის ფიზიკური თუ მორალური დაღუპვა აიტიქმება, როგორც ნათელი ეთიკური საწყისის უცილოდ გამარჯვება.

დ. ანდლუაძის გმირები არ ძალუძთ საკუთარი იდეა-ლების დალატი; ისინი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მათი არსით სულდგმულობენ, მათში პოლონენ ცხოვრე-ბის უკუღმართობასთან შერკინების ძალას.

დ. ანდლუაძის გმირთა ძირითადი მამოძრავებელი და სახის განვითარების წარმმართველი ძალა, იმპულსი — სიყვარულის გრძნობაა, რომელიც მრავალი გრადაკიით წარმოედგინება: ესაა — დიდი, დრმა, ანდლუაძის სწრაფვა საყვარელი არსებობისმი (კაჟარადისი, რადამე-სი, გერმანი, კანო, ოტლო, მალსაზი, ტარიელი), უცე-რად აფეთქებულ ფაქიზი გრძნობა (აბესალომი, ვერტე-რი), ყოფისმთანმთქმელი ვენება, რომელიც ახსობის გო-ნებისა და სინების ხმას (ხოზე, სამსონი, ისივე).

ამავე დროს, დ. ანდლუაძის მიერ სცენაზე ამტკვე-ლებულ გმირთა შინაარსი უმეტეს შემთხვევით არ იფარ-გლებოდა მხოლოდ ლირიკული განცდების სფეროთი, რა-ოდენ მრავალფეროვანი და დრმაც არ უნდა ყოფილიყო იგი. ბევრი მათგანი საბრძოლო დიდების მარჯავდელია მისიული. მაგალითად, რადამესი, ოტლო, სამსონი, ტარი-ელი; კაჟარადისი — შთაგონებული მხატვარია და, ამავე დროს, რესპუბლიკურ იდეებს იზიარებს, გერმანი სამი კარ-ტის საიდუმლოების შეტყობისა და გამიდღერების სურე-ვლით არის შეუკნობილი, ხოზე ერთგულად ეწევა სამხედ-რო სამსახურს, კანო მოხეტიალე მსახიობთა პატარა დასს უძღვება და ა. შ.

ზემოხსენებულ გმირთა განსახიერებისას დ. ანდლუა-ძე ბრწყინვალედ ითვალისწინებდა და ხსნიდა მათთვის ტი-პიურ „ორივემანობას“, რასაც იგი მუსიკალურ-სცენური საშუალებების მთელ კომპლექსს უქვემდებარებდა.

მხატვრული სახეების მუსიკალურ-სცენური ხორცშეს-მისას დ. ანდლუაძე (როლის დეტალური დამუშავების საფუძველზე) ყოველთვის ცდილობდა წინ წამოეწია მთა-ვარი, სახის განმაპირობებელი ნიშნები და როლის შესაბა-მისი მომენტები, სადაც ეს სასაათის შექმნილი ნიშანთვი-სებანი განსაკუთრებული ძალით ვლინდებოდნენ. ამიტომ,

1. ე. ვროსკი, «Давид Андлуадзе» (ученичество и актер-ство, 1922-1936 гг.), ხელნაწერი, გვ. 95.





დავით ანდლულავი.

მის მიერ შექმნილი სცენური სახეები ყოველთვის განსაკუთრებულია, ღრმა და მასშტაბური ხასიათით გამოირჩევიან.

დ. ანდლულავის მსახიობური ნიჭის ვაჭურველი და უძირფასესი თვისებაა სცენური განრეკლება და უნარი და ოსტატობა, რაც, ერთი მხრივ, ბუნებით იყო მიმადლებული, ხოლო, მეორე მხრივ, დაუღალავი შრომით გამაზღვრული, განვითარებული და გაღრმავებული. სხვადასხვა ოპერაში, წამყვანი ტენორის სრულიად განსხვავებულ პარტიებში დ. ანდლულავი ყოველთვის ახლებურად აჩვენებდა თავს. მისი უსაზღვრო ტენიტურის, ფერადობის ხასიათით მკვეთრი დრამატული ხმა ძლიერად აესებდა დარბაზს და ამავე დროს ტემბრის სილამაზით ახარებდა მსმენელს. ყოველი ახალი როლისათვის იგი ჩაიცავდა რამდენიმე დღე მისთვის როგორც მუსიკაში, ასევე სცენური სახის ვაჭურველში. მთელ მოსამსახურებელ სარეჟისორების მეთაურებს შორის და აკადემიის სანდუქში მოსწავლესაგან ატარებდა ყურადღებით იკითხებდა დირიჟორისა და კონცერტმასტრის მითითებებს. არ მასობს შემთხვევა, რომ მას შემოქმედებითი შემართების გარეშე, ნახევარი ხშირად ჩაეტარებინოს გაკვეთილი, შემოერება ან რეპეტიცია... სპექტაკლები იგი ყოველთვის მიმართავდა მხატვრული სახისაკენ იყო მიმართული, — იხსენებს სსრ კავშირის სახალხო არტისტი თ. დინიკრიაძე. ანალოგიური აზრს გამოთქვამენ დ. ანდლულავის პარტნიორები, მათან მომუშავე სხვა დირიჟორები, რეჟისორები და კონცერტმასტრები.

დ. ანდლულავის იშვიათი მუყაითობას მოწმობდა აგრეთვე მისი სისტემატური მუშაობა როლის დასწავლაში. ვერ დაიასახლება ვერც ერთ საოპერო პარტიას, რომელიც მასთან მსახიობურ შემოქმედებითი გზის რომელიც ეტაპზე უკვე დასრულებულად და სრულყოფილად მიიჩნია და მიგნე-

ბულ „ყალიბში“ დატოვა. საკმარისია გაეცნოს სცენური ბიოგრაფიის მინიმალურ როგორ ავსებდა ამ დიდრება ახალი შტრიხებითა და ნიუნსებით კავარდოსის, კანოს, აბესლომის, ხოზეს, რადამესის სახეებს. მე მანციფრებდა ამ აღმანიშნის ის, რომ ყოველ განმეორებით სპექტაკლში, განმეორებით გამოსვლაში იგი არასოდეს აჩერებულა, არამედ მიდიოდა სულ წინ და წინ. მისი ყოველი ახალი გამოსვლა განმეორებით როლში მიტყვევებდა იმაზე, რომ მსახიობის აზრი შეუწელებლად მუშაობს სულ ახლისა და ახლის გამოვლენაზე, — აღფრთოვანებით წერდა პროფესორი ე. ვრონსკი თავისი მოსწავლის შესახებ, რომელიც რაკე მრავალი ურთულესი საოპერო როლის ბრწყინვალე ინტერპრეტატორად იყო აღიარებული.

გმირთა სახეების მკვეთრი და ოსტატური ინდივიდუალისთვისაა ერთად, რაც დ. ანდლულავის მსახიობური ნიჭის უძირფასესი თვისებაა შეადგენდა, აღსანიშნავია ის საერთო საწყისი, რაც საფუძველს უქმნიდა საოპერო პერსონაჟთა წარმოსახვას. ესაა დიდი შინაგანი თავშეკავებულობა (რაც ბედნიერად აზღვევდა მსახიობს ემოციური „ზედმეორებისაგან“), კეთილშობილებისა და ნებისყოფითი ნიშნების ხასიათი (რაც დიდი ამაღლებულობასა და ქმედობას სძენდა დ. ანდლულავის გმირებს).

დ. ანდლულავისათვის დამახასიათებელი სცენური ვარდსახეის ოსტატობა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც მხოლოდ და მხოლოდ ინტელექტისა და როლის სცენურ გასახსნე გულმოდგინე მუშაობის ნაყოფი. ცნობილია, რომ ოპერაში თავი სცენური მოქმედება მუსიკით გამოიხატება, რაზედაც სასებებით სამართლიანად მიუთითებდა ვერ კიდევ ნ. რისკი-კორსაკოვი. მხატვრული სახის ძირწინაში, ზემოდანმუშუთან ერთად, ვადაწყვეტდა გველურება ის მადალი ვოკალური კულტურა, რომლის მატარებელი იყო დ. ანდლულავი. სწორედ ეს ფაქტორი განპირობებდა მისი იმეტი განსხვავებულ ვოკალურ სტატილს ფლამანს, როგორცაა ვერდისეული ბოლოქო, ვერდისეული დამატული ექსპრესიული ვოკალური მელოდი, რუს კომპოზიტორთა „აღმანიშნის მტკიცეობით ქმნილი მელოდია“ (მუსიკასი), ჩართული კლასიკური და სამაჭოთა ოპერის ერთგული სპეციფიკური აღმეტიკალი ვოკალური ინა და ა. შ. წმინდა აროსოული და რიტორიკული ფორმების მოქმედება და თავისუფალ შესრულებას წინ უძღოდა სპეციფიკური სინფონიების გადასახები პროცესი.

აქ უნდა გაეცნოს აკადემიის ბ. ანდლულავის სტყვევით: „გამომსახველი სიმღერა წარმოუდგენელია. მყარი ვოკალური ტექნიკის გარეშე ეს ვოკალური ხელოვნების საძირკვლია“. სწორედ ასეთ საიმეოთ და ურყვე საფუძველზე აწინა და დამკვიდრდა დ. ანდლულავის ვოკალური ოსტატობა.

როდესაც ვახსიათებთ დ. ანდლულავის სცენურ მოღვაწეობას, აუცილებელია იმ მნიშვნელოვან ფაქტის გათვალისწინება, რომ იგი ჩამოყალიბდა „თეატრალური ხელოვნების დიდი რეფორმატორის“ (მ. გორკი) — ა. სხანოსლავსკის პრინციპების შემოქმედებითი ათვისების ნიადაგზე.

დ. ანდლულავი ბუნებრივად შეისისხსობრია ა. სხანოსლავსკის სისტემის საფუძველზე, რომლებიც მართალია, დრამატული თეატრის წიაღში იშვა, მაგრამ სრულიად ორგანულად გადაინერგა საოპერო ხელოვნებაში მუსიკალური სპეციფიკის გათვალისწინებით. ამ მხრივ სასებელი მართალია XX საუკუნის დიდებულ მსახიობი ჩარლი პაბლო, რომელიც აღნიშნავს, რომ ა. სხანოსლავსკი „ხმარება ყოლა იმათ, ვინც დიდი დრამატული ხელოვნებისაკენ ისწრაფვის“.





დ. ანდლულაძე მთელი თავისი შემოქმედებითი გზის მანძილზე ისწრაფვოდა სიმღერისა (მეტყველების) და სცენური მოქმედების, მოძრაობის იმ სინთეზისაკენ, რაც სტანისლავსკის აუცილებლად მიანიჭა საოპერო მსახიობის, მომღერლისა და მსახიობის იმ განუყოფლობისათვის, რაც საოპერო თეატრში მხატვრული სანის სრულყოფილი გახსნის ერთადერთი საწინდარია.

კ. სტანისლავსკისაგან ისწავლა დ. ანდლულაძე ღრმა ჩარევა სპექტაკლის იდეურ-ესთეტიკურსა და ეთიკურ აზროვნებაში, მხატვრული სანის რთობაში. სცენური ქვეშეობის ძალით გმირის სახის ორბიჯაში მოქცეული მსახიობი არც ერთი წამით არ ეთიშებოდა მას, არ გამოდიოდა მისი ფარგლებიდან.

